სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 24 თებერვალი 2000 №33 (1055) | ფასი 50 თეთრი



სერ სტენლი მეტიუზი

მეტიუზი მოკვდა, ლეგენდა დარჩა

გუშინ ინგლისის პატარა ქალაქ სტაფორდშირის კერძო კლინიკაში გარდაიცვალა სერ სტენლი მეტიუზი.

უეჭველია: ამ კაცს მთელი საფეხბურთო სამყარო მიაგებს უკანასკნელ პატივს, მიაგებს იმიტომ, რომ იგი ამას უდავოდ იმსახურებდა: სტენლი მეტიუზი მართლაც ლეგენდა იყო, ინგლისური და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა.

... 1953 წელი, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალი, „ბოლტონი“ — „ბლეკპული“. მე-60 წუთზე ბოლტონელები 3:1 იგებდნენ, იგებდნენ, მაგრამ... დარჩენილ 30 წუთში სტენლი მეტიუზმა დაარხეინებულ მეტოქეებს ზედიზედ სამი ბურთი გაუტანა. ეს მატჩი ფეხბურთის კლასიკად შეირაცხა და ამ თამაშის ისტორიაში გამორჩეულ ადგილსაც მიაკუთვნებენ.

ინგლისში 1953 წლის ფინალს დღემდე „მეტიუზის ფინალად“ მოიხსენიებენ, იმ შეხვედრის ჩანაწერზე ინგლისელ მოზარდთა არაერთი თაობა აღზრდილა.

დღეს დაუჯერებლად ჩანს ის ამბავი, რომ უხანგრძლივესი კარიერის მანძილზე მეტიუზი მსაჯებს ერთხელაც კი არ გაუფრთხილებიათ.

სტენლი მეტიუზის კარიერა კი მართლაც უმაგალითო იყო. ფეხბურთის თამაში მან 50 წლისამ მიატოვა და მაშინაც არავისზე ნაკლებ ფორმაში გახლდათ.

როდესაც ევროპამ „ოქროს ბურთის“ ლაურეატთა გამოვლენა დაიწყო, პირველი სწორედ სტენლი მეტიუზი გახდა. იმ დროს, 1956 წელს, იგი 41 წლისა იყო.

სტენლი მეტიუზი პირველი ფეხბურთელია, ვისაც ინგლისის დედოფალმა რაინდის ტიტული უბოძა.

სერ სტენლი მეტიუზმა ინგლისის ეროვნულ გუნდში პირველად 19 წლისამ ითამაშა და 54 მატჩით დაასრულა სანაკრებო კარიერა. მისი ბოლო გამოჩენა „უემბლიზე“ მართლაც დაუვიწყარი იყო: 1956 წელს ლონდონს ბრაზილიის ნაკრები ესტუმრა. ინგლისმა 4:2 მოიგო, 41 წლის მეტიუზის შეჩერება ვერცერთმა ბრაზილიელმა მცველმა ვერ შეძლო.

სერ სტენლი მეტიუზი 85 წლისა აღესრულა. მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ინგლისისა და არგენტინის ნაკრებები „უემბლიზე“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, იმ „უემბლიზე“ რომლის მეფეც სერ სტენლი მეტიუზი გახლდათ...

მათეუსი: 144!

უბერებელ გერმანელს არაბი მისდევს

ჰოლანდიისა და გერმანიის წუხანდელ ამხანაგურ მატჩში (2:1), „ამსტერდამ არენაზე“ რომ გაიმართა, ერთი არაოფიციალური საფეხბურთო რეკორდი დამყარდა: მიუნხენის „ბაიერნის“ ლიბერომ ლოთარ მათეუსმა, რომელიც 21 მარტს 39 წლისა გახდება, გერმანიის ნაკრების მაისურა 144-ჯერ მოირგო. ამდენჯერ ეროვნულ გუნდში ჯერ არავის უთამაშია. მათეუსმა ერთი მატჩით აჯობა შვედეთის ნაკრების ყოფილ მეკარეს თომას რაველის. უბერებელი ლიბერო მალე გერმანიას დატოვებს და ამერიკაში გაემგზავრება, სადაც ნიუ იორკის „მეტროსტარზის“ ღირსებას დაიცავს. თუმცა ეროვნული გუნდიდან წასვლას ზაფხულამდე არ აპირებს. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ მსოფლიოს რეკორდსმენს კვალში უდგას 39 წლის ეგვიპტელი ჰოსამ ჰასანი, რომელსაც ნაკრებში 140-ჯერ უთამაშია და კარიერის დამთავრებაზე ჯერ არ ფიქრობს.

REUTERS ამსტერდამიდან

მსოფლიოს რეკორდსმენი ლოთარ მათეუსი

ევროპაში ამხანაგობა არ იცვიან

გუშინ ევროპაში მღელვარე დღე იყო. დიდი ფეხბურთი ამხანაგურიც დიდია და აკი ევროპელებმაც არაერთი უშეღავათო თამაში იხილეს.

როგორც იქნა, მოიგეს ჰოლანდიამ და ფრანკ რაიკარდმა. მისი მისვლის შემდეგ ნარინჯისფრებს ზედიზედ თერთმეტი მატჩი ჩაემთავრებინათ გაუმარჯვებლად. იტალიას, ჩვენს მომავალ მეტოქეს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, შვედთა ძლევა გაუჭირდა და რომ არა დელ პიეროს პენალტი, დინო ძოფის გუნდი ამჯერადაც თავდახრილი დატოვებდა მოედანს. შეგახსენებთ, „სკუადრა აძურას“ შარშანდელი ივნისის შემდეგ არ მოუგია. ჩვენმა კიდევ ერთმა მეტოქემ, უნგრეთმა წააგო. ერთ დროს უძლიერესი „დიდი გუნდის“ ნაშიერნი ავსტრალიელებმა დაჩაგრეს და ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე“ სამი უპასუხო ბურთი შეუგდეს. ჩეხთა წაუგებელი სერია და უძლეველობის მითი ირლანდიელებმა შეიწირეს. „უემბლიზე“ კი თამაში მწუხარედ დაიწყო. 74 ათას ქომაგს მატჩის წინ სერ სტენლი მეტიუზის გარდაცვალება ამცნეს. ძველი საფეხბურთო და არა მხოლოდ საფეხბურთო მოშუღარნი ამჯერად უგოლო ფრით გაეყარნენ ერთმანეთს.

იხილეთ მეორე გვერდი

REUTERS ლონდონიდან

ინგლის — არგენტინის მატჩის წინ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სერ სტენლი მეტიუზს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩები

REUTERS პარი ზიდან

საფრანგეთი — პოლონეთი 1:0. მსოფლიოს ჩემპიონებს გამარჯვება ზინედინ ზიდანის (№10) გოლმა მოუტანა

REUTERS პალერმოდან

იტალია — შვედეთი 1:0. მასპინძელი კრისტიან ვიერი (№9) შვედების ნიკლას ალექსანდერსონისა (მარცხნივ) და პატრიკ ანდერსონის წინააღმდეგ

ყატარი 0:1 უელსი

0:1 რობინსონი (10)

ყატარი: ხალილი (ალ რუმაიჰი), ნოობი, ზ. ალ კუვარი (ალ შამარი), კუვარი, ალ ტამიმი, ფ. ალ კუვარი, ნანდო (აბდულრაზაკი), მოჰამედი (მუბაქარი), ჰასანი (გულამი), ჯასიმი, ფატი

უელსი: ჰ. ჯონსი, დელანი, ბერნარდი (დევისი), მელვილი, კოულმენი, პეიჯი, რობინსონი, სპიდი, ბლეკი, ჰემბრიჯი, მ. ჯონსი

მაკედონია 1:2 იუგოსლავია

0:1, 0:2 მიატოვიჩი (20, 37), 1:2 კარანფილოვსკი (79)

მაკედონია: ნიკოლოვი (მილოშევსკი 54), სტავრევსკი, გერასიმოვსკი (მემედი 45), სტოიანოვსკი, ნიკოლოვსკი, ბაბუნსკი (კარანფილოვსკი 54), სერაფიმოვსკი, ლაზარევსკი (ზეტირი 62), ხრისტოვი (მისვერდოვსკი 62), ჩირჩი (გეორგიოსკი 45), შაკირი (პეტროვი 78)

იუგოსლავია: კრალი (კოკოვიჩი 45), საკიჩი (ბოლიჩი 55), ჯოროვიჩი (კრსტაიჩი 50), იოკანოვიჩი (საველიჩი 45), ჯუკიჩი, გროზდიჩი, იუგოვიჩი (ჯორჯევიჩი 45), მიატოვიჩი (მილოშევიჩი 45), კოვაჩევიჩი, დრულოვიჩი, მიხაილოვიჩი (ბუნიევჩევიჩი 45)

ისრაელი 4:1 რუსეთი

1:0 ბადირი (3), 2:0 უდი (16), 3:0 ბადირი (35), 3:1 ბესჩასტნიხი (58 პ), 4:1 ნიმნი (86)

ისრაელი: კოენი (კორნფეინი 46), ჰარაზი (ჰალფონი 46), ტალკარი, შელაპი, ბენადო, კეისი, ბანინი, ნიმნი, ტალი (ტელესნიკოვი, 46), ბადირი, უდი (ტურგემანი, 67)

რუსეთი: ჩერჩესოვი, ხლესტოვი, ხობლოვი (ბუტი 65), სმერტინი, იანოფსკი (თეთრაძე 46), სემაკი, ონოპკო, ალენიჩევი, ტიტოვი (ჩუგაინოვი 46), პანოვი (ბესჩასტნიხი 46), ტიხონოვი (შირკო 46)

თურქეთი 0:2 ნორვეგია

0:1 რიისე (37), 0:2 სტრანდი (73)

თურქეთი: ტუნსაი (აკტასი 83), დავალა (აკმანი 59), თემიზქანოღლუ (რამაზანი 70), აკიელი, ქერიმოღლუ (ბელოზოღლუ 68), ერდემი (კარანი 75), ტაიფუნი, ერკანი, შუქური (დურსუნი 45), იალკინი (ბურუქუ 59), ტაიფური

ნორვეგია: ოლსენი, ბერგდოლმო (რისეტი 43), ბრაგსტადი, ბერგი, ჰეგემი (ანდერსენი 45), სტრანდი (სოლბაკენი 87), მუჟლანდი, კარუუ ფლო, რეკდალი, რიისე (ბაკე 83)

ხორვატია 0:0 ესპანეთი

ხორვატია: პლეტიკოსა, სარიჩი, იარნი, სოლდო, შტიმაცი, ტომასი, ასანოვიჩი (ცვიტანოვიჩი 83), იურჩიჩი, კოვაჩი (ვუკი 65), შუკერი, ვუგრინეცი

ესპანეთი: მოლინა, ველასკო, არანსაბალი, ენგონგა, აბელარდო, იერო (ხემესი 46), ხ. ეჩებერია, ლუის ენრიკე (ვიქტორი 65), ურსაისი (სალვა 77), ფრან გონსალესი (მენდიეტა 46), ვალერონი

ჰოლანდია 2:1 გერმანია

1:0 კლუივერტი (15), 1:1 ციგე (22), 2:1 ზენდენი (28)

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, სტამი, კოკუ (ნუმანი 76), ბოგარდი, ზეედორფი, რ. დე ბური (მაკაი 65), დავიდსი, კლუივერტი, ვან ნისტელროი (ჰასელბაინკი 76), ზენდენი

გერმანია: კანი, ბაბელი, ციგე, ლინკე, სებესენი (დაისლერი 45), იერემისი, შოლი, ჰამანი (ვოში 61), ბირჰოფი, მათეუსი, ნოვილი (ბაუმანი 76)

უნგრეთი 0:3 ავსტრალია

0:1 ლაიბატი (12), 0:2 სკოკო (74), 0:3 მური (90)

უნგრეთი: ბაბოშა, შეპოკი (დრაგონერი 73), ბოდოგი, ჰრუტკა, მატოუში, ლენდვაი, ვინცე, ბურკანი, ზავადსკი (დომბი 53), კლაუსი, ნაგი

ავსტრალია: ბოსნიჩი, მუსკატი, მური, ლაიბატი, ვიდმარ, კორიცა (ფოსტერი 65), სკოკო, ოკონი, ტიატო (ლაზარიდისი 81), ვიდუკა, კუელი (აგოსტინო 46)

იტალია 1:0 შვედეთი

1:0 დელ პიერო (79 პ)

იტალია: ბუფონი, ფერარა (იულიანო 76), ნესტა, კანავარო, პესოტო, ამბროზინი (გატუზო 46), ტაკინარდი (ლოკატელი 80), დი ფრანჩესკო (დელ პიერო 46), ფიორე (პანუჩი 63), ვიერი (ინძაგი 60), მონტელა (ტოტი 46)

შვედეთი: ჰედმანი, გუსტაფსონი (მელბერგი 46), ბიორკლუნდი, სანდგრენი, ჰ. ანდერსონი, შვარცი (არვიდსონი 46), ალექსანდერსონი, დ. ანდერსონი, ა. ანდერსონი (სვენსონი 65), კ. ანდერსონი (მიალბი 46), პეტერსონი

ინგლისი 0:0 არგენტინა

ინგლისი: სიმენი, კიოუნი (ფერდინანდი 56), საუთგეიტი, კემპბელი, დაიერი (ფ. ნევილი 59), უაიზი, ბექჰემი (პარლო 73), სქოულზი, უილკოქსი, შირერი (ფილიპსი 78), ჰესკი (კოული 79)

არგენტინა: კავალიერო, რ. აიალა, არუბარენა (ვივასი 67), სენინი (პოჩეტინო 35), სიმეონე, შამოტი, კილი გონსალესი, ვერონი, ხ. ძანეტი, ბატისტუტა (კრესპო 57), ორტეგა (გ. ლოპესი 90)

ლუქსემბურგი 1:3 ჩრ. ირლანდია

0:1 ჰილი (21), 1:1 კარდონი (41), 1:2 ჰილი (48), 1:3 ქუინი (87)

ლუქსემბურგი: ბესიჩი, სტრასერი, ვანეკი, შაკი, დევილი, ბირსენსი (ალვერდი 6), საიბენი, კარდონი, ჰოლეი (ჰუსი 75), შნაიდერი (კრისტოფი 46), ბრაუნი (ზარიეკი 60)

ჩრ. ირლანდია: ტეილორი (კაროლი 75), ნოლანი, გრაფინი (მაკგიბონი 89), უილიამსი (მურდოკი 66), ა. ჰუგსი, გილესპი (რობინსონი 88), ლომასი, მეჯილტონი (სონერი 75), ჯონსტონი (მ. ჰუგსი 78), ქუინი (კუტი 87), ჰილი

ბელგია 1:1 პორტუგალია

1:0 შტრუპარი (56), 1:1 სა პინტუ (80)

ბელგია: დე ვილდე, ფენო, ვალგაერენი, სტალენსი, ლეონარი, ვერპეინი (მ. მპენზა 78), ვანდერპეიგი, ვილმოტსი, გოორი (ბოფინი 68), შტრუპარი (ბრონო 81), დე ბილდე (გოოსენსი 46)

პორტუგალია: ეშპინია, სეკრეტარიუ, ფერნანდო კოუტუ (კარვალიუ 70), ფორეე კოშტა, ტეიშეირა (ფორეუ 79), პაულო ბენტუ (ბეტო 8), ვიდიგალი, რუი კოშტა (სა პინტუ 63), ფიგუ (კაპუჩო 84), ფოაო პინტუ (კოსეისაო 57), ნუნუ გომეში

საფრანგეთი 1:0 პოლონეთი

1:0 ზიდანი (88)

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, ბლანი (ლებეფი 46), დესაი, ლიზარაზუ, დეშამპი, ჰეტი (ვეიერა 58), ზიდანი, ჯორკაეფი (ვაირელენი 74), ტრეზეგე, ვილტორდი (პირესი 58)

პოლონეთი: დუდეკი, კლოსი, ბაკი, ვალდოხი, მიხელ ზეელაკოვი (ჰაიტო 65), კარვანი, ჰ. სვერჩევსკი, ივანი (ტ. სვერჩევსკი 73), კრზინოვეკი (კულპოვიჩი 90), რეისი (რეასა 84), მარჩინ ზეელაკოვი (კრიტოფიჩი 57)

საბერძნეთი 4:1 ავსტრია

1:0 გეორგიადისი (36), 1:1 ვასტჩიჩი (44), 2:1 გეორგიადისი (55), 3:1 უზუნიდისი (82), 4:1 ლაკისი (90)

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, მავროგენიდისი (ლაკისი 59), გეორგატოსი (ვენეტიდისი 71), ამანატიდისი, უზუნიდისი, პურსანიდისი (ზიკოსი 46), გეორგიადისი, ბასინასი, მახლასი (სტოლტიდისი 73), ცარტასი (ფრაძესკოსი 64), ლიბეროპულოსი

ავსტრია: ვოლფარტი (მანინგერი 46), ნოიკირხნერი, ვინკლჰოფერი, იბერტსბერგერი, ჩერნი, კუმბაუერი, პრილასნიგი, პერცოგი (ამერშაუზერი 69), კირხლერი (შისვალდი 46), ვასტჩიჩ (ჰაასი 46), მაირლები (ვაისენბერგერი 64)

ირლანდია 3:2 ჩეხეთი

0:1 კოლერი (5), 1:1 რადა (14 ს.კ.), 1:2 კოლერი (35), 2:2 ჰარტი (43), 3:2 რობი კინი (87)

ირლანდია: ა. კელი, გ. კელი, ჰარტი, ბატლერი (ბაბი 46), კანინგემი, როი კინი, კენედი (მაკატირი 46), კინსელა, ქუინი, რობი კინი (კონლი 90), კემპბელი (სტონტონი 85)

ჩეხეთი: მაიერი, რეპკა (სუხოპარეკი 46), რადა, ნედვედი (როსიჩკი 85), გაბრიელ, ბეიბლ, ნემეცი (ლატალი 60), პობორსკი, კოლერი (კუკა 65), შმიცერი (ვაგნერი 55), ბერგერი (ჰორვატი 70)

ომანი 0:4 სლოვენია

0:1 პავლინი (15), 0:2, 0:3 ზაპოვიჩი (32, 57), 0:4 აჩიმოვიჩი (65 პ)

გაძევება: ბულაიჩი (60)

საამირეები 1:0 შვეიცარია

1:0 ჰაიდერი (85)

გაძევება: ზაუგი (შვეიცარიის მწვრთნელი 2), ჰენჩოსი (42)

REUTERS ბუდაპეშტიდან

უნგრეთი — ავსტრალია 0:3. უნგრელი იანოშ მატიუში (№4) ავსტრალიელ მარკ ვიდუკას ებრძვის

REUTERS ლონდონიდან

ინგლისი — არგენტინა 0:0. არგენტინელი კილი გონსალესი (№7) და ინგლისელი ემილ ჰესკი

ფოტლანდია

გამოტოვებული მატჩი

დანდი 1:3 აბერდინი

0:1 დოუ (48), 0:2 სტავრუმი (55), 0:3 ბერნარდი (60), 1:3 ბაინე (88)

კალენდარი კვირის ბოლოს გვექნება

გაფრი კიევლაძის ფოტო

2002 წლის გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის მერვე შესარჩევი ქვეჯგუფის კალენდარი ჯერ კიდევ 31 იანვარს უნდა დადგენილიყო, თუმცა ამ ქვეჯგუფის წევრთა მწვრთნელები, მოგეხსენებათ, ვერ შეთანხმდნენ. 31 იანვარს ბუქარესტში რუმინელი იენეი, უნგრელი ბეჩკაი, იტალიელი ძოფი, ქართველი ყიფიანი და ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის წევრი ბუზმაკოვასი ექვსი საათი მსჯელობდნენ, თუმც ამაოდ, მათი თავშეყრა უშედეგოდ დასრულდა. ამიტომ მომავალი კალენდრის შედგენა უეფამ ითავა. მას შემდეგ ველით მის გამომზეურებას. გუშინ კი შევიტყვეთ, რომ მომავალი მატჩების ჩატარების თარიღები ამ კვირის ბოლოსთვის გახდება ცნობილი.

კალენდრის შედგენა უეფამ ფიფაში არსებულ მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს გადაკისრა. როგორც გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, ზემოხსენებულმა კომიტეტმა მერვე ქვეჯგუფში თავმოყრილი ნაკრებების დანომვრის მიზნით შესაძლოა კენჭიც ყაროს.

რა პრინციპით შეასრულებს კომიტეტი თავის საქმეს, ამას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა, ალბათ, არა აქვს. მთავარია, კვირის ბოლოს კალენდარი გვექნება.

ვანო ოქროპირიძე

მარტში ფორმაში ვიქნებით

გემოვნებაზე არ დავობენო. დახედეთ სათამაშო მაისურების ამ ესკიზებს და თავად შეაფასეთ. სწორედ ასეთი ფორმებით ითამაშებს საქართველოს ნაკრები 2001 წლამდე.

იტალიაში ფორმა „ლოტოსთან“ კონტრაქტის გაფორმების მერე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ორიოდ დღით იქვე შეყოვნდა და იტალიელი დიზაინერების მიერ შეთავაზებულ ვარიანტთაგან სწორედ ეს ირჩია.

საქართველოს ნაკრების სამოსი, ისე როგორც ადრე და ისე როგორც წესია, ეროვნული დროშის დარი — სამფეროვანია. შინდისა და თეთრი ფერები სჭარბობს. ხარისხი უმაღლესიაო, გვითხრეს ფედერაციაში.

დღეს მხოლოდ ორ ესკიზს წარმოგიდგენთ. არსებობს მესამეც — მთლად სადა, თეთრი ტრუს-მაისურები.

ნაკრების ყველა წევრს პერსონალური ფორმა ექნება. ზურგზე, ნომრის თავზე, მოთამაშის გვარი წაიწერება.

„ლოტოს“ მაისურების პირველი კომპლექტი თბილისში მარტში ჩამოვა.

კოგა ინასარიძე

დატრიალდა კარუსელი

ხვალ საქართველოში საფეხბურთო სეზონი განახლდება. 25 თებერვალს ქვეყნის თასის ორი მერვედფინალური მატჩი შედგება. თბილისის „დინამო“ ლანჩხუთის „გურიას“ დიღმის ბაზაზე დაუპირისპირდება, რადგან „ეროვნულზე“ მოედნის საფარს აწესრიგებენ. ქუთაისის „ტორპედო“ კი რეგიონალური ლიგის „აკადემიას“ ეწვევა. შეხვედრა ავლაბარში, „ისნის“ სტადიონზე ჩატარდება. ეს მატჩები თავდაპირველი დადგენილებით 29 თებერვლისთვის იყო დაგეგმილი, თუმცა...

გუშინ შეიცვალა „ვიტ ჯორჯია“— თსუ-ს მერვედფინალური მატჩის ჩატარების თარიღიც. 29 თებერვლისთვის დანიშნული თამაში ერთი დღით ადრე, 28-ში გაიმართება. ამის თაობაზე თავად კლუბები შეთანხმებულან და ფედერაციისთვისაც შესაბამისი წინადადებით მიუმართავთ. ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელობასაც საწინააღმდეგო არაფერი ჰქონია.

ამდენი ცვლილების შემდეგ საბოლოო თარიღები ასეთია: 25 თებერვალი: „დინამო“ — „გურია“, „აკადემია“ — „ტორპედო“, 28 თებერვალი: „ლოკომოტივი“ — „თბილისი“, „დილა“ — „ზოოვეტი“, „ვიტ ჯორჯია“ — თსუ, 29 თებერვალი: „ბათუმი“ — „გორდა“, „კოლხეთი“ — „მერანი“, „მარგვეთი“ — „სამგურალი“.

არ არის გამორიცხული, მოგვიანებით ჩატარდეს *„ბათუმი“ — „გორდას“ მატჩი.* შეგახსენებთ, ასევე 29-ში გაიმართება საქართველოს სუპერთასის შეხვედრაც. თასს ერთმანეთს „დინამო“ და „ტორპედო“ შეეცილებიან. ეს მატჩი თბილისში, „ეროვნულ“ სტადიონზე, ისევე როგორც თასის შეხვედრები დღის სამ საათზე დაიწყება.

ვანო ოქროპირიძე

ფანიაშვილი ფინალშია



ბურაბ დოლიძეიშვილის ფოტო

ლევან ფანიაშვილი

პირველიდან თხუთმეტ მაისამდე ისრაელი თექვსმეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს უმასპინძლებს. ფინალურ ეტაპს სხვებთან ერთად ქართველი მსაჯი ლევან ფანიაშვილიც მოემსახურება.

ფანიაშვილი რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა მალტიდან, სადაც თექვსმეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მომსახურე სხვა კანდიდატებთან ერთად წინასწარ ტესტირებას გადიოდა. იქ მსაჯები კუპერის ტესტსა და ინგლისური ენის ცოდნაში გამოსცადეს. საუკეთესო დრო მავან უკრაინელ შავოსანს უჩვენებია — 12 წუთში 3380 მეტრი გაურბენია. ფანიაშვილმა აღნიშნულ დროში 3080 მეტრის დაფარვა შეძლო და მეთერთმეტე ადგილი დაიკავა. ლევანს ინგლისურშიც უყოჩაღია და შედეგად, რამდენიმე დღის წინ ფეხბურთის ფედერაციაში უეფადან ფაქსი მოვიდა — ტურნირის ორგანიზატორები ქართველ მსაჯს ისრაელში იწვევენ.

აღთქმულ მიწაზე ფანიაშვილი 29 აპრილს გაემგზავრება. ფინალური ეტაპის წინ გენერალურ ტესტირებას გაივლის და პირველიდან ათ მაისამდე რვაგუნდიან ევროპის ჩემპიონატზე სამ მატჩს განსჯის. კარგი გარჯის შემთხვევაში კი შესაძლოა ისრაელში ყოფნის ვიზაც გაუგრძელონ, ათიდან თხუთმეტ მაისამდე ხომ ნახევარფინალური და ფინალური მატჩებია დანიშნული.

პაატა კვანტალიანი

ნემსაძე პორტსმუთშია

ნაკრების კაპიტანი ინგლისში მიიწვიეს

საქართველოს ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე დღეს-ხვალ ინგლისის პირველი დივიზიონის „პორტსმუთთან“ კონტრაქტს გააფორმებს.

გიორგი ინგლისის სამხრეთიის ქალაქში გუშინ ჩავიდა და კლუბის ხელმძღვანელებსაც ესაუბრა. პირობები უკვე შეთანხმებულია, ფორმალური საკითხებიღაა მოსაგვარებელი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგანაც პორტსმუთში უკვე გაგზავნილია შესაბამისი სერთიფიკატი.

— ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. პორტსმუთიდან თბილისში დამირეკეს და ჩასვლა მთხოვს. ვიზის საქმე მომიგვარეს, სასტუმრო დამიჯავშნეს, გულთბილად შემხვდნენ, კონტრაქტის ერთ პუნქტზეც კი არ გვიკამათია. ახალ კლუბთან ალბათ ხვალვე ვივარჯიშებ. თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია. შესაძლოა, ახლაც მომაკითხონ და კონტრაქტზე ხელმოწერა მთხოვონ. წინასწარი შეთანხმებით „პორტსმუთში“ ამ სეზონის დამთავრებამდე დავრჩები, მერე კი ვნახოთ... სხვას ვერაფერს გეტყვით — გვითხრა წუხელ პორტსმუთის სასტუმროში დაბინავებულმა გიორგი ნემსაძემ.

გიორგი იტალიის „რეჯანას“ სერია C-ში გავარდნის შემდეგ უგუნდოდ იყო დარჩენილი. მართალია ერთი-ორჯერ თბილისის „ლოკომოტივში“, „დინამოშიც“ ითამაშა, მაგრამ ეს სათვალავში ჩასაგდები არცაა — ყოველდღე უცხოეთიდან მიპატიჟებას ელოდა. მას ეხმიანებოდნენ სამარადან, სანკტ პეტერბურგიდან, კრივოი როგიდან... ნემსაძემ „პორტსმუთი“ ირჩია.

ისე, შეგახსენებთ, რომ ამ ინგლისურ კლუბს „აიაქსიდან“ გიორგი ქინქლაძის გადაბირებაც სურდა, არ გამოუვიდა, სამაგიეროდ კი...

კოგა ინასარიძე

სიონმა თბილისს ისევ მოუგო

ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის კალენდარულ მატჩში სტუმრად „თბილისის“ 4:3 დამარცხება ერთობ მნიშვნელოვანი გამოდგა ბოლნისელთათვის. ამ მოგებით ქვემოქართლელებმა შემდგომ დიდ წარმატებას (საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა) ჩაუყარეს საფუძველი.

ბოლნისელებმა სტუმრად გუშინაც სძლიეს პირველი ლიგის დებიუტანტებს და ისევ ოთხი ბურთი გაუტანეს, „სიონმა“ 4:1 გაიმარჯვა.

„თბილისი“ დამარცხდა, არადა, მასპინძლები ერთობ სოლიდური შემადგენლობით დაუხვდნენ ქვემოქართლელებს, რამაზ მუმლაძის განკარგულებაში გუშინ სხვებთან ერთად ტრავმებმოშუშებული კოტე მელქაძე, ამაშუკელი და გადელიაც იყვნენ. „თბილისელთა“ რიგებში კვლავაც არ უთამაშია შეუძლოდ მყოფ ექსბათუმელ ზვიად პაპიძეს, სამაგიეროდ, რამაზ მუმლაძემ კიდევ ერთი ახალწვეული დაუპირისპირა მეტოქეს. საუბარია თენგიზ დოლიძეზე, რომელიც ცოტა ხნის წინ „მერანთან“ ერთად ემზადებოდა. ეს ფეხბურთელი პირველი ლიგის გუნდებიდან „ალაზანში“ და „კახეთში“ ასპარეზობდა, ერთხანს კი რუსეთშიც იყო სათამაშოდ. დოლიძის გამოცდით კმაყოფილმა რამაზ მუმლაძემ „სარბიელს“ განუცხადა, რომ თენგიზი კარგად შეეწყო მათ სათამაშო სტილს და მისი „თბილისში“ დარჩენა ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

პაატა ქვანტალიანი

გურამ დოლიძეა მარცხენა ფოტო

თბილისელი მწვრთნელები რამაზ მუმლაძე
და ბორის სიჭინავა ბოლნისელებმა ძლიერ ანერვიულეს

გორდა თამაშობს და ითხოვს

გუშინ რუსთავში „გორდამ“ მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშა „ზოოვეტთან“, 2:0 იმარჯვა და ამხანაგური შეხვედრების წაუგებელი სერია შვიდამდე გაზარდა. მასპინძლებს საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრებში გამოძახებული ძმები კილასონიები აკლდათ, რეგიონალურლიგელები კი სრული შემადგენლობით ეწვივნენ რუსთავს. ელგუჯა გუგუშვილის შეგირდებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს გორდელებს, მაგრამ ბოლოს მაინც გატყდნენ. გვარიანად წამხდარ „ფოლადის“ საფარზე გოლები დავით ბერიძემ და „სკონტო 2“-დან დაბრუნებულმა ლაშა სილაგაძემ გაიტანეს. გუშინვე უნდა გარკვეულიყო „გორდას“ ახალი მეპატრონის ვინაობაც, მაგრამ, რუსთაველთა თქმით, ეს საკითხი ორიოდ დღეში გაირკვევა. როგორც გუშინ გაცნობეთ, „გორდა“ უახლოესი ორი თამაშის (თასის მერვედფინალური მატჩი „ბათუმთან“ და კალენდარული შეხვედრა „არსენალთან“) გადადებას ითხოვს, თუმც რუსთაველებს გუშინ ფედერაციაში ოფიციალური განცხადება არ წარუდგენიათ. სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტში „გორდას“ წარმომადგენელს დღეს ელოდებიან.

პაატა ქვანტალიანი

საშუალოზონო მიდი-მოდი

I–VIII	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო *დავით ყიფიანი*	მაზანიშვილი(სიონი),კ.ჯანშია,ჩხაბერიძე(სამგურალი),ვ.მაისურაძე(თბილისი)	გ.გოგოლაძე,თავბერიძე,ვადაქკორია,კვირნაძე,ბაბუნაშვილი(ინტერი),ქადაგიძე(ნორჩიდინამელი)	ქოიზმეთესფორი(თურქეთი)5:0,შინიკი(რუსეთი)0:1,ნოსტა(რუსეთი)2:2,ვენტაპილსი(ლატვია)2:1,ანთალია 2(თურქეთი)3:1,იესილი (ყაზახეთი)0:0,ლევსკი(სოფია,ბულგარეთი) 1:2,ყაზახეთი2:2,დუსტლიკი(უზბეკეთი)4:3,სპარტაკი(ვარნა,ბულგარეთი) 1:3,სამგურალი4:0
დინამო *ოთარ კორძაია*	აშვეთია(ალანია,რუსეთი),ალექსიძე(ბელასიცა,ინგლისი),ლომაია(ლოკომოტივი), ზარაქიშვილი(მელასიცა,პეტრიჩი,ბულგარეთი),ხომერიკი(ბათუმი),თ.კობაშვილი(ვიტჯორჯია),ვ.გოგიაძე,ს.გოგიაძე(ანჟი,რუსეთი)	გოგიჩაიშვილი(ლოკომოტივი),კერძეკაძე(ქიაფაზი,აზერბაიჯანი),ქემოკლიძე,ო.გველესიანი,ზამთარაძე,რუხაძე,გ.მიქაძე,ა.ჩიხრაძე (თბილისი),დათუაძე(სიონი),შელია(მანჩესტერსიტი,ინგლისი), რ.არველაძე(ობერჰაუზენი,გერმანია),გონჩაროვი(არსენალი),ჩხეიძე(არ თამაშობდა)	ვიტჯორჯია3:2,ლოკომოტივი1:2, საქართველოU21 2:2,ცაგდინამო(ყირგიზეთი)5:2,ვარზობი(ტაჯიკეთი)3:5,ირტიშბასტაუ (ყაზახეთი) 5:2, მერანი 0:0, დეპრეცენი (უნგრეთი) 0:1, რუბინი (რუსეთი) 2:3, დინამო (რუმინეთი) 4:2, პოლონია (პოლონეთი) 2:3
პოლხეთი *გია ტყემუშავა*	დ.გოგოლაძე(ვენტაპილსი,ლატვია),ჭოხონელიძე(თსუ),მელაძე(გორდა),ბულუხია,გ.გიორგაძე(თამაშიმიატოვეს)	მ.ქობულაძე,შავგულიძე(ლოკომოტივი),გ.ჩიტაია(დილა),ფანჩულიძე,შ.ჩხენკელი(ტრავმის გამო არ თამაშობდნენ),დ.კვირკველია,კრასოვსკი(კოლხეთი 2),რ.ახალკაცი(მუმენი,ბულგარეთი)	ნივა(ტერნოპოლი,უკრაინა) 1:1,სტალი(ალჩევსკი,უკრაინა) 0:1, 1:1,პოლიგრაფტეხნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, 0:2,ობოლონ პპმ (კიევი, უკრაინა) 0:0
ბათუმი *ვალი კარნეველე*	პაპიძე, გადელია(თბილისი),კანტიძე(თამაშიმიატოვა), უვაკვე (?)	ხომერიკი(დინამო),ჩლაიძე,თარგამაძე(არსენალი),პეტრიაშვილი(სამგურალი)	რეშიცა(რუმინეთი) 1:2,არეცო(იტალია)3:1, სტიაუა(რუმინეთი)3:4,არჯეში(რუმინეთი) 1:2, ზაგლებიე(პოლონეთი) 4:1, ვისლა(პოლონეთი)3:2
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	კ.ალადაშვილი(გორდა),მ.ზიაშვილი(თსუ)	ლ.მელქაძე(თბილისი),ი.ხაჭაპურიძე(სამგურალი),თ.კობიაშვილი(დინამო)	ზოოვეტი5:0,დინამო2:3,თსუ6:4,დილა 1:0,მერანი0:0,სიონი 1:0,საქართველოU21 1:0,არსენალი2:1,ფენდიქსფორი(თურქეთი)3:1,სპორტული(რუმინეთი) 1:1,სლოგა(მაკედონია) 3:0,ნოიდორფი(ავსტრია)0:0,პოგონი(პოლონეთი) 1:1
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	დათუაძე(დინამო),დ.გოდერძიშვილი(ლოკომოტივი),ნ.მინდიაშვილი,ი.ნადირაძე(არსენალი)	მაზანიშვილი(ტორპედო),ისიანი(თბილისი),დაუშვილი(არსენალი),ბ.შენგელია(ივერია)	ვიტჯორჯია0:1,არსენალი 1:1, 1:3,გორდა 1:1,0:0,ზოოვეტი 8:2, თბილისი4:1
დილა *მერაბ კოქლაშვილი*	გ.ჩიტაია(კოლხეთი),თაყაძე(მერიფი,მოლდოვა)	საყვარელიძე(დილას სკოლა)	ვიტჯორჯია0:1,ლოკომოტივი3:1,თსუ0:0,თბილისი0:2, 1:0, მერანი0:0, 0:5,არსენალი 1:1
იბერია *სოსო ფრუიძე*	კ.მეტრეველი(დნეპრი,უკრაინა), ზ.მეტრეველი(ნივა,ტერნოპოლი,უკრაინა),დარსაძე(სამგურალი),ქველაძე(?)		

IX–XVI	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	გოგიჩაიშვილი(დინამო),მ.ქობულაძე,შავგულიძე(კოლხეთი), ლ.მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (რაკლისი, საბერძნეთი), ბარამიძე (პიერიკოსი, საბერძნეთი), დ.ჯანელიძე, წიწიკაძე (არსენალი), ჩომახიძე (ნივა, ტერნოპოლი,უკრაინა),კ.მელქაძე,ამაშუკელი(თბილისი),ნემსაძე(პორტსმუთი, ინგლისი),დოლაბერიძე, ბარნოვი(?)	ლომაია(დინამო),კვარაცხელია, აბრამიძე, ზ.ხიზანიშვილი(თბილისი),ხუროძე(სკონტო,ლატვია), ძოძუაშვილი(სამგურალი),დ.გოდერძიშვილი(სიონი),პარამონოვი(თბილისი2),ჭიჭვეიშვილი(ალანია, რუსეთი),თოლორდავა(მერანი),ა.ჯელაძე(ალიტიპადი,საუდეთი),გ.გვაზავა(თსუ),ონიანი (ზობი), ნიკურაძე,გულორდავა(გურია),მორჩილაძე,არეშიძე(ლოკომოტივი2),დეკედარიანი(ცხუმი),გამცემლიძე(არ თამაშობდა)	დინამო2:1,დილა 1:3,მერანი2:2, 0:1,თსუ 1:0,2:2,ასკ(ხაბაროვსკი, რუსეთი) 2:1,აეკ (ლარნაკა, კვიპროსი) 1:0,შერიფი(მოლდოვა)0:2,ლადა 3:3ზ(ტოლიატი,რუსეთი) 1:3
გორდა *იასონ ალადაშვილი*	ინსარიძე (თორი), ლ. ალადაშვილი (აპოლონი, საბერძნეთი), თელიაშვილი (?)	კ.ალადაშვილი(ვიტჯორჯია),ბედიაშვილი(თბილისი),გაბარაევი(მამული),დ.ნიკლაური,სულაშვილი, ძებისაშვილი, ლ. კაპანაძე (ხალიბი), ლ. სილაგაძე (სკონტო 2, ლატვია), მელაძე (კოლხეთი), ბურნაძე, გ.კილასონია, შ.მეტრეველი, თ.მეტრეველი (არ თამაშობდნენ)	სიონი 1:1,0:0,ხალიბი4:3,3:2,2:0, ზოოვეტი2:0
თსუ *თენგიზ კაცია*	ნინუა(ბელასიცა,პეტრიჩი,ბულგარეთი),გ.გვაზავა(ლოკომოტივი),ჯობაძე (არსენალი)	მაზიაშვილი(ვიტჯორჯია),ებრალიძე(თბილისი),სულავა(ნორჩიდინამოელი),ჭოხონელიძე(კოლხეთი)	ვიტ ჯორჯია 4:6, ლოკომოტივი 0:1, 2:2, ამირანი 1:0, ზოოვეტი 4:2,დილა0:0, ზუგდიდი0:1
მერანი *სერგო გაბელაია*	ხარებავა,ე.ალადაშვილი (არსენალი), დავითაშვილი (არსენალი, ტულა, რუსეთი),ბ.ამბიძე,ლ.ამბიძე(დინამო,ასტრახანი,რუსეთი)	კოშკაძე,ავალიანი,მელიქია,კვანტალიანი,მიკუჩაძე(ამირანი),გ.ილურიძე,აბულაძე(განთიადი), ბოლქვაძე(გურია),ა.ხორხელი (არ თამაშობდა)	ვიტ ჯორჯია 0:0,ლოკომოტივი 2:2, 1:0,დინამო 0:0, ჭაბუკიანი 1:1,ცხუმი0:0,3:1,დილა 0:0,5:0,ლოკომოტივი 2:3:1,მეტალურგი 3:0,აკადემია 1:0,2:0
თბილისი *რამაზ მუმლაძე*	ქემოკლიძე,ო.გველესიანი,ზამთარაძე,რუხაძე,გ.მიქაძე,ა.ჩიხრაძე(დინამო),კვარაცხელია,აბრამიძე, ზ.ხიზანიშვილი (ლოკომოტივი), ისიანი(სიონი),ლ.მელქაძე(ვიტ ჯორჯია),ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია),ბედიაშვილი(გორდა),ებრალიძე(თსუ)	ვ.მაისურაძე(ტორპედო),პაპიძე(ბათუმი),ნორაკიძე,ჩივაძე,ახალაია(თბილისი2),კოხრეიძე(სამგურალი), კ.მელქაძე,ამაშუკელი (ლოკომოტივი), ხუციშვილი(მერიფი,მოლდოვა),გადელია (ბათუმი),ყუფარაძე,(არსენალი),გ.ლუდუშური, თ.დოლიძე(არ თამაშობდნენ)	დილა 2:0,0:1,საქართველოU18 0:0,ს.ა.იბერია0:0,ჭაბუკიანი 3:1,აკადემია 2:1,სიონი 1:4
სამგურალი *იასონ ბზიკაძე*	ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი.ხაჭაპურიძე(ვიტ ჯორჯია),პეტრიაშვილი (ბათუმი),კოხრეიძე(თბილისი),კოპალიანი(XXსაუკუნე)	კ.ჯანშია, ჩხაბერიძე (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა),გიორგობიანი(ლუჩი,ვლადივოსტოკი,რუსეთი),დარსაძე(იბერია)	ინტერი8:0,გაგრა 5:2,ტორპედო 0:4
ზობი *უფლერონელიდ*	ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ონიანი (ლოკომოტივი),ნიკაბერიძე, ბაბუაძე,გოგიტაძე, ზ.კვეკვესკირი,თორია (?)		
არსენალი *ჯონი ჯანელიძე*	ჩლაიძე,თარგამაძე(ბათუმი),გონჩაროვი(დინამო),დაუშვილი(სიონი),ყუფარაძე(თბილისი),მ.მისურაძე(?);მამუკა გეგეჭკორი(მწვრთნელი, დადასტურებულ)	ხარებავა,ე.ალადაშვილი(მერანი),დ.ჯანელიძე,წიწიკაძე(ლოკომოტივი),ქოიავა(არაგვი),ი.კაპანაძე, ნ.მინდიაშვილი(სიონი),გ.ტულეში(ცხინვალი),ჯობაძე(თსუ),შუკაკიძე(ზოოვეტი);ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი)	სიონი 3:1, 1:1,ვიტ ჯორჯია 1:2,არსენალი 2:3:0,აკადემია 3:0, დილა 1:1,მეტალურგი 4:0,ლოკომოტივი 2:3:1

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დასრულებული ტრანსფერებია

დემეტრაძემ მილანს გაუტანა

მესამე ჩვენებურის გოლი სან სიროზე

სამშაბათს, 22 თებერვალს, მილანში ამხანაგური მატჩი შედგა. კიევის „დინამომ“ „მილანს“ 2:1 მოუგო. გადამწყვეტი გოლი იტალიელებს უკრაინელთა ახალშენაძენმა გიორგი დემეტრაძემ გაუტანა. ეს შეხვედრის 66-ე წუთზე მოხდა. იმ დროისათვის ანგარიში 1:1 გახლდათ.

თუ გახსოვთ, ამ კლუბებმა ამხანაგურად შარშანაც ითამაშეს. ის მატჩიც მილანში, „სან სიროს“ სტადიონზე გაიმართა და მაშინაც სტუმრების გამარჯვებით დასრულდა — 2:1. „მილანს“ გამარჯვების გოლი შარშანაც ქართველმა ფეხბურთელმა, კახა კალაძემ გაუტანა, რომელმაც 90-ე წუთზე ჯარიმიდან უნაკლოდ დაარტყა. თუმცა ამ გამარჯვებას (და იმ გოლსაც) ალბათ უფრო მეტი ფასი ჰქონდა, რადგან მაშინ „მილანმა“ თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ითამაშა. ახლა კი...

როსი, კავალიერო, აგაცონე, სალა, ჰელვეგი, ჯუნტი, ალბერტინი, გული, ბობანი, შევჩენკო, ლეონარდო — სწორედ ეს თერთმეტი ფეხბურთელი ათამაშა „მილანის“ თავკაცმა ალბერტო ძაკერონიმ პირველ ტაიმში. მეორეში კი ერთბაშად ექვსი ცვლილება მოახდინა. როსის, ჰელვეგის, ალბერტინის, შევჩენკოს, ბობანისა და ლეონარდოს ნაცვლად სრულიად უცნობი ფეხბურთელები შეიყვანა. კიეველებმა კი თითქმის სრული შემადგენლობით ითამაშეს. ლობანოვსკის გუნდს ერთი სერგეი რებროვი აკლდა. იგი განაცხადში საერთოდ არ ყოფილა.

პირველ ტაიმში „დინამო“ ძალიან ცუდად გამოიყურებოდა და უკრაინული პრესისგან კრიტიკაც დაიმსახურა. კარსმომდგარ ჩემპიონთა ლიგაშიც თუ ასე ვითამაშეთ, ცუდად წაგვივა საქმეო, დაიწერა იქაურ პრესაში.

ანგარიში მე-11 წუთზე შევჩენკომ გახსნა. იტალიის ჩემპიონატის ამჟამინდელმა ბომბარდირმა თანამემამულე მცველებს თავგზა აუბნია და თავის ყოფილ კლუბს ლამაზი გოლი შეუგდო. წონასწორობის აღდგენა უკრაინელებმა პირველი ნახევრის მიწურულს შეძლეს, თავი ხაცკევიჩმა გამოიჩინა.

მეორე ტაიმში კიეველები აშკარად უკეთ ათამაშდნენ, ეს ალბათ „მილანში“ მომხდარი ცვლილებების ბრალი იყო. გააქტიურდა გიორგი დემეტრაძეც, რომელმაც პირველ ნახევარში ბევრი შეცდომა დაუშვა. 66-ე წუთზე „დინამომ“ კარგი შეტევა განახორციელა — ხაცკევიჩი-შაკიხი-დემეტრაძის კომბინაცია ქართველის გოლით დასრულდა. როსის შემცვლელმა ფიორომ ცხრიანისკენ მიმავალ ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლა. დემეს მანამდეც შეეძლო გატანა, მაგრამ სანტიმეტრებით ააცილა. მატჩის მიწურულს „დინამომ“ კიდევ ორი საგოლე მომენტი შექმნა. ჯერ კალაძემ ითამაშა კარგად, როცა ნახევარი „მილანი“ მოატყუა და ძელს გაარტყა ბურთი. ბოლოს კი ისევ დემეტრაძემ ვერ ივარგა უმეთვალყურეოდ მყოფმა კალაძის წამოწყებული შეტევა ხუთიოდე მეტრიდან არაზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. მომენტები „მილანსაც“ ჰქონდა, თუმც შოვკოვსკიმ არაერთხელ იმარჯვა.



ფოტო: ალექსანდრე ბერეზოვსკი

გიორგი დემეტრაძე

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: შოვკოვსკი, მამედოვი (ფედოროვი 84), გერასიმენკო, ნესმაჩნი, გუსინი, კალაძე, ბელკევიჩი, ხაცკევიჩი, შაკიხი (კოსტიუკი 71), დემეტრაძე.

შეიძლება ითქვას, ჯუზეპე მეაცას სახელობის „სან სიროს“ სტადიონი ქართველ ფეხბურთელებს კარგად აქვთ დაცდილი. გიორგი დემეტრაძე მესამე ჩვენებურია, რომელმაც დავით ყიფიანისა და კახა კალაძის მსგავსად ამ სარბიელზე გოლის გატანა შეძლო.

ვანო ოქროპირიძე

რუსეთი ოქროს ტბაში

რუსეთის მეორე ლიგის ნოემბერსკის „ჩკალოვეცის“ საქართველოში დაგეგმილი სტუმრობის შესახებ ადრეც ვიუწყებოდით. ციმბირელები ათი დღის წინ აპირებდნენ ჩვენთან ჩამოსვლას. ისინი ფოთის მახლობლად მალთაყვაში სამკვირიანი შეკრების მოწყობას აპირებდნენ. „ჩკალოვეცის“ ვიზიტი შეფერხდა. საბოლოოდ კლუბი 14 თებერვალს კი არა, გუშინწინ გამოჩნდა დანიშნულების ადგილზე. 21-ში გუნდი ნოემბერსკიდან ერევანში ჩაფრინდა, იქ კი ავტობუსი დაუქირავებია და ჩვენი ზღვისპირეთისკენ გამოუწევია.

„ჩკალოვეცი“ სააქციო საზოგადოება „არგოს“ კეთილმოწყობილ სასტუმრო „ოქროს ტბაში“ დაბინავდა და როგორც ციმბირელთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა ვლადიმერ პოპონინმა გვითხრა არასრული შემადგენლობით. თქვენებურ ლეგიონერებს და გუნდის თავკაც სერგო ირომაშვილს ველოდებითო. ნოემბერსკელთა მთავარი მწვრთნელი მოსკოვში ყოფილა სხვადასხვა საკითხების მოსაგვარებლად და 4-5 დღეში ჩვენთან ერთად იქნებაო. გუშინ დილით პოპონინმა სავარჯიშოდ გაიყვანა ბიჭები. რუსები პირობებით კმაყოფილნი არიან. პოპონინის თქმით „ჩკალოვეცი“ რამდენიმე საკონტროლო მატჩს გამართავს ქართულ გუნდებთან.

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

სამოსელი დროშის ფერი

მინი-ფეხბურთში მაინც შევძლოთ მიუღწეველი

საქართველოს მინი-ფეხბურთის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩების გასამართად ხორვატიაში მიემგზავრება. შესარჩევი ეტაპის შეხვედრები აზერბაიჯანში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ, მოგეხსენებათ, ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას ფიფამ უფლებამოსილება შეუჩერა და მინიფეხბურთელები აგრებში შეიკრიბებიან.

ჩვენებურები ჯგუფში მასპინძელ ხორვატებთან, ჩეხებთან, ბერძნებთან და აზერბაიჯანელებთან ერთად იასპარეზებენ. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე კი მხოლოდ პირველ ადგილზე გასული მოხვდება. ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა იმედიანადაა განწყობილი და შეეცდება, ქართული ფეხბურთი (მართალია, მინის დონეზე) ბოლოს და ბოლოს პლანეტის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე გაიყვანოს.

გუშინ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლევან ყიფიანმა რამდენიმე მინიფეხბურთელთან ერთად პრესკონფერენცია გამართა. მის დაწყებამდე კი ფორმის პრეზენტაცია მოხდა. თეთრი ფერისა და წითელ ზოლებიანი ტრუსმაისურა სამამულო ნაწარმია და სამკერვალო ფაბრიკა „სამოსშია“ დამზადებული. ეს ფერები შემთხვევით არ გაჩენილა ნაკრების ფორმაზე. როგორც ლევან ყიფიანმა თქვა — ამბობენ, საქართველოს დროშა უნდა გამოიცვალოს და ახალი სწორედ თეთრ-წითელ ფერებში იქნებაო. ფეხბურთელებს მკერდზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემა დაამშვენებთ. ნაკრებს სწორედ სფფ აფინანსებს მინიფეხბურთის ასოციაციასთან ერთად.

— 26-ში მივემგზავრებით მოსკოვში და მეორე დღეს ზაგრებისკენ ავიღებთ გეზს — თქვა ლევან ყიფიანმა — 27 თებერვალს გვაქვს დაგეგმილი ვარჯიში იმ დარბაზში, რომელშიც პირველი შეხვედრა გვექნება აზერბაიჯანის ნაკრებთან 28-ში. მეორე დღეს შევხვდებით ხორვატებს, 1 და 2 მარტი დასვენების დღეებია, 3-ში ჩეხეთის ნაკრებს ვეთამაშებით, 5 მარტს კი — ბერძნებს. ხორვატებმა ჯგუფური ტურნირის მატჩების განრიგთან ერთად ყველა გუნდის ვარჯიშების განრიგებიც მოგვაწოდეს.

ფოტო: ალექსანდრე ბერეზოვსკის

ნაკრების ლეგიონერი ალიკ სარქისიანი (№18) ირანელებთან მატჩისას

— ნაკრებში როგორი განწყობაა?

— გუნდი სრულ მზადყოფნაშია. ერთი დიდი დანაკლისი მაინც გვაქვს — დავით სოლოღაშვილი გამოგვაკლდა. იგი მენისკის ოპერაციას იკეთებს. მოსკოვიდან შეგვიერთდებიან ლეგიონერები: ბესიკ ზოიძე და ანდრო მიზანდარი. მათ გარდა კიდევ ორი უცხოეთში მოთამაშე გვეყოლება ალიკ სარქისიანი და ნიკა კბილაძე. რაც შეეხებათ დანარჩენებს, ჩვენ სამი ფეხბურთელი დავიმატეთ — „აკადემიის“ მეკარე ავთო ჩაჩიბაია და რუსთავიდან ძმები გია და ვარლამ კილასონიები. ვფიქრობთ, ისინი ძალიან დაგვეხმარებიან. ნაკრების წევრთა უმრავლესობას ფუძალის წესებით თამაშის გამოცდილება აქვს. მინი-ფეხბურთის ოფიციალური ტურნირები სწორედ ფუძალის წესებით ტარდება — ძალიან განსხვავდება იმისგან, რასაც ჩვენში ხშირად თამაშობენ. სულ სხვა ბურთია, მოედანზე ოთხი ოთხის წინააღმდეგაა, აუტიდან ბურთის თამაშში შეტანა ფეხით ხდება, აკრძალულია ეგრეთწოდებული „პადკატის“ გაკეთება, მეკარეს მხოლოდ ოთხი წამის განმავლობაში შეუძლია ბურთის ფლობა და სხვა.

— მეკარეებზე თუ გაქვთ წარმოდგენა?

— ხორვატიის ნაკრები 1998 წლის ევროპის ჩემპიონატზე რვა უძლიერეს გუნდს შორის მონაწილეობდა და არცთუ ურიგოდ. მათ შესახებ მოვიპოვეთ ინფორმაციები და უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალაა. მოსკოვში ვნახეთ აზერბაიჯანის მინიფეხბურთელთა კლუბის თამაში, რომლის წევრებიც ქვეყნის ნაკრების უმრავლესობას წარმოადგენენ და გარკვეული შთაბეჭდილებები შეგვექმნა. სამხრეთულ სტილში თამაშობენ, ისევე როგორც ჩვენ და მათთან პაექრობა იოლი არ იქნება. წესით, არც ჩეხეთის ნაკრებს უნდა ჰყავდეს ცუდი გუნდი, თუმცა მათზე არანაირ ინფორმაციას არ ვფლობთ. ისე, ამ ქვეყანაში დიდი ხანია, მინიფეხბურთს მისდევენ. რაც შეეხებათ ბერძნებს, ეს ნაკრები ჩამოყალიბების პროცესშია და ახლა დგამენ პირველ ნაბიჯებს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა გუნდს თანაბარი შანსები აქვს, თუმცა ოდნავი უპირატესობა ალბათ საკუთარ კედლებში მოასპარეზე ხორვატებს უნდა მიენიჭოს. საქართველოს ნაკრებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს — პირველი ადგილი და შედეგად მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა. იმასაც გეტყვით, რომ სხვა ჯგუფებიდან გავიდნენ რუსეთის ნაკრები, ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მაინც შეძლო ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვება ესპანეთმა, რომელმაც უკრაინის ნაკრებს მხოლოდ 1:0 მოუგო, მერე კი ძნელად დაძლია სლოვენიის ბარიერი. აგრეთვე უნდა აღვნიშნო სომხეთის მინიფეხბურთელთა სიურპრიზის შესახებ. თუ გახსოვთ, თბილისში მათ ასტრონომიული ანგარიშით მოუგეთ. ჯგუფურ მატჩებში კი სომხებმა ფრანგებს აჯობეს, თუმცა წინა დღეს ესპანეთთან 1:17 წააგეს. ისე, საფრანგეთის ნაკრები ჩვენც დავამარცხეთ, 1998 წელს იტალიაში, შესარჩევ ტურნირზე. გავაგრძელებ ევროპიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე მოხვედრილთა ჩამოთვლას — ესე იგი, რუსეთი, ესპანეთი, ჰოლანდია და პორტუგალია. სულ 5 ადგილი აქვს ჩვენს კონტინენტს და მეხუთე საგზური სწორედ ხორვატიაში თამაშდება.

ნაკრები ხორვატიაში 12 ფეხბურთელით მიემგზავრება: ზაქაიძე, ჩაჩიბაია, ძაბირაძე, კბილაძე, დევდარიანი, თორთლაძე, ტყავაძე, სარქისიანი, მიზანდარი, ზოიძე და ძმები გია და ვარლამ კილასონიები.

წარმატებები ვუსურვოთ მათ და იმედი დავიტოვოთ, რომ საქართველო მინი-ფეხბურთში მაინც მიაღწევს იმას, რაც დიდ ფეხბურთში აუხდენელ ოცნებად გადაექცა.

ხვიჩა სანიკიძე

თითქმის უერროვნულოდ და მხოლოდ შანსიანი ბათუმით

ტორპედოს მარტო გაუჭირდება

გუშინ ფედერაციამ დანაპირები პრესკონფერენცია გამართა. საუბარი უეფას მიერ სტადიონების დასათვალიერებლად გამოგზავნილი დელეგაციის ვიზიტს შეეხო. უცხოელ სტუმრებს თბილისში, ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში მეგზურობას ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწე ნიკა კარიჭაშვილი და საერთაშორისო განყოფილების უფროსი დავით პეტრიაშვილი უწევდნენ. პრესკონფერენციაზე სწორედ ეს ორი პიროვნება გამოცხადდა სფფ-ს პრეატაშე მამუკა კვარაცხელიასთან ერთად.

მცირე შესავლის შემდეგ დავით პეტრიაშვილს ვთხოვეთ, დაწვრილებით მოეთხრო თუ ვინ იყვნენ უეფასგან საქართველოში მოვლენილნი და როგორი შთაბეჭდილებები დარჩათ ქართული საფეხბურთო არენების ნახვისას. როგორც მოგეხსენებათ, დავით პეტრიაშვილი ჩემპიონთა ლიგის მატჩებზე უეფას დირექტორად გვევლინება და კარგადაა ჩახედული ამ საკითხში. იგი 26 თებერვალს კიევს მიემგზავრება „დინამო“ — „რუსენბორგის“ შეხვედრაზე, რათა თამაშის მაღალ დონეზე ჩასატარებლად მისი ორგანიზაციული მხარე გააკონტროლოს.

თავადაც წაიკითხავთ — თუ გვეღირსა მსგავსი მნიშვნელობის გათამაშებაში მონაწილეობა, შინაურ სარბიელზე თამაში, რბილად რომ ვთქვათ, სათუოა...

დავით პეტრიაშვილი:

— როგორც იცით, რამდენიმე დღის წინ გვეწვია უეფას დელეგაცია ბატონების — კის დე ბრუინისა და რობერტ ბოსერტის შემადგენლობით. მათ დავალებული ჰქონდათ იმ სტადიონების შემოწმება, რომლებსაც მომავალში შეეძლებათ ფიფასა და უეფას ეგიდით ჩატარებული მატჩების მასპინძლობა. კის დე ბრუინი გახლავთ უეფას სპორტულ ნაგებობათა კომიტეტის წევრი, რობერტ ბოსერტი კი უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიუროს მენეჯერი.

სტუმრებმა ჯერ თბილისის „ეროვნული“, „შევარდენი“ და მშენებარე „მიხეილ მესხი“ მოინახულეს, შემდეგ — ქუთაისის „ტორპედოს“ სტადიონი, ფოთის „ფაზისი“ და ბათუმის „დინამო“.

დელეგაციის წევრებმა, მათი ფუნქციებიდან გამომდინარე, შეფასებებისგან თავი შეიკავეს. ისინი პატაკს წარუდგენენ უეფას სპორტულ ნაგებობათა კომიტეტს ჟენევაში. შემდგომ თავად კომიტეტი მიმართავს „ტასკ ფორსის“ კომიტეტს, რომელიც ყოველი სეზონის წინ, მაისში იკრიბება და ღებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას.

ჩვენის მხრივ კი შეგვიძლია ავღწეროთ, რა სურათი ვიხილეთ თითოეულ სტადიონზე და რა შენიშვნები გაგვიზიარეს სტუმრებმა. დავიწყოთ ეროვნული არენით.

ეროვნული

— იმ მდგომარეობაში, რომელშიც ეს სტადიონი იმყოფება, რა თქმა უნდა, გამორიცხულია ფიფას და უეფას ეგიდით ჩატარებული მატჩების იქ გამართვა. დღემდე დიდ პრობლემად რჩება განათების ძველი სისტემა. ასევე წესრიგშია მოსაყვანი სანიტარული პირობები, სველი წერტილები და სხვა. ეს ეხება სტადიონის შემოგარენსაც. როგორც იცით, იქ მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და უეფა კრძალავს ასეთ დროს თამაშებს. რადგან უსაფრთხოება დაცული არ არის.

შევარდენი

— მასშტაბებით, რა თქმა უნდა, ეს სტადიონი ჩამოუვარდება ეროვნულს, მაგრამ იმისათვის, რომ იქ უფრო დაბალი რანგის შეხვედრები გაიმართოს დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი. დასამონტაჟებელია ინდივიდუალური სკამები, ოღონდ მთლიანად უნდა გამოიცვალოს მათი დასამაგრებელი ტრიბუნები. საშხაპეებს არა უშავს. ამას რომ ვამბობ, იმ მასშტაბებს ვგულისხმობ, რომელმაც უნდა დაკმაყოფილოს ისეთი მატჩების ორგანიზება, რომლის დროსაც აუცილებელი არ იქნება განათების სისტემა. თუ „შევარდენის“ მესვეურები უფრო მაღალი დონის შეხვედრათა მასპინძლობას მოიწადინებენ, მაშინ განათების დამონტაჟებაც მოუწევთ.

მიხეილ მესხი

— უეფას დელეგაცია გაეცნო „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ პროექტს და აღფრთოვანებული დარჩა. თუ იგი განხორციელდა და საქმე ბოლომდე მივიდა, მაშინ ჩათვალეთ, რომ საქართველოში „მიხეილ მესხის“ სახით ხუთვარსკვლავიანი საფეხბურთო არენა გვექნება. რა თქმა უნდა, ამას დრო სჭირდება, მაგრამ ხელმძღვანელობამ აღუთქვა სტუმრებს, რომ სავარაუდოდ წლის ბოლომდე ყველა სამუშაო დასრულდება.

დავით პეტრიაშვილი

ტორპედო

— ქუთაისის სტადიონმა მართლაც დიდი პროგრესი განიცადა. მოგეხსენებათ, ამ ვიზიტამდე კიდევ ოთხი საინსპექციო ვიზიტი ჩატარდა. კის დე ბრუინსა და რობერტ ბოსერტს თან ჰქონდათ ოთხივე დელეგატის ადრინდელი პატაკები ყველა სტადიონის შესახებ და შედარებებს ახდენდნენ, თუ რა სამუშაოები ჩატარდა. ამ მხრივ ქუთაისის სარბიელის ნახვით აღფრთოვანებულები დარჩნენ, რადგან, პირველი პატაკიდან გამომდინარე, იქ დიდი ძვრებია. — სულ 3 ათასამდე ინდივიდუალური სკამის დამონტაჟებაღაა დარჩენილი, განათების სისტემაც მალე გაიმართება, მაგრამ დიდ პრობლემად რჩება ის, რომ შესაფერისი სასტუმრო არ არის და სტუმარი გუნდის მიღება ქუთაისში შეუძლებელი ხდება. ფოთში მისი დაბინავება კი არ გამოდის, რადგან ეს ქალაქები ერთმანეთისგან 110 კმ-ითაა დაშორებული და ამ გზის ავტობუსით ერთ საათში დაფარვა ვერ ხერხდება. უეფა კი ამის წინააღმდეგია.

— რაც შეეხება ვარციხის სამთავრობო რეზიდენციასა და წყალტუბოს სანატორიუმს, უნდა გითხრათ, რომ „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ ამ ნაგებობების ამსახველი საკმაოდ ვრცელი ფოტომასალა წარუდგინა უეფას დელეგაციის წევრებს, მაგრამ ვარციხის რეზიდენცია მცირე მასშტაბისაა და ის საფეხბურთო კლუბის მასპინძლობისთვის გამოუსადეგარია. წყალტუბოს სანატორიუმში კი საშხაპეების პრობლემაა. ყოველ სართულზე მხოლოდ საერთო საშხაპეებია და თითოეულ ნომერში არ არის.

— „ტორპედოს“ ერთი გამოსავალი აქვს — საღორიის ბაზა მაღალ დონეზე გარემონტდეს და ქუთაისელებმა იქ სტუმარი გუნდი დაბინაონ. პრინციპში ეს იგივე ინვესტიციაა. საღორიაზე ტორპედოელებს წელიწადში რამდენჯერმე მოუწევთ სტუმართა შეშვება, დანარჩენ დროს კი თავად იცხოვრებენ თანამედროვე ტიპის კომფორტულ ნაგებობაში. სხვა შემთხვევაში აუცილებელია ქუთაისში აშენდეს ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო. რა თქმა უნდა, ამ საქმეში კლუბის ხელმძღვანელებს სახელმწიფოს დახმარება სჭირდებათ. რეგიონისა და ქალაქის ხელმძღვანელობამ ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ „ტორპედოს“ მესვეურებთან ერთად მოკლე ვადაში შეძლოს ახალი სასტუმროს აშენება.

ფაზისი

— ფოთში დასამონტაჟებელია ინდივიდუალური სკამები და განათების სისტემა. ჩასატარებელია კოსმეტიკური სამუშაოებიც. „ფაზისი“ ტევადობით დიდი არაა. იქ სულ ორი ათასი სკამია, მათი რიცხვი კი 5 660-მდე უნდა შეივსოს. „კოლხეთის“ ხელმძღვანელებმა უეფას წარმომადგენლებს აღუთქვეს, რომ ყველაფერს მოაწესრიგებენ.

დინამო

— კარგად იცით, რა სწრაფად აშენდა სტადიონი ბათუმში და როგორ მოწონებით შეხვდა ამას უეფა, მაგრამ დღეს იქაც ბევრი პრობლემაა. ტრიბუნებიდან წვიმის წყლის ჩირდაპირ გასახდელებში ჩადინავს და ყოველდღიური რემონტი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. 10 ათასამდე სკამი აყარეს და აკეთებენ საიმედო იზოლაციას. მეორე სართულზე სასტუმრო იქნება. განათების სისტემა ბათუმში მხოლოდ 400 ლუქსი სიმძლავრისაა, საჭიროა 1200 ლუქსი. თუ ეს ყველაფერი მოწესრიგდა და ტრიბუნების გასაკონტროლებელი ვიდეოკამერებიც დამონტაჟდა, მაშინ ბათუმის სტადიონი დააკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას და თვით ჩემპიონთა ლიგის მატჩების გამართვაც იქნება შესაძლებელი.

საუბარში ნიკა კარიჭაშვილი ჩაერთო და სტადიონებზე ჟურნალისტთა პრესლოჟების საკითხს შეეხო. თითოეულ არენაზე მისვლისას უეფას წარმომადგენლები უპირველესად კითხულობდნენ — სად მოთავსდებიან ჟურნალისტები? — თქვა კარიჭაშვილმა. პრეზიდენტის თანაშემწემ, რომელმაც კურირება უნდა გაუწიოს სტადიონებზე ჩასატარებელ სამუშაოებს, აღგვითქვა, რომ დიდი ყურადღებით გააკონტროლებს ყოველივეს.

მატჩებზე ჟურნალისტთა აკრედიტაციის სისტემის დახვეწასა და სათანადოდ ორგანიზებაზე მამუკა კვარაცხელიამ ისაუბრა.

ამ ეტაპზე სტადიონების მხრივ მართლაც სავალალო მდგომარეობაა. უამრავი სამუშაოა ჩასატარებელი და მისი კონტროლი ფედერაციას ევალება. განსაკუთრებით საგანგაშო სიტუაციაა ეროვნულზე და, რაც ყველაზე მტკივნეულია, ამ საქმეში წინსვლა კარგა ხანია, არ შეინიშნება. იმაზე ლაპარაკი, რომ 3-4 თვეში გაკეთდება ის, რაც რამდენიმე წელია, არ გაკეთებულა, უტოპიას ჰგავს. ქუთაისიც დიდი პრობლემის წინაშე დგას. ამიტომაც, როცა ნიკა კარიჭაშვილს ვკითხეთ, რომელი ქალაქის სტადიონს აქვს ყველაზე დიდი შანსი, ოფიციალურ მატჩებს უმასპინძლოსო, ალბათ ბათუმის ცენტრალურ არენასო — გვიპასუხა.

დასასრულს დავით პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ თუ სტადიონების აღმშენებლობის პროცესი გაჩერდა, მაშინ უეფა შემდგომ ინსპექციას არ გამოგზავნის და მაისში უეფაში შეკრებილი „ტასკ ფორსის“ კომიტეტი სათანადო დადგენილებასაც გამოიტანს.

სათანადო დადგენილება კი ის იქნება, რომ საქართველოში ფიფასა და უეფას ეგიდით ვერანაირი მატჩი ვერ გაიმართება და ერთდროს საფეხბურთო ქვეყანა უფეხბურთოდ დარჩება.

ხვიჩა სანიკიძე

ნუგზარ კეთილაძის ფოტო

„ეროვნულის“ საკადრისად განახლებამდე, ეტყობა, დიდი დრო გავა



ალეკო ციბერაძის ფოტო

მშენებარე „მიხეილ მესხი“ ხუთ ვარსკვლავს უმიზნებს

2006 წელი და უფრო შორეული ამბავი

5 ივლისს მოახლოებასთან ერთად, ამ დღეს კი ფიფას აღმასკომი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლის ვინაობას გაარკვევს, აღნიშნულ თემაზე საუბრები გაგვიხშირდება.

ახლახან სააგენტო „როიტერმა“ არ დაიზარა და სპორტულ ჟურნალისტთა შორის გამოკითხვა მოაწყო. რესპოდენტებს თავიანთი ფავორიტები უნდა დაესახელებინა. მსოფლიოს 30 ქვეყნის ორმოცდაათი ჟურნალისტთაგან უმრავლესობამ ინგლისის კანდიდატურას დაუჭირა მხარი. გამოკითხვის სისტემა ასეთი იყო: ფავორიტს ხუთი ქულა ეწერებოდა, აუტსაიდერს — ერთი. საბოლოოდ ინგლისმა 190 ქულა დააგროვა, სამხრეთ აფრიკაზე 23-ით მეტი. მესამე გერმანიაა, რომელმაც 155 ქულა მიიღო. გერმანიას ბრაზილიის კანდიდატურა მოსდევს, ბოლო კი მაროკოა.

ცხადია, ამგვარი გამოკითხვების მოწყობა ბევრს არაფერს ნიშნავს. გადაწყვეტილება ხომ ფიფას ოცდაოთხწევრიანმა აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა მიიღოს და არა ჟურნალისტებმა ანდა ვინმე სხვამ. თუმცა საინტერესო უნდა იყოს ის კრიტერიუმები, რითაც „როიტერის“ გამოკითხვა ამგვარი შედეგით დასრულდა.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტები ერთხმად აღიარებენ, გერმანელებს ინგლისელებზე უკეთესი სტადიონები, ინფრასტრუქტურა და კავშირგაბმულობის ქსელები აქვთო. მაშ, რა გახდა ფავორიტად ინგლისის დასახელების მიზეზი? ნუ გაიკვირვებთ და ის ფაქტი, რომ ინგლისი ფეხბურთის სამშობლოა. პოპულარული ესპანური გაზეთ „მარკას“ არანაკლებ პოპულარული კორესპონდენტი ანხელ კაბესა ამბობს: „ფეხბურთი სამშობლოს უნდა დაუბრუნდეს. დარწმუნებული ვარ, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლად ფიფა ინგლისს აირჩევს და ის აქამდე გამართულ ჩემპიონატებზე ბევრად უკეთესი იქნება.“

ერთი საინტერესო დეტალიც. ჟურნალისტები თვლიან, რომ თუ ფიფას აღმასკომის წევრები კენჭისყრისას ნაკლებ ობიექტურნი იქნებიან და არჩევანის გაკეთებისას სენტიმენტალურ გრძნობას დაემორჩილებიან, გამარჯვება სამხრეთ აფრიკას დარჩება. დროა, დიდი ფეხბურთი აფრიკის კონტინენტსაც ეწვიოს — ამბობენ ისინი — მით უმეტეს, ამ მოსაზრებას ზეპ ბლატერიც იზიარებს. დავუმატოთ, რომ სამხრეთ აფრიკამ 1995 წელს რაგბის მსოფლიოს თასის გათამაშებას ჩინებულად უმასპინძლა.

რაკი მსოფლიოს ჩემპიონატის საგარაუდო მასპინძლებზე ვსაუბრობთ, უფრო შორეულ მომავალსაც გადავხედოთ.

ვერ მოგახსენებთ, რამდენი წლით ირჩევენ შოტლანდიაში პარლამენტარებს, ალბათ ხანგრძლივი ვადით. ეს მიზეზი უნდა იყოს, რომ სქოთმა დეპუტატებმა დებატები მოაწყეს — წარადგინოს თუ არა შოტლანდიამ საკუთარი კანდიდატურა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე. ქვორუმი შედგა და გადაწყვეტილებაც მიიღეს. პარლამენტი ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას რეკომენდაციას აძლევს, ამ საკითხზე იმუშაოს. თანაც ირლანდიისა და უელსის შეამხანაგებაც განუზრახავთ, მარტო შოტლანდია აბა, რას გახდებაო.

შოტლანდიური ფეხბურთის მამები ამ წინადადებას ირონიულად უყურებენ და ამბობენ, რომ თანამასპინძლობის პრაქტიკა კორეა-იაპონიაში დასრულდება და საკითხის განხილვაც არ ღირს, თან ზეპ ბლატერსაც იმონმებენ. ერთიცაა, შოტლანდიაში, ირლანდიასა და უელსში ერთად სულ ექვსი სტადიონია, რომელსაც 30 ათასზე მეტი ტევადობა აქვს. ახალი მშენებლობებისთვის დიდძალი ფულია საჭირო, რომელსაც ვერასდროს იშოვიან. ამიტომ... თუმც გაგრძელება საჭირო არ არის. ვფიქრობ, ისედაც ყველაფერი ნათელია. როგორც სქოთები ამბობენ, ეს ქვის მოკვლას ნიშნავს, ქართველი კი იტყოდა, წყლის ნაყვაო...

გიორგი დარჯანია

პოლ გესქოინი

გაზა და კენგურუ

ეს ამბავი ერთ ინგლისელ კაცს ეხება, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ ხელი მოიტეხა — პოლ გესქოინზე მოგახსენებთ, ფეხბურთელზე, რომლის შეძენის სურვილი სულ ახლახანს ერთ-ერთმა ავსტრალიურმა კლუბმა „მარკონი სტელიონსმა“ გამოთქვა. თუმც სანამ ამ ამბავს მოგითხრობდეთ, ერთ კითხვას ვუპასუხოთ: როგორ დასახლდნენ ავსტრალიაში ინგლისელები? ისტორიული ფაქტია, ბრიტანელები თავიანთ მსჯავრდებულებს და კატორღელებს, რომელთაც მკვლელობის, ბანდიტობისა და ხულიგნობისათვის უნდა მოეხადათ სასჯელი, ავსტრალიაში ასახლებდნენ, ეგებ ჰავა მოუხდეთ და გამოსწორდნენო.

პოლ გესქოინიც ინგლისელია, თუმც ის არც მკვლელია და არც ბანდიტი. მართალია, ოდნავ ლოთი და ექსცენტრულია, მაგრამ ამ ბოლო დროს თითქოს გამოსწორდა. სულ მალე კი შესაძლოა მანაც მწვანე კონტინენტზე ამოყოს თავი.

ამ დღეებში ავსტრალიის უმდიდრესმა საფეხბურთო კლუბმა „მარკონი სტელიონსმა“ გაზას შეძენის სურვილი გამოთქვა. გუნდის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ ვეტერან ინგლისელს სეზონის ბოლოსთვის გადაბირებენ, მანამდე კი გესქოინი კენგურუთა სამშობლოში მოტეხილი ხელის სამკურნალოდ, დროის სატარებლად და სათევზაოდ მიიწვიეს.

„გავიგეთ, რომ გესქოინს თევზაობა უყვარს, თუ გვეწვევა, ალბათ ნასიამოვნები დარჩება. საკუთარი იახტით ყოველდღე ითევზავებს — განაცხადა „მარკონის“ მთავარმა მწვრთნელმა ედი კრნჩევიჩმა და დასძინა — არა მგონია, ჩვენთან რაიმე პრობლემა შეექმნას. ავსტრალიაში ძალიან თბილი ხალხი ცხოვრობს. გაზა სულ მალე მათი კერპი გახდება, ჩვენ გუნდს კი მისი გამოცდილება ძლიერ გამოადგება.“

შეგახსენებთ, რომ გესქოინი „მიდლსბროში“ 1998 წელს შოტლანდიური გლაზგოს „რეინჯერსიდან“ 3,5 მილიონ გირვანქად გადაბარგდა, თუმც ტრავმების გამო ძირითადად შეცვლებზე თუ გამოჩნდებოდა ხოლმე. გუნდში 43 შეხვედრა ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა.

კარიერის ბოლო წლების გასატარებლად გაზას ამერიკული და მალაიზიური გუნდები იწვევდნენ, მაგრამ ფეხბურთელი ჯერჯერობით კვლავ ინგლისშია.

ავსტრალიური „მარკონი“ ევროპელი გულშემატკივრისთვის მეტად მნიშვნელოვანი გუნდია. მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებულმა ფეხბურთელმა, იტალიის ნაკრებისა და მილანის „ინტერის“ ფორვარდმა კრისტიან ვიერინ ბავშვობის წლები ავსტრალიაში გაატარა და ფეხბურთის ანბანს სწორედ „მარკონში“ ეზიარა.

ნიკა ფუგლაძე

დიდი დახარისხება ევროპაში

აირია საფეხბურთო მსოფლიო და განსაკუთრებით კი ევროპა. ზოგი გაიძახის, სუპერლიგა უნდა შეექმნათ, სადაც მხოლოდ ბობოლები ვითამაშებთო. ცალკე უეფა იმუქრება, ჩემპიონთა ლიგით დაკმაყოფილდით, თორემ... კიდევ ერთი ჯგუფია, რომელსაც გრანდოთა მარაქაში გარევა სურს და საამისოდ ძალებს არ იშურებს. ეგრეთ წოდებულ ჩრდილო ატლანტიკური ლიგის შექმნის მოსურნეებზე მოგახსენებთ.

შოტლანდიური „რეინჯერსი“ და „სელტიკი“ ჩვიან, ფულს და ენერგიას არ ვზოგავთ, გვინდა, ისეთი გუნდები გვყავდეს, ევროპული ფეხბურთის გრანდებს ტოლ-სწორად ვეთამაშოთო — მაგრამ რა გამოდის — ამბობენ ისინი — მთელი სეზონის მანძილზე ვიღაცა „კილმარნოკებს“ და „ჰიბერნიანებს“ ვეთამაშებით, ვისთანაც კლასს ვერ აიმაღლებ, შემდეგ მივდივართ ევროტურნირებზე და...

შოტლანდიელებმა ევროსარბიელზე თავიანთი წარუმატებლობის მიზეზი აღმოაჩინეს თუ არა, თანამოაზრეებს დაუწყეს ძიება. ასეთები ევროპის სხვა ქვეყნებშიც მრავლად აღმოჩნდნენ. ჰოლანდიიდან „აიაქსმა“, პსვ-მ და „ფეიენოორდმა“ ამოიღეს ხმა, მოგვბეზრდა „დენ ბოსხის“ კარში ექვსი-შვიდი გოლის შეგდება, ვინმე უფრო ღირსეული მეტოქე გვირჩევნიაო. პორტუგალიაში „ბენფიკამ“ „პორტუმ“ და „სპორტინგმა“ წამოყვეს თავები, ჩვენც თქვენთან ვართო. ბელგიურ „ანდერლეხტსაც“ უთქვამს, ერთიანი ლიგის შექმნა ჩემი სურვილიც არისო.

ზემოჩამოთვლილი კლუბები დროს უქმად არ კარგავენ და იდეის რეალობად ქცევას შეუდგნენ. ისინი ამსტერდამში შეიკრიბნენ და დიდხანს ითათბირეს. საუბრის დეტალებისა რა მოგახსენოთ, გადაწყვეტილება კი ასეთი მიიღეს: საფეხბურთო ბაზარი კიდევ ერთხელ გულდასმით შევისწავლოთ, ემანდ რამე არ გამოგვეპაროს. ამ საქმისთვის სამი-ოთხი თვე სავსებით საკმარისი იქნება და შემდეგ შეკრებაზე საბოლოო ვარიანტი დავამტკიცოთო.

პსვ-ს თავმჯდომარე ჰარი ვან რააიხი ამბობს, რომ ახალი ჩრდილოატლანტიკური ლიგა თექვსმეტგუნდიანი იქნება და მას შესაძლოა, ორიოდე ბერძნული კლუბიც შეუერთდეს. ამსტერდამული შეხვედრის საერთო პათოსი კი ამგვარი გახლდათ: დაე, ჩემპიონთა ლიგა იტალიელებს, ესპანელებს, გერმანელებს, ინგლისელებს და ფრანგებს დარჩეთ, ჩვენ საკუთარ სარფიან საქმეს მივხედავთ.

ჩრდილოატლანტიკური ლიგის შექმნის იდეა ახალი არ არის, ის რამდენიმე თვის წინ გაჩნდა. უეფა კი აქამდე დუმდა. იუჰანსონს და კომპანიას მთელი ყურადღება ალბათ, „მედია პარტნერზთან“ წილნაყარ G-14-ისკენ ჰქონდა მიპყრობილი, ანდა ამ წამოწყებას ძალიან ირონიულად უყურებდა და სერიოზულად არ აღიქვამდა. ახლა კი უეფას მოუწევს კომენტარის გაკეთება, ამსტერდამული შეხვედრის მონაწილენი გაიძახიან, პირველ ჩემპიონატს უკვე 2002 წელს გავმართავთო. იქამდე კი დიდი დრო არ არის დარჩენილი.

დაბოლოს, ერთი კითხვაც დავსვათ, იმ კლუბებმა რა ქნან, ვინც არც ბობოლაა, არც ფიფა-უეფას გაღიზიანება სურს და საერთოდ, საკუთარი ეროვნული ჩემპიონატი ყველაფერს ურჩევნია?

გიორგი დარჯანია

ბევრი გაბრაზებული ადამიანი

არგენტინაში ინგლისის ნაკრები ვერ ითამაშებს, რადგან იქაური ქომაგები დევიდ ბექემსა და კომპანიას ლინჩის წესით გაასამართლებენ — აი, ასე ამბობს ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ არგენტინელი მცველი მაურისიო ტარიკო.



მაურისიო ტარიკო

„ინგლისისა და არგენტინის შეხვედრა უთუოდ დიდებულია და ყოველთვის ასეთად დარჩება. არგენტინელი ქომაგები მას მარად მოუთმენლად ელიან, მაგრამ სჯობს ის ლონდონში გაიმართოს ხოლმე. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემს ქვეყანაში მთელი ისტორიისა და წინაპირობების გათვალისწინებით მას შეიძლება არეულობანი მოჰყვეს. ხალხი ძლიერ აღგზნებული იქნება და დიდი ხიფათია მოსალოდნელი. მართალია, ორგანიზატორები უსაფრთხოების ზომებს დაიცავენ, მაგრამ ვშიშობ ეს საქმეს არ უშველის. ლონდონში უფრო ცივილიზებული გარემოა. იმის თქმა როდი მინდა, რომ ჩვენ, არგენტინელები არა ვართ ცივილიზებულნი, მაგრამ ზოგი მართლაც ასეთი გვყავს“ — თქვა ტოტენჰემელმა.

მართლაც, არგენტინაში საფეხბურთო ხულიგნობა ფრიად გარვცელებული რამ გახლავთ. ქვეყნის მთავარ სტადიონებზე დღემდეა სექტორები, სადაც ცხელთავა ქომაგები იკრიბებიან. ხშირია საქმის მუშტი-კრივით გარჩევა, ისევე, როგორც ეს 1980-იანი წლების ინგლისში ხდებოდა.

ხულიგანთაგან ბევრი ახლაც მოუთმენლად ელის ინგლისის არგენტინაში შესაძლო სტუმრობას. მათ კვლავ ახსოვთ ფოლკლენდის, იმავე მალვინის კუნძულებისათვის ამ ქვეყნებს შორის 1982 წელს ატეხილი ომი და თავისებური შურისძიება სწყურიათ.

„სამშობლოში მკითხეს ინგლისელები ხულიგნობის პრობლემას როგორ აგვარებენო. ინგლისში ხომ მოედანზე სათამაშოდ რომ გადიხარ, თავს საუცხოო გარემოში გრძნობ. ტრიბუნაზე ბავშვებსა და ქალებს ხედავ. არგენტინაში კი ისეა, ადრე ინგლისში რომ ყოფილა, თუმცა ის დროება მე არ შემხებია. სხვათა შორის, ჩვენში ხულიგნობა მხოლოდ ფეხბურთის როდი ახასიათებს. ის ქუჩაშიც ერთობ ფესვგადგმულია და ამიტომ ვამბობ ინგლის-არგენტინას იქ ნუ ჩავატარებთ-მეთქი. იქ სტადიონზე ბევრი გაბრაზებული ადამიანი მივა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს 21-წლამდელთა ჩემპიონატი.
სლოვაკეთი. 27 მაისი 3 ივნისი

A ჯგუფი

ესპანეთი, ჩეხეთი, ხორვატია, ჰოლანდია

I ტური, 27 მაისი	ესპანეთი — ჩეხეთი, ხორვატია — ჰოლანდია
II ტური, 29 მაისი	ესპანეთი — ხორვატია, ჩეხეთი — ჰოლანდია
III ტური, 31 მაისი	ჰოლანდია — ესპანეთი, ჩეხეთი — ხორვატია

B ჯგუფი

იტალია, ინგლისი ან იუგოსლავია, სლოვაკეთი, თურქეთი

I ტური, 27 მაისი	იტალია — ინგლისი ან იუგოსლავია, სლოვაკეთი — თურქეთი
II ტური, 29 მაისი	იტალია — სლოვაკეთი, ინგლისი ან იუგოსლავია — თურქეთი
III ტური, 31 მაისი	თურქეთი — იტალია, ინგლისი ან იუგოსლავია — სლოვაკეთი

2 ივნისი	მატჩი მეხუთე ადგილისთვის	A3 — B3
	მატჩი მეშვიდე ადგილისთვის	A4 — B4
3 ივნისი	მატჩი მესამე ადგილისთვის	A2 — B2
	ფინალი	A1 — B1

ჰლეი ოფის მატჩი ინგლისისა და იუგოსლავიის ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის გაიმართება 29 მარტს, ბარსელონაში, „კამპ ნოუზე“, რომლის გამარჯვებულიც სლოვაკეთში ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

მსაჯებო მოემზადეთ

საითაც გაიხედავ მსაჯებზე ლაპარაკობენ. ინგლისში, ესპანეთში, იტალიაში... მოკლედ, პრობლემა აშკარაა და ამიტომ მას გადაჭრა სჭირდება.

მაგრამ სჯობს მსჯელობა დანიშნული თუ არდანიშნული პენალტით კი არა, იმით დავიწყოთ, ვინ არიან ის ადამიანები სულ მცირე კვირაში ერთხელ ვინმეს თავს რომ ალანძღინებენ. უმეტესწილად ეს სხვადასხვა პროფესიის ხალხია, წვრილი ბიზნესმენები ან რამე ამგვარი, ვთქვათ ექიმები ან სკოლის მასწავლებლები. მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ პროფესიონალი მსაჯი არ არსებობს, ანუ მსაჯობა პროფესია არ გახლავთ. ეს ხალხი ხშირად ჩივის, რომ ტურიდან ტურამდე და ქალაქიდან ქალაქამდე სირბილში თავის ძირითად საქმიანობას ყურადღებას ველარ აქცევს. ისე გამოდის, რომ მათი მთავარი პროფესია საფეხბურთო მატჩების სჯაა ანუ ის, რაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ პროფესია სულაც არ არის.

აბსურდია? ბუნებრივია ასეა. ესეც არ იყოს, როდესაც მავანი პროფესიონალია მას შესაბამისადაც მოეთხოვება, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის ექნება საყვედურისგან თავის დასაღწევი საბაბი.

არის კიდევ ერთი გარემოებაც — კორუფცია. კორუფცია ერთ ქვეყანაში მეტია, მეორეში ნაკლები, მაგრამ ერთგანაც და მეორეგანაც მოყვარულობა ამისაკენ ბიძგს იძლევა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ფიფამ გადაწყვიტა დააარსოს პროფესიონალ მსაჯთა ორგანიზაცია, რომელიც პრეზიდენტის, იოზეფ ბლატერის განცხადებით, მომავალი სეზონიდან ამოქმედდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ფიფა მთელი მსოფლიოს მსაჯებს მოკრებს, შემდეგ კი მათ საქმეს ჩვეულებრივ, ხელფასიან პროფესიად აკურთხებს.

„პროფესიული ფეხბურთისთვის ეს გადამწყვეტია, რაც თავად არბიტრებსაც კარგად ესმით“ — თქვა ბლატერმა და გერმანიის ქალაქ ობერჰახინგში ახლებური სკოლის დაარსება ბრძანა.

ამრიგად, პროფესიონალი მსაჯები ჯერ ეროვნულ ფედერაციებს მოემსახურებიან, მერე კი საერთაშორისო ასპარეზზეც გავლენ.

„ამ გზით ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ მომდეგნო მსოფლიო ჩემპიონატზე პროფესიონალი მსაჯები იმუშავებენ“ — დასძინა ფიფასავე გენერალურმა მდივანმა მიხაელ ზენ-რუფინენმა.

ჯერჯერობით ობერჰახინგში მხოლოდ ინსტრუქტორთა და არბიტრთა საკონსულტაციო თუ საკვალიფიკაციო ცენტრი მოქმედებს.

და რა მოხდება მერე? მერე, ალბათ, საითაც გაიხედავ ისევ მსაჯებზე ლაპარაკებენ, ოღონდ უკვე პროფესიონალებზე.

დაბრუნდი, დუაიტ! არ დაბრუნდე, დუაიტ!

ტრინიდადი და ტობაგო ხომ იცით, კუნძულია ვენესუელის მეზობლად. მისი საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელმა, რიჩარდ ბრეითუეინმა განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ ითხოვს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდის დუაიტ იორკის ბანაკში დაბრუნებას. ვაგლახ, ინგლისური გუნდი ფეხბურთელის „ოქროს თასის“ ნახევარფინალში სათამაშოდ გაშვებას უარობს.

პრობლემა იქიდან წარმოიშვა, რომ აშშ-ში მიმდინარე შეჯიბრებაში, რომელსაც კონკაკაფი ატარებს, არავინ ელოდა ტრინიდად-ტობაგოელთა ნახევარფინალამდე მისვლას. გავარდნილიყნენ და ყველაფერი კარგად იქნებოდა.

ახლა კი კვირას, ოქროს გოლის წესით კოსტა რიკის ნაკრების დამარცხების შემდეგ კუნძულელებს კანადის ეროვნულ გუნდთან აქვთ სათამაშო. კანადამ, თავის მხრივ, კიდევ ერთი სენსაცია მოუწყო ამ შეჯიბრებით დაინტერესებულთ — წინა გათამაშების გამარჯვებულს, მექსიკას მოუგო.

ტრინიდად-ტობაგოსა და კანადის ნახევარფინალური შეხვედრა დღეს უნდა გაიმართოს.

იორკმა კოსტა რიკასთან თამაში გამოსტოვა, რადგან „მანჩესტერ იუნაიტედის“ „ლიდსთან“ პრემიერლიგურ შეხვედრაში მონაწილეობდა, თუმცა 29-ე წუთზე ბარძაყის კუნთი გაიჭიმა და მოედანი დასტოვა.

როგორც ტრინიდადული გაზეთები იტყობინებიან ბრეითუეითი 28 წლის ბარძაყნატკენს ლოს ანჯელესში მაინც ელის.

დუაიტ იორკი

„დუაიტმა დარეკა, რათა გუნდისთვის ნახევარფინალში გასვლა მიელოცა. იგი აღტაცებული ჩანდა და სურდა ნაკრებს დაბრუნებდა. მან თქვა, რომ ბარძაყის ტრავმა უმნიშვნელოა“ — უთქვამს ბრეითუეითს.

ამასობაში კი „იუნაიტედის მწვრთნელი“, ალექს ფერგიუსონი ჩარეულა საქმეში:

„ტრინიდადთან ხელშეკრულებაში მართლაც გვეწერა, რომ დუაიტი ამერიკიდან უნდა დაბრუნებულიყო, „ლიდსთან“ ეთამაშა და კვლავ ამერიკისკენ აეღო გეზი, მაგრამ ახლა ამას აზრი აღარ აქვს, ვინაიდან ის ხუთშაბათისთვის მზად ნამდვილად ვერ იქნება. მეტიც, იგი შაბათს „იუნაიტედის“ შემადგენლობაში „უიმბლდონთანაც“ კი ვერ ითამაშებს“.

ვიქტორიას დევიდი სჭირდება

ალექს ფერგიუსონთან ხუმრობა არ შეიძლება

ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მცველი, პოლ პარკერი შესაძლოა ხეირიანად აღარც გახსოვდეთ, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ამ შემთხვევაში მისი აზრია. რასთან დაკავშირებით? აბა, ამას რა კითხვა უნდა, დღეს ინგლისში ხომ ყველა დევიდ ბექემზე ლაპარაკობს. თემა ერთია, დევიდი და მისი პოპ ვარსკვლავი მეუღლე ვიქტორია „პოშ“ ადამსი. მოგეხსენებათ, გასულ პარასკევს ბექემმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარჯიში გააცდინა, რის გამოც მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა დასაჯა და კვირას „ლიდს იუნაიტედთან“ მნიშვნელოვან შეხვედრაში მოედნის ნაცვლად ტრიბუნაზე მიუჩინა ადგილი. შემდეგ დევიდმა განაცხადა, ვარჯიში ვაჟის, პატარა ბრუკლინის ავადმყოფობის გამო გავაცდინეო, მაგრამ ამ თითქოსდა საპატიო მიზეზმა არ გაჭრა. ეჭვია, რომ სანამ მამა ვაჟზე ზრუნავდა, დედიკო სადღაც პოდიუმზე დაიარანჭებოდა და ვარსკვლავურ ამბავში იყო გახვეული.

უკაცრავად ამხელა შესავალ-შეხსენებისთვის. დავუბრუნდეთ პოლ პარკერს, რომელიც დარწმუნებულია, რომ 24 წლის ნახევარმცველი აუცილებლად უნდა განთავისუფლდეს მეუღლის შუბიზ გავლენისგან. ამასთან, პარკერის აზრით, ბექემმა კატეგორიულად უნდა შეწყვიტოს სერ ალექსის მოთმინების გამოცდა, რათა საბოლოოდ შეწყდეს ყოველგვარი ჭორაობა მისი „ოლდ ტრეფორდიდან“ წასვლისა თუ შესაძლო გაგდების შესახებ.

„დევიდ ბექემისთვის შუბიზნესური ცხოვრება მცდარი არჩევანია. იგი ვარსკვლავეთის სამყაროს არ ეკუთვნის, რადგან ერთი უბრალო ბიჭია. რა უნდა უთხრას მან ელტონ ჯონს ან მისნაირ ხალხს? რა აქვს მათთან საერთო? ფერგიუსონმა კარგად უწყის დევიდის ასეთი გატაცების ამბავი და დახმარებას ცდილობს. საკუთრივ დევიდი კი ვიქტორია ადამსის იმიჯს ბევრს მატებს და ამ ქალს ეს ამბავი ძალიან კარგად მოეხსენება. დახეთ, „სპაის გელზის“ სხვა წევრებს, მათი სოლო კარიერა ერთობ წარმატებულია, მაგრამ ვიქტორია ადამსი სხვაა. მას დევიდი სჭირდება, რადგან მისი წყალობით უმაღლესი კატეგორიის ვარსკვლავად

სერ ალექს ფერგიუსონი

იქცა. სანამ დევიდი მასთანაა, ვიქტორია გაზეთების პირველ გვერდზე იქნება. ხალხი ამბობს, რომ ის დევიდის ცოლია. ბექემი კი ისედაც საკმაოდ ძლიერია და ფეხზე მყარად დგომა დამოუკიდებლადაც შეუძლია. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ მასაც სიამოვნებს, ცოლის წყალობით მის წინაშე ყველა კარი რომ იღება.

ეგონებ, დროა გადაწყვიტოს, რა უნდა. რამდენადაც მე ვხედები, მას ფეხბურთის თამაშიც სურს და ოჯახის შენარჩუნებაც“.

პარკერმა ალექს ფერგიუსონის ხელმძღვანელობით „ოლდ ტრეფორდზე“ ხუთი წელიწადი დაჰყო და კარგად მოეხსენება, როგორია ცხვირწითელი შოტლანდიელი დახურულ კარს მიღმა. დღეს ნონ-ლიგის „ჩელმსფორდ სიტის“ მწვრთნელი თავის დროზე ბრაიან რობსონის, პოლ ინსის, მარკ ჰიუზის და ერიკ კანტონას მხარდამხარ დარბოდა მოედანზე. ჩამოთვლილ ვარსკვლავთა ამბავი კი მოგეხსენებათ: მათ ფერგისთან უსიამოვნება მოუვიდათ და გუნდიდან წავიდნენ. ძალაუფლება, რომლითაც „იუნაიტედის“ მწვრთნელია მოსილი პარკერს საკუთარ ტყავზე აქვს ნაგრძნობი.

„გამარჯვებული ნებისმიერ სიტუაციაში ალექსი დარჩება — განაგრძო ყოფილმა მცველმა — ის ყოველთვის ჯობნის მოწინააღმდეგეს და მისი გუნდიც ამიტომ იგებს ტიტულებს. არ არსებობს პიროვნება, რომელიც მას დაამარცხებს. ფეხბურთელები კვირას ერთ შეკითხვასაც ვერ დაუსვამდნენ, რადგან იციან, რომ ფეხბურთში ერთადერთი ადამიანი იმარჯვებს და როდესაც ის რაიმეს აკეთებს, მართალია. დარწმუნებული ვარ, ალექსს დევიდის საწინააღმდეგო პიროვნულად არაფერი აქვს. არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ საბოლოოდ ფერგიუსონის სიბრძნე დამტკიცდება.

იცით, რას გეტყვით პოლ ინსზე დიდი თავნება ბექემი ვერ იქნება. პოლი ყოველთვის იმას აკეთებდა, რაც უნდოდა, რაც ალექსს სულ უფრო მეტად აღიზიანებდა და როგორც კი მომენტი იხელთა, დასაჯა. ინსი, შემდეგ, მხარდაჭერას ქომაგებში ეძებდა, თუმცა ქომაგებმა იცოდნენ, რომ თუ ალექსი რამეს აკეთებს, ესე იგი საამისო მიზეზი აქვს. იგივე შეემთხვათ ბრაიან რობსონს, მარკ ჰიუზსა და ერიკ კანტონას.

როდესაც მოთამაშე მოედანზე ცუდად ირჯება, ფერგი საშინელ დღეში აგდებს. ჩვენ ამას თმის საშრობს ვეძახდით. როგორც წესი, განტევების ვაცად ბრაიან მაკლეირი იქცეოდა ხოლმე, მაგრამ თუ ბრაიანივით ხელებს აღმართავდი და დანაშაულს აღიარებდი, ალექსი სხვებზე გადაერთვებოდა. ფერგიუსონს მოთამაშეები უდიდეს პატივს იმიტომაც სცემენ, რომ ის ხალხში არავის ტუქსავს. თუ ვინმეს დასჯა სურს, ამას დაკეტილ კარს მიღმა აკეთებს, მაგრამ როდესაც ხედავ, რომ გასახდელში პიჯაკი გაიხადა და მკლავები აიკაპიწა, ესე იგი შენი საქმე ცუდადაა“.

ფეტ ჰადსონი, 365

არტემიო ფრანკიდან ოლდ ტრეფორდზე

არგენტინის ნაკრებისა და ფლორენციის „ფიორენტინას“ ფორვარდმა გაბრიელ ბატისტუტამ მომავალი სეზონიდან შესაძლოა „ოლდ ტრეფორდზე“ ამოყოს თავი და „მანჩესტერ იუნაიტედის“ რიგებს შეუერთდეს. სერ ალექს ფერგიუსონმა 31 წლის თავდამსხმელის ხელში ჩაგდება მოიწადინა და არ არის გამორიცხული, სეზონის ბოლოს გადაიბიროს კიდეც.

ამ ფაქტს არც თავად ბატისტუტა უარყოფს, იგი ამბობს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მსოფლიოს საუკეთესო გუნდია და მისი მაისურას მორგება ნებისმიერი ფეხბურთელისთვის უდიდესი პატივია: „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაში მსურს. ეს გუნდი მსოფლიოში საუკეთესოა — განუცხადა ბატიგოლმა გაზეთ „ექსპრესს“ და დასძინა — არ მგონია, თავად „მანჩესტერი“ გულგრილი იყოს ჩემდამი, ვიცი, ისინი ყოველთვის სიმპათიით მიყურებდნენ, მათ რიგებში თამაში კი ჩემთვის უდიდესი პატივია“.

ცნობილია, რომ ბატისტუტა ფლორენციელ გულშემატკივართა კერპია. ამიტომ, ბუნებრივია, იბადება კითხვა, შეელევა თუ არა ბატისტუტა „ფიორენტინას“:

„ვფიქრობ, დღეს არავის ვაწყენინებ, თუ ფლორენციას დავტოვებ. მე მათ წლების განმავლობაში ვემსახურე. 31 წლის ვარ. მინდა, კარიერის დარჩენილი დრო სხვა გუნდში გავატარო. ვთვლი, რომ სწორედ ვიქცევი, ვნახოთ. ინგლისურს უკვე ვსწავლობ. პრემიერლიგა უდიდესი ტურნირია და ძალების მოსინჯვა იქაც მსურს, „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაში კი ერთი სიამოვნებაა“ — გამოუტყდა ჟურნალისტებს ბატიგოლი.

ნიკა შუბლაძე

გაბრიელ ბატისტუტა

ფერგიუსონი რობსონზე ჭკვიანია

„სარგიელის“ დღევანდელ ნომერში დუაიტ იორკისადმი მიძღვნილი მასალაც შეგიძლიათ წაიკითხოთ. ორიოდე სიტყვით ვთქვათ, ფერგიუსონმა იორკი კონკაკაფის ოქროს თასის გათამაშებიდან ჩამოიყვანა და „ლიდსის“ წინააღმდეგ ათამაშა. მატჩში ტრინიდადელმა ფეხი იტკინა, რის შემდეგაც სერ ალექსმა იორკის თანამემამულეებს შეუთვალა, ფეხბურთელი დაშავებულია და მისი იმედი არ გქონდეთო.

ნიუკასლელ ნოლბერტო სოლანოსთან დაკავშირებით კი საპირისპირო ამბავია. პერუელსაც ფეხის ტრავმა ჰქონდა, მაგრამ ბობი რობსონმა ნაკრებში მაინც გაუშვა, თუმცა დაუბარა, მოედანზე გასვლა არ გაბედო, მხოლოდ ექიმებს გაესინჯე და უკან დაბრუნდიო. ალბათ, ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ განრისხდა „კაჭკაჭთა“ დამრიგებელი, როდესაც შეიტყო, რომ სოლანომ მისი სიტყვა ყურად არ იღო და ჰაიტის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა. ამასთანავე მატჩის ბოლო წუთებზე ფეხბურთელს ტრავმამ შეახსენა თავი და შესაცვლელი შეიქნა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ პერუელები არც ამის შემდეგ უშვებენ სოლანოს კლუბში.

როგორც ვთქვით, რობსონი განრისხებულია და იმუქრება, დაბრუნდება სოლანო და რასაც ვუზამ, ნახავსო...

გიორგი დარჯანია

ამხანაგური მატჩი

ტაილანდი 0:7 ბრაზილია

0:1, 0:2 რივალდო (12, 38), 0:3 რონალდინიო (44), 0:4 ემერსონი (49), 0:5 როკე უუნიორი (74), 0:6 ჟარდელი (79), 0:7 ემერსონი (85)

ტაილანდი — ბრაზილიის შეხვედრას მეტად საინტერესო წინაისტორია აქვს. ბრაზილიელები შორეული აზიის კიდევ უფრო შორეულ სამხრეთაღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქვეყანაში გამგზავრებას ხალისით არ დათანხმებულან. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში მონაწილეობისთვის მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები ჩვეულზე ნაკლებ ჰონორარს დასჯერდნენ. თანაც ტაილანდი ის გუნდი არ არის, ვისთან თამაშმაც შეიძლება ბრაზილიას რაიმე შემატოს. მაშ, რაშია საქმეო? — იკითხავთ. საქმე ერთ ტაილანდელ კაცშია, რომელიც ადგილობრივი ფეხბურთის მაღალჩინოსანია და იმ ოცდაოთხკაციან ჯგუფშიც შედის, ფიფას აღმასკომი რომ ჰქვია. ბრაზილიამ, მოგეხსენებათ, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე საკუთარი კანდიდატურა წარადგინა. კენჭისყრა 5 ივლისს უნდა მოეწყოს. ჰოდა, ტაილანდელებს შეუთვლიათ, თუ ჩამოხვალთ და გაგვეჯიბრებით, კენჭისყრისას ერთი ხმა გარანტირებული გექნებათო. ბრაზილიაც, ცხადია, დათანხმდა.

„უკანასკნელი წლების ყველაზე უინტერესო მატჩი“ — ასე მონათლა ბრაზილიურმა პრესამ ბანკოკში გამართული შეხვედრა ჯერ კიდევ დაწყებამდე. ვარაუდმა გაამართლა — ბრაზილიის ნაკრები 90 წუთის მანძილზე ცალკარას თამაშობდა. ამას ტრიბუნებზე გამეფებული სამარისებული სიჩუმეც მოწმობდა.

უკვე მე-12 წუთზე საჯარიმო მოედნის მისადგომიდან რივალდომ მარცხენა ფეხით დაარტყა და ანგარიში გახსნა. 38-ზე მან მეორეც შეაგდო — ისევ ცაციათი და საჯარიმოს გარედან. ტაიმის მიწურულს რონალდინიომ მასპინძელთა კარი მესამედ დალაშქრა, ხოლო იქამდე ბურთი ძელსაც გაარტყა.

ალბათ არასწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ შეხვედრის ბედი პირველი ტაიმის შემდეგ გადაწყდა — ძალთა თანაფარდობის გათვალისწინებით, ის თავიდანვე გარკვეული იყო.

შესვენების შემდეგ თამაში განახლდა და ოთხ წუთში ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ემერსონ ფერეირამ მეოთხეც შეაგდო. მატჩის ბოლო გოლიც, რომელიც 85-ე წუთზე გავიდა, მის ანგარიშზეა.

შუალედში კი როკე ჟუნიორმა და მარიო ჟარდელმაც გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ მათთვის ეს პირველი სანაკრებო გოლებია.

მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყების წინ ეს ბრაზილიელთა ბოლო მატჩი იყო, რადგან თურქებთან ორიოდე კვირის შემდეგ დაგეგმილი ამხანაგური შეხვედრა გადაიდო. მატჩის ბოლოს კი ბრაზილია პირველ საკვალიფიკაციო თამაშს სტუმრად გამართავს კოლუმბიასთან.

REUTERS ბანგკოკიდან

ბრაზილიელი ზე რობერტო (№11) და ტაილანდელი ნირუტ სურასიანგი ბურთისთვის იბრძვიან

გერმანიის ნაკრების ყოფილმა წევრმა თომას დოლმა, რომელიც ამჟამად „ჰამბურგში“ ასპარეზობს, კლუბთან მიმდინარე კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა, იგი გუნდში მომავალი სეზონის ბოლომდე დარჩება. 33 წლის დოლს თავისი კარიერის მანძილზე „ბარიში“, ფრანკფურტის „აინტრახტში“ და „ლაციოში“ უთამაშია. ის ჯერ აღმოსავლეთ გერმანიის ნაკრების წევრი იყო, სადაც 29 შეხვედრა ჩაატარა, ქვეყნის გაერთიანების შემდეგ კი გერმანიის ნაკრების მაისურა 18-ჯერ მოირგო.

ინგლისური „ევერტონის“ ნახევარმცველმა ჯონ კოლინზმა განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს კლუბის დატოვებას აპირებს. ამის თაობაზე გუნდის თავკაცმა, უოლტერ სმიტმაც გამოთქვა თავისი აზრი: „ჯონს „ევერტონიდან“ წასვლა სურს. ჩვენ მას უახლოეს დღეებში დაველაპარაკებით. თუ არ გადაიფიქრებს, მისი გაყიდვა მოგვიწევს. ისეთ კლუბს მოვუძებნით, რომელიც მის და გუნდის ინტერესებს დააკმაყოფილებს“. შეგახსენებთ, რომ კოლინზი „ევერტონში“ 1998 წელს „მონაკოდან“ 2,5 მილიონ გირვანქად (4 მილიონი დოლარი) გადაბარგდა. ახლა იგი შესაძლოა კვლავ საფრანგეთში დაბრუნდეს, თუმცა მისი ახალი კლუბი ჯერჯერობით უცნობია.

იტალიური „პარმას“ ბრაზილიელი ფორვარდი მარსიო ამორროზო ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელდა და მომავალ კვირას უეფას თასზე ბრემენის „ვერდერის“ წინააღმდეგ მატჩში შესაძლოა ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ ამორროზო „პარმაში“ სეზონის დასაწყისში „უდინეზედან“ 18 მილიონ გირვანქად გადაბარგდა, თუმც ნოემბერში მუხლის ტრავმა მიიღო და გუნდს საკმაო ხნით გამოაკლდა. ბრაზილიელმა იძულებითი შესვენების შემდეგ, იანვარში „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ითამაშა, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა.

შოტლანდიის ნაკრებისა და „გლაზგო რეინჯერსის“ მცველი კოლინ ჰენდრი „ქოვენთრიში“ გადასვლას აპირებს. ინგლისელები ჰენდრის გადაბირებას სამი თვით ცდილობენ, თუმც არ გამორიცხავენ, რომ უფრო ხანგრძლივი ვადით დაიტოვონ. „ბლეკბერნ როვერსის“ ყოფილი ფეხბურთელის ხელში ჩაგდებას „დერბიც“ ცდილობდა, მაგრამ მაშინ ტრანსფერი არ შედგა. „„ქოვენთრიში“ ალბათ სამი თვით გადავალ, ამის შემდეგ გავგრძელებ თუ არა კონტრაქტს, ჯერ გასარკვევია“ — ამბობს თავად ჰენდრი, რომელიც საკმაო ასაკის მიუხედავად 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში აპირებს თამაშს.

ფრანგული მარსელის „ოლიმპიკის“ მეკარე სტეფან პორატო გუნდის ერთ-ერთი ვარჯიშისას დაშავდა და მინიმუმ სამი კვირა ვერ ითამაშებს. ექიმების ცნობით, მას მყესები დაეჭიმა. შეგახსენებთ, რომ მეკარემ საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ტურში მსაჯთან შელაპარაკების გამო სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა. „ოლიმპიკი“ მომავალ კვირას ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ჩაებმება. პორატო 29 თებერვალს და 8 მარტს ლიგის ორ მატჩს გამოტოვებს, ხოლო ამის შემდეგ, მომავალ ტურებში ასპარეზობა მის ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული.

იტალიის ნაკრების ყოფილმა წევრმა ნიკოლა ბერტიმ ავსტრალიურ „ნორსენ სპირიტში“ სადებიუტო მატჩი ჩაატარა. 32 წლის ფეხბურთელმა მოედანზე 62 წუთი დაჰყო. მისმა გუნდმა ავსტრალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ბრისბენი“ დაამარცხა 1:0. ბერტიმ მწვანე კონტინენტის საფეხბურთო დონე დადებითად შეაფასა. შეხვედრის მიწურულს იგი ოდნავ დაშავდა და მთავარმა მწვრთნელმა გრემ არნოლდმა ამიტომ შეცვალა.

არგენტინელ ნელსონ ვივასს სურს, „არსენალი“ საბოლოოდ დატოვოს და ესპანურ ვიგოს „სელტაში“ დარჩეს. 30 წლის ვივასმა გაზეთ „ივნინგ სტენდარდს“ განუცხადა: „ესპანეთში ცხოვრება ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის სასიამოვნოა, რადგან ეს ქვეყანა ჩემს სამშობლოს, არგენტინას ჰგავს. „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ვხვდებოდი, გაოცებული ვარ, რადგან არსენ ვენგერი როცა მენდო, მგონი, გავუმართლე. ინგლისში ენის პრობლემაც მქონდა. ჩემი მეუღლე თითქმის ვერავის ესაუბრებოდა. ჩემთვის კი ოჯახის ბედნიერებაა მთავარი“.

იტალიური რომის „ლაციოს“ თავდამსხმელ ფაბრიციო რავანელის ქვეყნის თასის ფინალის ორივე მატჩის გამოტოვება მოუწევს მილანის „ინტერთან“. „ვენეციასთან“ მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში იგი მოედნიდან გააძევეს. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ამ საკითხზე იმსჯელა და „ვერცხლისფერ მელას“ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ფინალური მატჩის პირველი შეხვედრა რომში 12 აპრილს, ხოლო საპასუხო მილანში 18 ან 20 მაისს ჩატარდება.

ესპანური „ბარსელონას“ კაპიტანმა ხოსეპ გვარდიოლამ ტრავმა მოიშუშა და შაბათს მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ უპრინციპულეს მატჩში ალბათ ითამაშებს. გვარდიოლა 26 იანვარს, პოლონეთის ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრაში დაშავდა და მას შემდეგ არ უსაპარეზია. მან ამ დღეებში „ბარსელონას“ სარეზერვო გუნდში 60 წუთი ითამაშა და კმაყოფილი დარჩა: „მგონი, მოვმჯობინდი. კარგია, რომ მწვრთნელმა მხოლოდ 60 წუთი მათამაშა, საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ეს ჩემი პირველი მატჩი იყო“ — განაცხადა გამოცდილმა გვარდიოლამ.

ყაზახურ ფეხბურთში განხეთქილებაა. ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას ოპოზიციური დაჯგუფება ეწინააღმდეგება, რომელსაც ალმა-ათის ცსკა-ს პრეზიდენტი, პაველ ნოვიკოვი ხელმძღვანელობს. ფიფამ რა თქმა უნდა, ეს ამბავი შეიტყო და მოქიშპე მხარეებს შერიგებისკენ მოუწოდა. მსგავსი დავა ამ ცოტა ხნის წინ აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციაშიც წარმოიშვა, რის გამოც მეზობელ ქვეყანას ფიფას რიგებიდან გარიცხვა დაემუქრა, თუმცა მაშინ მოწინააღმდეგეები შეთანხმდნენ და მკაცრ სასჯელსაც გადაურჩნენ.

შოტლანდია

გადადებული მატჩები

მოზერუელი 0:4 კილმარნოკი

0:1, 0:2 კოკარი (29, 42), 0:3, 0:4 ჯ. ვერელი (86, 90)

სენტ ჯონსტონი 1:0 ჰიბერნიანი

1:0 ოჰალორანი (273)

თასის მერვედფინალის გადათამაშება

დანდი იუნ. 4:0 ალოა

1:0 პრეგეტი (38), 2:0 ჰამილტონი (39), 3:0, 4:0 ტომპსონი (83, 853)

ინგლისი

I დივიზიონი

გადადებული მატჩი

ბოლტონი 3:0 პორტსმუთი

1:0 ტეილორი (12), 2:0 იენსენი (69), 3:0 ელიოტი (78)

ჰოლანდია

გადადებული მატჩი

ალკმარი 4:0 კამბური

1:0 ჰუბერტსი (14), 2:0 ოუდამი (47), 3:0 ერნანდესი (75), 4:0 ბოსმანი (82)

18 ტური

საუკეთესო მოთამაშე

ლევან წიკლაური
„აზოტი“

ფოტო ფარა ფალავანდიშვილისა

პირველი ტაიმის თითხმეტი ქულით მოგების შემდეგ აზოტს სტუ-ს დამარცხება თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ მეორე ნახევრის ბოლო წუთზე მატჩის ბედი მაინც გაურკვეველი იყო. თითხმეტქულიანი უპირატესობა სადღაც გაქრა და „აზოტი“ მდევრის როლში აღმოჩნდა. აქ კი რუსთაველებს მხსნელად ლევან წიკლაური მოევლინათ, რომელმაც რამაზ გოგობერიშვილის დიდებული პასები კარგად გამოიყენა და მანამდე ფარზე ბურთის მოხსნებითა და დაფარებებით თავგამოჩენილმა, ამჯერად გულშემატკივრებს გუნდისთვის მეტად საჭირო მომენტში შედეგიანი თამაშითაც დაამახსოვრა თავი.

— ლევან, რით ახსნით იმას, რომ შესვენების შემდეგ მასპინძლებმა თამაშში ასეთი გარდატეხა შეიტანეს?

— საქართველოს გუნდებს შორის სტუ-ს ყველაზე გრძელი სკამი აქვს და აქედან გამომდინარე, — სათამაშო ტაქტიკაშიც სხვაზე მეტი ცვლილების შეტანის შესაძლებლობა გააჩნიათ. თუ მასპინძლები პირველ ტაიმში ღია კალათბურთს თამაშობდნენ, მეორე ნახევარში პერსონალურ მეურვეობაზე გადავიდნენ, რომელმაც გაუმართლათ კიდეც.

— მერედა, „აზოტი“ ამისათვის მზად არ უნდა ყოფილიყო?

— „აზოტს“ ნებისმიერი ტაქტიკა აქვს დამუშავებული. ჩვენ ყველაფრისთვის ვართ მზად და ამიტომაც გავიმარჯვეთ.

— ყველაფრისთვის მზად ვართო ამბობთ და მეორე ტაიმში ზურაბ ჩუბინიძემ და ამროსი ორმოცაძემ „აზოტის“ წამყვანი კალათბურთელები თითქმის გამოთიშეს თამაშიდან. მატჩის ბედი ხომ ბოლო წუთზე გადაწყდა. ორმოცაძეს და გოდერძი კორძაძეს რომ ოდნავ ზუსტად ეთამაშათ, იქნებ ვიცე-ჩემპიონს წაეგო კიდეც. ცოტა ადრე ხომ არ ირწმუნა „აზოტმა“, რომ გამარჯვება მას დარჩებოდა?

— მართალი ბრძანდებით. შეიძლება წაგვეგო კიდეც და სამარცხვინო სულაც არ იქნებოდა. სტუ ხომ ერთ-ერთი საუკეთესოა მიმდინარე ჩემპიონატში. პირველ ტაიმში იმდენად დიდი იყო ჩვენი უპირატესობა, რომ 16-17 ქულითაც კი ვუგებდით მეტოქეს. ამან მართლაც მოგვცა თვითდაშშვიდების საბაბი. რა ისეთი გრძელი სკამი ჩვენ გვაქვს, რომ სტუდენტებივით მის იმედად ვყოფილიყავით? ერთხანს ბიჭები თამაშის გამწვავებას და ზედმეტი საჯარიმოების მიღებას მოერიდნენ, რათა თავი მატჩის ბოლო წუთებისთვის შემოენახათ.

— და მაინც მოისაკლისეთ მიხეილ ბერუაშვილი, რომელიც ხუთი ჯარიმის გამო სკამზე დასვეს და მერე იქიდანაც კი გააძევეს მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო.

— ემოციურობა ბერუაშვილის კი არა, მთელი „აზოტის“ საერთო სენია. ამაში ჩვენი მსაჯებიც „გვეხმარებიან“ და ამიტომაც ხდება სიტუაცია უკონტროლო. განსაკუთრებით ამაზრზენი იყო მსაჯობა ბათუმში. დარწმუნებული ვარ, რომ არ უნდოდათ და არ მოგვაგებინეს. როდესაც არაობიექტურმა მსაჯობამ ოდნავ შერბილებულ ფორმებში, მაგრამ მაინც ჰპოვა გაგრძელება თბილისში, ბერუაშვილს მოთმინების ფიალა აევსო და... რომ გითხრათ, ჩემს უფროს კოლეგას ვამართლებ-მეთქი, არ ვიქნები მართალი, მაგრამ არც ის მესმის, უსამართლობის წინააღმდეგ ხმა რატომ არ უნდა აიმაღლოს. ერთიც მინდა ვთქვა: როცა ბერუაშვილმა მეხუთე ჯარიმა მიიღო, უსიტყვოდ გავიდა მოედნიდან.

— ამბობთ, ბათუმში არ მოგვაგებინესო. თქვენ ბოლო წამზე ბურთი რომ ჩაგეგდოთ, გამარჯვება „აზოტს“ დარჩებოდა და თამაში ოვერტაიმში აღარ გადავიდოდა.

— მსაჯების „დამსახურებაც“ სწორედ ამაშია, რომ ბოლო წამებში წყდებოდა მატჩის ბედი.

— ხომ არ აჯობებდა, ბათუმში ბოლო შეტევისას ბურთი საუკეთესო პოზიციაში მყოფი გოგობერიშვილისათვის მიგეწოდებინათ?

— იმდენად ცოტა დრო იყო დარჩენილი და ისე ვჩქარობდი, რომ ფარისა და კალათის მეტს ველარაფერს ვამჩნევდი. სამაგიეროდ, თბილისში გავუგეთ ერთმანეთს მე და რამაზ გოგობერიშვილმა. მგონი, გავუმართლეთ კიდეც იმედები „აზოტის“ გულშემატკივრებს.

— სტუ-სთან მეორე ტაიმში თქვენ მართლაც კარგად გამოიყურებოდით და თორთლაძესა და გოგობერიშვილთან ერთად ყველაზე მეტი, ცამეტი ქულის გაყვეთებაც მოახერხეთ. პირველ ნახევარში კი მხოლოდ სამ ქულას დასჯერდით.

— რადგან სასტარტო ხუთეულში ვერ მოვხვდი, მოედანზე ცოტა ხანს მომიწია ყოფნამ და უკეთ თამაში ვერ შევძელი.

— თქვენი აზრით, ტურის საუკეთესო მოთამაშედ რატომ გასახელებთ?

— ალბათ იმიტომ, რომ ბლომად ბურთები მოვხსენი, რამდენჯერმე კარგადაც დავაფარე და მეტად საჭირო ქულებიც მოვიპოვე.

— დაფარებებსა და მოხსნებს დიდად განაპირობებს თქვენი კარგი ნახტომი. ეს ვინმემ გასწავლათ თუ თანდაყოლილია?

— უფრო თანდაყოლილია და შემდეგ ვარჯიშებზე გავაუმჯობესე.

— ახლა ნაკლზეც ვთქვათ. თუ ასეთი რამ არ გახასიათებთ?

— როგორ არა, ნაკლიც მაქვს. უნაკლო კალათბურთელი რომ ვიყო, საქართველოში ვინ გამაჩერებდა.

— კონკრეტულად თქვენს რომელ ნაკლს გამოარჩევდით?

— სროლა მაქვს დასაყენებელი და მოვისუსტებ დაცვაში თამაშის დროს.

— ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის წამალიც გეცოდინებათ უთუოდ.

— რა თქმა უნდა, ვარჯიში და მხოლოდ ვარჯიში.

— კალათბურთის გარდა სხვა საქმითაც ხომ არ ხართ დაკავებული?

— ვსწავლობ თბილისში, ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიაში კალათბურთის განყოფილებაზე.

— ერთი სეზონი თქვენ თბილისის „დინამოში“ გაატარეთ. „აზოტიდან“ წასვლისა და შემდეგ დაბრუნების მიზეზებზე რას გვეტყვით?

— ამპლუით მესამე-მეოთხე ნომრის კალათბურთელი ვარ. „აზოტში“ ჩემზე გამოცდილი სპორტსმენებისათვის მიხდებოდა კონკურენციის გაწევა. უმეტესად შეცვლაზე მიხდებოდა თამაში, ამიტომ „დინამოში“ გადავედი, მოედანზე უფრო დიდხანს რომ ვყოფილიყავი. მერე მივხვდი, მშობლიურ გუნდში თამაში ყველაფერს მერჩივნა და გადავწყვიტე კვლავ „აზოტში“ დავბრუნებულიყავი.

— თქვენ, მგონი, სლოვენიაშიც აპირებდით საკალათბურთო კარიერის გაგრძელებას...

— სლოვენიაში სულ სხვა მიზნით ვიყავი ჩასული. ჩემი მეგობარი ვლადიმერ ბოისა მოვინახულე.

— რომ შემოგთავაზონ უცხოეთის რომელიმე გუნდში გადასვლა, არ დათანხმდებით?

— რატომაც არა. მაგრამ თუ „აზოტზე“ უკეთესი გუნდი იქნება და სკამზე ჯდომითაც არ დამღლიან.

როლანდ ლაბუჩიძე

5-ათასიანი ენატკბილობა



ეროვნული ბიბლიოთეკა

რეჯი მილერი

„ინდიანა პეისერზის“ მსროლელი რეჯი მილერი არასდროს უშვებდა ხელიდან შემთხვევას, „ნიუ იორკ ნიქსის“ გულშემატკივრებს „ტკბილად გაბაასებოდა“. ბოლოს, 19 თებერვალს მას ეს 5000 დოლარი დაუჯდა. ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა სწორედ ამ თანხით დააჯარიმა მას შემდეგ, რაც ინდიანელმა უხამსი სიტყვებით მიმართა მეტოქე გუნდის გულშემატკივრებს. მართალია, არც მათ დაუკლიათ მილერისთვის ლანძღვა-გინება, მაგრამ ნბა-ს სადისციპლინო კომიტეტს ქომაგებთან აბა, რა ხელი აქვს. „ნიუ იორკის“ ფანებსა და რეჯი მილერს შორის მტრობა ალბათ, მანამდე გაგრძელდება, სანამ ეს უკანასკნელი კალათბურთს ითამაშებს და „ნიუ იორკის“ „მედისონ სკვერ გარდენში“ გამოჩნდება.

ყველაფერი ჯერ კიდევ 1994 წელს დაიწყო. მაშინ პლეი ოფში, აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალურ სერიაში „ნიუ იორკი“ და „ინდიანა“ ომობდნენ. სერიის ერთ-ერთ მატჩში, რომელშიც „ინდიანამ“ სტუმრად დაამარცხა მეტოქე, რეჯი მილერმა პატარა გმირობა ჩაიდინა და „ნიუ იორკს“ გამარჯვება ხელიდან გამოსტაცა. თამაშის შემდგომ პრესკონფერენციაზე მილერი გაიფხორა და ნიუიორკელებზე ერთობ ცუდად ამეტყველდა. მოხსნა გუდას პირი და რაც ენაზე მოადგა, ყველაფერი თქვა. მას შემდეგ ნიუიორკელები ხელსაყრელ მომენტს ხელიდან არ უშვებდნენ, ინდიანელი გამოთათხონ, არც „ენატკბილი“ რეჯი რჩება ვალში.

კვირის მოთამაშე

შაკილ ონილი
„ლეიკერსი“



გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ სავსებით სამართლიანად აღიარეს „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ გიგანტი ცენტრი შაკილ ონილი. ონილმა იოლად აჯობა უმთავრეს პრეტენდენტს, ფინიქსელ როდნი როჯერს და მიმდინარე სეზონში მეორედ დაეუფლა ამ ტიტულს. იგი კევინ გარნეტისა და კრის ვებერის შემდეგ მესამეა, ვინც ეს მოახერხა.

შაკილ ონილს ერთი რამ აცოფებს. უკვე მერვე სეზონს თამაშობს და ჯერაც ვერ შეძლო სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულის დათრევა. იქნებ ეკუთვნის მას ეს პრესტიჟული ჯილდო, იქნებ არც ეკუთვნის, ყოველ შემთხვევაში, მიმდინარე სეზონში შაკი თავს არ ზოგავს და იმ იმედით ცოცხლობს, რომ ახლა მაინც ირგუნებს ამ ტიტულს.

გასულ კვირაში ონილმა ფართოდ გამოავლინა თავისი კოლოსალური შესაძლებლობები, „ლეიკერსს“ კვირის განმავლობაში ჩატარებული ოთხივე შეხვედრა მოაგებინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მშვენიერი გარჯა „ფილადელფიასთან“. იქ ონილმა 22 ქულასა და 16 მოხსნას კარიერაში მისთვის სარეკორდოდ ბევრი, ცხრა პასი დაუმატა და სულ ერთი დაკლდა სამმაგ დუბლამდე. ამ ოთხ თამაშში ონილს საშუალოდ 27,0 ქულა, 16,5 მოხსნა, 5 პასი და 2,5 დაფარება მოუგროვდა. გარდა ამისა, იგი განსაცვიფრებლად ზუსტად ისროდა საჯარიმოებს — 42 სროლიდან 30 ჩაადო და გამოუვიდა 71,4 პროცენტი, რაც 21 პროცენტით მეტია მის საშუალო სასეზონო შედეგზე.

ამჟამად ონილი მატჩში საშუალოდ 28 ქულით მეორე ადგილზეა ბომბარდირთა დავაში, 14,4 მოხსნით ასევე მეორეა მოხსნებში, 3,35 დაფარებით მესამეა დამფარველთა შორის და პირველია თამაშიდან ნასროლი ბურთების ჩაგდების პროცენტით (56,9).

ლეგენდამ ლეგენდა იხმო

აბდულ-ჯაბარი კლიპერსში იმუშავებს



REUTERS ჩიკაგოდან

ქარიმ აბდულ-ჯაბარი (მარცხნივ) „კლიპერსის“ მთავარ მწვრთნელ ჯიმ ტოდს ესაუბრება

შავ დღეშია „ლოს ანჯელეს კლიპერსი“. გუნდს ვერც სეზონის დასაწყისში რამდენიმე კარგი მოთამაშის დამატებამ უშველა და ვერც მთავარი მწვრთნელის შეცვლამ. ორიოდე კვირის წინ ამ საცოდავი გუნდის მწვრთნელად კრის ფორდის ნაცვლად მისი მოადგილე ჯიმ ტოდი დაინიშნა, მაგრამ მან ჯერჯერობით რვავე მატჩი წააგებინა გუნდს და კიდევ უფრო ჩაძირა „კლიპერსი“. გუნდი ბოლოა არა მარტო დივიზიონში, არამედ დასავლეთ კონფერენციაში და, საერთოდაც, დანარჩენ 28 გუნდზე ცუდი მოგება-წაგების ბალანსი აქვს.

კლუბის ხელმძღვანელობაც ცდილობს გამოსავლის პოვნას. უპირველეს ყოვლისა ეს 60-იანი წლების ლეგენდარული მოთამაშე, ახლა კი „კლიპერსის“ ვიცეპრეზიდენტ ელჯინ ბეილორზე ითქმის. სწორედ მას ეკუთვნის გუნდში მწვრთნელის თანაშემწედ ასევე ცოცხალ ლეგენდის ქარიმ აბდულ-ჯაბარის მოყვანის იდეა. აბდულ-ჯაბარი სულ ორიოდე დღის წინ დაინიშნა მწვრთნელის თანაშემწედ და ლამის საზეიმო ფიცი დადო, რომ ყველა ღონეს იხმარს გუნდის ფეხზე დასაყენებლად. „უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ მეძლევა შესაძლებლობა ელჯინის (ბეილორი) გუნდს რაიმეთი დავეხმარო, მე ყოველ ღონეს ვიხმარ და ისე, კაცმა რომ თქვას „კლიპერსი“ სულაც არაა ცუდი გუნდი“.

მოთამაშეობაში ამპლუით ცენტრ აბდულ-ჯაბარის უშუალო მოვალეობა იქნება თავისი უდიდესი ცოდნის გაზიარება ორი ცენტრისთვის — ძირითად მაიკლ ოლოვოკანდისთვის, რომლის უხეირო თამაშმა ამ ორი წლის განმავლობაში კლუბის ხელმძღვანელობას ლამის ინფარქტი დამართა და მისი შემცვლელი, 221-სანტიმეტრიან ახმახი კეიტ კლოსისთვის, რომელიც უკბილო ოლოვოკანდის ნახევარიც არაა. კლუბის მამები ასევე იმედოვნებენ, რომ აბდულ-ჯაბარი გულგატეხილ მოთამაშეებს გამარჯვების რწმენას გაუღვივებს. „ქარიმი ბიჭებს გაამხნევებს და მათ გამარჯვებას ასწავლის, ამის ცოცხალი მაგალითი ხომ თვითონაა“ — თავისი თანაშემწის სჯერა მწვრთნელ ტოდსაც.

ცოცხალი მაგალითისთვის უკეთესის პოვნა მართლაც არ შეიძლებოდა. ქარიმ აბდულ-ჯაბარი, როგორც არავინ, ისე გახლავთ ტიტულებით და გამარჯვებებით დახუნძლული. მისი ტიტულების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევჩერდეთ. აბდულ-ჯაბარს უთამაშია 19 „ოლ სტარი“, ექვსჯერ გამხდარა ლიგის ჩემპიონი, ექვსჯერ (ყველაზე მეტჯერ) მოუპოვებია სეზონის უძვირფასესი მოთამაშის წოდება. თავის ხანგრძლივ კარიერაში ჩაუგდია 38 387 ქულა. ამ რეკორდს ალბათ ვერავინ შესწვდება.

ივანე კობიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA

რეგულარული ჩემპიონატი

სტეფანიაც სამაგალითო სათადარიგოა

22 თებერვალი

სიეტლი 127:91 ორლანდო

სიეტლი: პეიტონი (17), ბერი (16), პატერსონი (17), ბეიკერი (2), გრანტი (10); ლუისი (21), დევისი (17), **სტეფანია** (10 ქულა, 5 მოხსნა, 2 დაფარება), ვილიამსი (7), მაკკოი (5), ფოსტერი (5)

ორლანდო: არმსტრონგი (11), მერსერი (4), ოუთლო (6), ვოლესი (4), ამეჩი (9); ეტკინსი (21), მეჯიტი (13), ვილიამსი (9), გერიტი (6), სტრონგი (5), ტეილორი (3), დოლიკი



REUTERS სიეტლიდან

სიეტლი — ორლანდო. სიეტლელი გერი პეიტონი (№20) თანაგუნდელი ჰორას გრანტის და ბო აუთლოუს ორთაბრძოლას შეჰყურებს

REUTERS მინეაპოლისიდან

მინესოტა — გოლდენ სტეიტი. მინესოტელი რადოსლავ ნესტეროვიჩი (თეთრ ფორმაში) და ჯეისონ კეფი ფარზე შებმულან

სიეტლელებს ეგონათ, რომ მათი გუნდი 22 თებერვალს „ორლანდოსთან" იოლად მოიგებდა. მათ მეტოქეს ხომ კერკეტი გუნდის სახელი დაუგდია ლიგაში და პლეი ოფისთვისაც კი იბრძვის. ამდენად, ცოტა ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ „სონიქსი" აგრერიგად დაჩაგრავდა მეტოქეს. მეორე მხრივ, ამგვარ თამაშებს ერთი დადებითი მხარე აქვს: ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში პირველ ქართველს მოედანზე განავარდების შანსი ეძლევა. ახლაც სტეფანიამ თავისი მორიგი მატჩი ჩაატარა, თან ისე, რომ თვით მწვრთნელის, პოლ ვესტფოლის ქება დაიმსახურა.

ვესტფოლმა სტეფანია მეოთხე მეოთხედში შეუშვა მოედანზე და ბოლომდე შეუცვლელად ათამაშა. ამ დროს „სიეტლი" 40 ქულით იყო წინ. ასე რომ, მასპინძლებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, ლაღი თამაში გააჩაღეს და მათ შორის ვოვა სტეფანიამაც. იგი თამამად ჩაერთო თამაშში, კარგად ისროდა და ხელიც ნაკლებად მოეცარა. თამაშიდან ოთხი სროლიდან სამი ჩააგდო. ვოვა ბევრს მოძრაობდა, აქტიურად უტევდა და მასზეც ხშირად ჯარიმდებოდნენ. ქართველს არც საჯარიმოს ხაზიდან აჰკანკალებია ხელი. ექვსი შესაძლებლობიდან ოთხი გამოიყენა, რაც მისთვის მშვენიერი შედეგია. ჩვეულებრივ, იგი ხომ ჯარიმების ნახევარსაც ვერ აგდებს. გარდა ამისა, ვოვამ ორი ბურთიც მოხსნა მეტოქის ფარზე. რაც შეეხება დაცვას, ქართველს არც აქ დაუტოვებია ურიგო შთაბეჭდილება. საკუთარი ფარიდან ასხლეტილ ბურთს სამჯერ დაეუფლა და ფარქეშ შემოჭრილ მეტოქის მარდ მცველებს ორჯერ ისეთი დაუფარა, ლამის შეტევის სურვილი დაუკარგა. შეცდომებიც დაუშვა სტეფანიამ. 12 წუთის განმავლობაში ოთხჯერ დაჯარიმდა და ამდენჯერვე ბურთი დაკარგა. ქართველი ალბათ შესაბამის დასკვნას გამოიტანს და შეეცდება, უფრო ყურადღებით გაისარჯოს. საერთო ჯამში 12 წუთის განმავლობაში 10 ქულა, 5 მოხსნა და ორი დაფარება სულაც არაა ურიგო შედეგი და თუ სტეფანიამ ასე გააგრძელა, იქნებ უფრო ხშირად და დიდხანს მოუწიოს მოედანზე ყოფნა.

სტეფანიას მსგავსად არც სხვა სათადარიგოებმა დაზოგეს თავი და „ორლანდოს" ასე გაბითურება ამანაც განაპირობა. მაგალითად, ემანუელ დევისმა 17 ქულა ჩაუგდო სტუმრებს მაშინ, როცა მისი შედეგიანობაა მატჩში საშუალოდ 3,7 ქულა. ამ შეხვედრაში დევისმა სამიზნე გაისწორა და სტუმარ გუნდს ერთბაშად ხუთი სამქულიანი ჩაუგდო. იგივე ითქმის რაშარდ ლუისზე. იგი თამაშში შვიდ ქულასაც ვერ აგროვებს და ახლა სამჯერ მეტის გაკეთება შეძლო. თვითონ ვოვა სტეფანიამ ოთხჯერ გადააჭარბა თავის მაჩვენებელს. „როცა სათადარიგოები ისე თამაშობენ, როგორც დღეს, ჩვენც გაცილებით გვიადვილდება საქმე" — თქვა მატჩის შემდეგ „სიეტლის" ძირითადმა ცენტრმა ჰორას გრანტმა, რომელსაც წინა ხუთი სეზონი გაუტარებია „ორლანდოში". იგი სეზონის დაწყებამდე გადავიდა „სონიქსში". „სიეტლის" ხელმძღვანელობამ მასში ოთხი მოთამაშე, მათ შორის ერთობ პერსპექტიული ახალბედა კორი მეჯიტი გაიღო. ახლა ამ ბებერმა მგელმა თავის ყოფილ გუნდს ათი ქულა ჩაუგდო.

სათადარიგოთა მონდომებას ის შედეგიც გამოიღო, რომ „სიეტლმა" ერთი თამაშის განმავლობაში დაგროვებული ქულებით სეზონის რეკორდი დაამყარა.

ფინიქსი 86:67 დენვერი

ფინიქსი: როჯერსი (17)
დენვერი: პოუზი (14)

ჩიკაგო 81:85 ვანკუვერი

ჩიკაგო: ბრენდი (25 ქულა, 9 მოხსნა)
ვანკუვერი: დიკერსონი (25)

გოლდენ სტეიტი 89:112 მინესოტა

გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (14)
მინესოტა: შერბიაკი (21 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა), ბრენდონი (21), გარნეტი (18 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი)

შარლოტი 102: 97 ჰიუსტონი

შარლოტი: კოულმენი (32 ქულა, 12 მოხსნა), ვესლი (21)
ჰიუსტონი: ფრენსისი (24 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა), ტომასი (20)

ნიუ ჯერსი 89:97 ლეიკერსი

ნიუ ჯერსი: მარბერი (33), გილი (18)
ლეიკერსი: ონილი (35 ქულა, 13 მოხსნა), ბრაიანტი (21)

ვაშინგტონი 126:101 მილუოკი

ვაშინგტონი: რიჩმონდი (26), ვაითი (18 ქულა, 11 მოხსნა)
მილუოკი: ალენი (17)

როგორც იქნა „ვაშინგტონმაც" გაიხარა გამარჯვებით, რომელიც ამ ბოლო ხანებში აგრერიგად სანატრელი გაუხდა. ამით მან შეწყვიტა შვიდმატჩიანი წაგებების სერია. როგორც ჩანს, ცუდ ფეხზე მოსულა ახალი მწვრთნელი, გუნდის პრეზიდენტის, მაიკლ ჯორდანის პროტეჟე დარელ უოლკერი. ჩაძირული გუნდი დახვდა მას და „ჯადოქრებმა" ახალი მწვრთნელისგან ის იხეირეს, რომ ათ თამაშში ორჯერ გაიმარჯვეს. ამ მოგებას არ მოუტანია ახალი იმედები, რომლებიც ადრე გამარჯვების შემდეგ იბადებოდა, მაგრამ მოგებიდან მოგებამდე დედაქალაქელები როგორც წესი, რამდენიმე თამაშს აგებენ და არც იმის გარანტია არსებობს, რომ „ვიზარდსი" მომდევნო შეხვედრებს ისევე უიმედოდ არ წააგებს, როგორც მრავალი სხვა წაგო მიმდინარე სეზონში. თუმც მწვრთნელი იხტიბარს არ იტეხს: „იმას კი არ ვამბობ, ყოველ თამაშში 120 ქულას დავაგროვებთ-მეთქი, მაგრამ ამ გამარჯვების შემდეგ უფრო მოვინდომებთ და იმედი მაქვს, ბიჭებიც გულიანად ათამაშდებიან. ჩვენ ვერავინ დაგვეხმარება, თავად უნდა მივხედოთ თავს". ძლეული „მილუოკის" მთავარი მწვრთნელი, უოლკერზე გაცილებით გამოცდილი ჯორჯ კარლი იმასღა ამბობდა, არ გაგვიმართლა, თან არც ველოდით, თუ მეტოქე ასე ითამაშებდაო.

რა მოუტანა ამ გამარჯვებამ თვითონ „ჯადოქრებს"? „უბრალოდ, ამაღამ უფრო კარგად დამეძინება ვიდრე წაგებული თამაშის შემდეგ" — თქვა ერთ დროს სუპერვარსკვლავმა, ახლა კი რიგითი მოთამაშის დონეზე დაშვებულმა მიჩ რიჩმონდმა, რომელმაც იმ დღეს „მილუოკის" 26 ქულა ჩაუგდო.

დასავლეთში ბოლოდან მესამე ადგილს არ სჯერდება და უფრო მაღლა დამკვიდრებისთვის იბრძვის კანადური „ვანკუვერ გრიზლიზი". 22 თებერვალს ვანკუვერელმა „დათვებმა" ჩიკაგოში შეჭამეს იქაური „ხარები" და თავიანთ გამარჯვებათა ნუსხას კიდევ ერთი სასახელო ფურცელი წაამატეს. არადა, სწორედ ამ დარბაზში სულ ორიოდე დღის წინ „ჩიკაგომ" თვით „მიამი" დასცა...

ამ ბოლო ხანებში კანადური გუნდის წარმატებას ახალ ლიდერის კარგ გარჯას მიაწერენ. ძველმა, შარიფ აბდურ-რაჰიმმა, ლიდერობა მასზე უმცროს მაიკლ დიკერსონს გადაულოცა და ისიც ღირსეულად ეზიდება ამ საპატიო ტვირთს. იშვიათად, რომ თამაშში ოც ქულაზე ნაკლებს დასჯერდეს.

„ლეიკერსის" ცენტრმა, გასული კვირის საუკეთესო მოთამაშემ, შაკილ ონილმა წარმატებული მატჩების სერიას ერთიც მიუმატა. ამჯერად ამ 143-კილოგრამიანმა და 216-სანტიმეტრიანმა დევკაცმა „ნიუ ჯერსი" დაიბრიყვა. მატჩის შემდეგ მან საკუთარ თავს ქებადიდება შეასხა. არ მოვინდომე, თორემ 35-ს კი არა, 50 ქულას ჩავაგდებდიო.

ონილზე არანაკლებ კარგად ითამაშა „შარლოტის" თავდასხმელმა დერიკ კოულმენმა. მან შავ დღეში ჩაავდო „ჰიუსტონი", ვისაც მის ამპლუაში ხეირიანი არავინ მოეძებნება, მატჩის შემდეგ კი მეტოქე გუნდის მწვრთნელს, რუდი ტომიანოვიჩს ათქმევინა დერიკი დღეს შეუდარებელი იყო, მაგაზე ნიჭიერი ლიგაში ორი-სამი თუ მეგულება და დიდი სიამოვნებით ვიხილავდი მას ჩემს გუნდშიო. კოულმენის წარმატებულ თამაშს მისი თანაგუნდელის, ენტონი მეისონის პასებმაც შეუწყო ხელი. ამპლუით კოულმენივით თავდასხმელი მეისონი, იმის ნაცვლად, რომ თავად შეეტია „ჰიუსტონის" კალათისთვის, პასებს არ იშურებდა კოულმენისთვის. ესეც უმეტეს შემთხვევაში ზუსტი იყო. საბოლოოდ არც მეისონის გარჯა დარჩა დაუფასებელი. მან 12 ქულით, 11 პასით და 10 მოხსნით ამ სეზონში პირველი, კარიერაში კი მეხუთე სამმაგი დუბლი შეასრულა.

ირაკლი ფირაზვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი	მ	წ	%
ნიუ იორკი	32	19	62,7
მაიამი	32	20	61,5
ფილადელფია	28	24	53,8
ორლანდო	25	28	47,2
ბოსტონი	22	31	41,5
ნიუ ჯერსი	21	32	39,6
ვაშინგტონი	16	38	29,6
ცენტრალური დივიზიონი			
ინდიანა	35	17	67,3
შარლოტი	30	22	57,7
ტორონტო	27	24	52,9
მილუოკი	27	27	50,0
დეტროიტი	26	26	50,0
კლივლენდი	22	31	41,5
ატლანტა	20	30	40,0
ჩიკაგო	12	39	23,5

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი			
სან ანტონიო	34	19	64,2
იუტა	32	19	62,7
მინესოტა	29	23	55,8
დენვერი	24	29	45,3
დალასი	22	30	42,3
ჰიუსტონი	21	33	38,9
ვანკუვერი	17	36	32,1
წყნარი ოკეანის დივიზიონი			
პორტლენდი	43	11	79,6
ლეიკერსი	42	11	79,2
ფინიქსი	33	19	63,5
სიეტლი	34	21	61,8
საკრამენტო	31	22	58,5
გოლდენ სტეიტი	14	38	26,9
კლიპერსი	11	43	20,4

მწვრთნელის ბედი ცრვენა ზვეზდაში

ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა" სასწაულებრივი სისწრაფით იცვლის მწვრთნელებს. სეზონის დაწყებიდან ხუთი თვეც არ გასულა და ბელგრადელებს უკვე მეოთხე თავკაცი დაენიშნათ — სტევან კარაჯიჩი. ამ კაცმა ვლადისლავ ლუჩიჩი შეცვალა, რომელმაც გადადგომა ჯერ კიდევ ორი კვირის წინ ითხოვა. მიზეზი „ცრვენა ზვეზდას" „ბუდუჩნოსტთან" 72:93 მარცხი იყო.

ლუჩიჩის მაშინდელი თხოვნა კლუბის დირექტორთა საბჭომ არ დაკმაყოფილა. გუშინწინ ლუჩიჩმა კვლავ ჩამოაგდო სიტყვა წასვლაზე. ამჯერად დირექტორთა საბჭო დათანხმდა. ყოფილი მწვრთნელი კვლავ „ცრვენა ზვეზდაში" დარჩება, ოღონდ მენეჯერად იმუშავებს.

ახალი მწვრთნელი სტევან კარაჯიჩი ლუჩიჩის თანაშემწე იყო. თხუთმეტი წლის წინ იგი „ცრვენა ზვეზდაში" თამაშობდა, ხოლო მწვრთნელობა ამავე კლუბის ქალთა გუნდში დაიწყო.

კარაჯიჩი, როგორც მოგახსენეთ, ამ სეზონში „ცრვენა ზვეზდას" მეოთხე მწვრთნელია. სეზონი იოვიცა ანტონიჩმა დაიწყო, რომელიც იუგოსლავიის ჩემპიონატის მესამე ტურის შემდეგ გაათავისუფლეს. მისმა შემცვლელმა მომირ მილატოვიჩმა თანამდებობაზე მხოლოდ 29 დღე დაჰყო და გუნდის საჭე ლუჩიჩს გადაულოცა. ლუჩიჩმა კი ესტაფეტა კარაჯიჩს გადასცა.

განდიდებული ესპანელის აღსასრული

ანტონ�و დიას მიგელი

ესპანეთმა დიდი მწვრთნელი მოისაკლისა. 66 წლისა კიბოთი გარდაიცვალა ანტონიო დიას მიგელი, რომელიც 27 წლის განმავლობაში (1965-1992) წვრთნიდა ესპანეთის ნაკრებს. დიას მიგელს კიბო ხუთი თვის წინ აღმოაჩნდა და ძალიან სწრაფად განუვითარდა. წინა კვირაში ღვაწლმოსილი მწვრთნელი „სპორტული ღირსების სამეფო ორდენით" დაჯილდოვეს. ეს უდიდესი ჯილდოა, რაც ესპანურ სპორტში მომუშავე კაცმა შეიძლება მიიღოს. თავად დიას მიგელი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო დაჯილდოების ცერემონიალს ვერ დაესწრო.

დიას მიგელი ესპანეთის ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელი იყო. 1965 წლამდე, სანამ ნაკრების თავკაცად დაინიშნებოდა, ესპანეთის ჩემპიონატში თამაშობდა. მისი ხელმძღვანელობით ესპანეთის ეროვნულმა გუნდმა ლოს ანჯელესის 1984 წლის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედლები მოიპოვა, 1983 წლის ევროპის ჩემპიონატზეც იგივე წარმატებას მიაღწია, ხოლო კონტინენტის 1991 წლის პირველობაზე მესამე ადგილზე გავიდა. დიას მიგელი ნაკრების თავკაცობიდან ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადის შემდეგ გაათავისუფლეს. იგი გახლავთ ერთადერთი ესპანელი, რომელიც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის „დიდების დარბაზში" შეიყვანეს.

სარჯიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

„კროკოს“ მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე
(კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში)
11⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე მუშაობს

ინგლისი. პირველი დივიზიონი

ჩარლტონი	31	21	5	5	58:29	68	12	2	2	28:11	9	3	3	30:18
იფსვიჩი	32	18	9	5	54:31	63	12	2	2	32:14	6	7	3	22:17
სიტი	31	19	5	7	51:25	62	12	0	3	34:11	7	5	4	17:14
ბარნსლი	32	17	6	9	62:47	57	11	2	3	37:17	6	4	6	25:30
ბირმინგემი	32	15	8	9	49:36	53	11	3	2	29:13	4	5	7	20:23
ჰადერსფილდი	32	15	7	10	49:35	52	11	3	2	35:14	4	4	8	14:21
ვულვზი	32	13	10	9	44:36	49	9	4	3	29:16	4	6	6	15:20
ფულემი	32	12	12	8	29:26	48	8	5	3	15:8	4	7	5	14:18
ბოლტონი	31	12	9	10	43:34	45	8	5	3	29:18	4	4	7	14:16
ბლეკბერნი	31	11	11	9	37:34	44	7	6	2	21:11	4	5	7	16:23
ქუინზ პარკი	32	10	13	9	41:38	43	6	9	1	22:15	4	4	8	19:23
სტოკპორტი	32	11	10	11	36:43	43	7	6	3	25:21	4	4	8	11:22
შეფილდ იუნ.	32	11	9	12	46:46	42	9	3	4	29:15	2	6	8	17:31
ნორვიჩი	31	11	9	11	32:34	42	9	3	4	21:16	2	6	7	11:18
გრიმსბი	32	11	7	14	36:52	40	8	5	3	23:21	3	2	11	13:31
ტრანმერი	31	10	7	14	40:47	37	7	5	3	25:17	3	2	11	15:30
კრ. პალასი	32	9	10	13	44:52	37	6	7	3	26:17	3	3	10	18:35
ნოტინგემი	32	9	9	14	35:40	36	7	6	3	21:13	2	3	11	14:27
ვესტ ბრომი	32	6	15	11	26:40	33	4	9	4	16:17	2	6	7	10:23
პორტსმუთი	32	7	9	16	35:49	30	5	5	6	22:17	2	4	10	13:32
უოლსოლი	32	7	9	16	33:51	30	4	5	7	15:20	3	4	9	18:31
ქრიუ	32	7	8	17	34:45	29	5	5	6	17:18	2	3	11	14:26
პორტვეილი	30	6	10	14	32:41	28	5	3	7	16:17	1	7	7	16:24
სუინდონი	32	3	11	18	22:55	20	2	6	8	15:29	1	5	10	7:26

ინგლისი. მეორე დივიზიონი

პრესტონი	30	18	9	3	54:26	63	10	3	2	26:15	8	6	1	28:11
როვერსი	31	19	6	6	51:25	63	10	4	1	22:9	9	2	5	29:16
უიგანი	30	15	13	2	49:24	58	10	3	2	25:9	5	10	0	24:15
მილუოლი	32	16	9	7	47:34	57	10	5	1	26:12	6	4	6	21:22
ბარნლი	30	15	10	5	41:24	55	12	2	1	29:9	3	8	4	12:15
სტოკი	32	14	9	9	42:32	51	7	6	3	21:15	7	3	6	21:17
ნოტსი	32	14	8	10	47:36	50	7	3	6	25:20	7	5	4	22:16
ჭილინგემი	28	14	7	7	50:34	49	9	2	3	29:15	5	5	4	21:19
ბრენტფორდი	32	12	9	11	40:41	45	8	4	4	23:18	4	5	7	17:23
ბრისტოლი	32	9	16	7	38:34	43	4	12	0	20:10	5	4	7	18:24
ლუთონი	32	12	7	13	44:47	43	9	4	3	32:23	3	3	10	12:24
უიკომბი	31	10	10	11	38:38	40	7	3	5	22:19	3	7	6	16:19
ოლდემი	31	11	7	13	35:36	40	6	3	6	19:16	5	4	7	16:20
კოლჩესტერი	32	11	7	14	41:58	40	8	3	5	25:28	4	4	8	16:30
ბერი	30	9	12	9	43:39	39	6	6	4	27:25	3	6	5	16:14
ბორნმუთი	32	11	6	15	43:49	39	8	4	4	27:14	3	2	11	16:35
რედინგი	31	7	12	12	37:50	33	5	8	3	18:14	2	4	9	21:36
სკანთორპი	31	7	10	14	30:48	31	4	4	8	13:23	3	6	6	17:25
რექსჰემი	31	7	10	14	29:48	31	4	5	6	15:20	3	5	8	15:28
ოქსფორდი	31	8	7	16	27:47	31	4	4	8	15:25	4	3	8	12:22
კარდიფი	31	5	13	13	28:41	28	3	9	4	15:20	2	4	9	13:21
ბლეკპული	32	6	10	16	34:52	28	2	6	8	17:28	4	4	8	17:24
კემბრიჯი	31	6	9	16	38:47	27	4	5	6	23:24	2	4	10	15:23
ჩესტერფილდი	31	4	10	17	18:37	22	3	5	7	9:13	1	5	10	9:24

ინგლისი. მესამე დივიზიონი

როტერჰემი	32	19	6	7	54:23	63	11	1	4	33:11	8	5	3	21:12
სუონსი	31	18	6	7	35:21	60	12	2	2	22:8	6	4	5	13:13
დარლინგტონი	31	16	9	6	45:23	57	10	5	0	27:7	6	4	6	18:16
ბარნეტი	32	16	8	8	45:36	56	10	3	3	30:18	6	5	5	15:18
პიტერბრო	31	16	6	9	44:38	54	11	2	3	27:19	5	4	6	17:19
ნორთჰემპტონი	31	15	7	9	40:28	52	10	2	4	24:12	5	5	5	16:16
როჩდეილი	31	14	8	9	35:27	50	6	5	4	12:11	8	3	5	23:16
ჰარტლპული	32	16	4	12	43:36	49	11	0	5	22:13	4	4	8	20:24
მაკლსფილდი	32	14	6	12	47:42	48	7	3	6	23:21	7	3	6	24:21
ტორკი	31	13	8	10	44:35	47	8	4	3	23:10	5	4	7	21:25
პლიმუთი	31	12	11	8	39:34	47	9	6	0	31:13	3	5	8	8:21
ჰალიფაქსი	32	13	7	12	34:37	46	6	4	6	19:17	7	3	6	15:20
მენსფილდი	32	13	6	13	40:41	45	8	4	4	29:19	5	2	9	11:22
ჩელტენჰემი	31	12	7	12	31:30	43	8	3	5	18:14	4	4	7	13:16
ლინკოლნი	31	11	9	11	49:49	42	8	4	4	26:17	3	5	7	23:32
ჰალი	32	10	10	12	31:30	40	6	5	5	21:14	4	5	7	10:16
საუთენდი	32	11	7	14	43:49	40	7	4	5	28:25	4	3	9	15:24
ბრაიტონი	31	9	10	13	40:38	37	6	4	6	27:20	3	6	7	13:18
ლეიტონი	32	10	7	15	31:38	37	5	5	6	15:15	5	2	9	18:23
ექსეტერი	32	8	7	17	34:54	31	6	4	6	20:23	2	3	11	14:31
იორკი	32	7	9	16	29:46	30	4	6	6	14:19	3	3	10	15:27
შრიუსბერი	31	7	8	16	24:42	29	4	6	6	14:14	3	2	10	10:28
კარლაისლი	30	5	7	18	28:53	22	4	4	6	15:17	1	3	12	13:36
ჩესტერი	32	5	5	22	28:63	20	3	3	10	11:26	2	2	12	17:37

საბერძნეთი

ოლიმპიაკოსი	20	18	0	2	55:14	54	10	0	0	34:6	8	0	2	21:8
პანათინაიკოსი	20	17	2	1	52:14	53	9	1	0	29:3	8	1	1	23:11
ოფი	20	13	5	2	37:23	44	8	2	1	24:15	5	3	1	13:8
აეკ	20	10	4	6	36:24	34	6	0	4	17:10	4	4	2	19:14
ირაკლისი	20	10	3	7	36:30	33	8	0	2	23:11	2	3	5	13:19
არისი	20	9	5	6	28:22	32	6	3	1	20:7	3	2	5	8:15
პანილიაკოსი	20	8	4	8	27:22	28	6	1	3	18:9	2	3	5	9:13
პაოკ	20	7	7	6	31:27	28	6	2	2	23:11	1	5	4	8:16
ქსანტი	20	7	7	6	21:22	28	6	4	1	15:7	1	3	5	6:15
პანიონიოსი	20	9	1	10	30:39	28	5	1	3	15:11	4	0	7	15:28
ეთნიკოსი	20	7	2	11	18:28	23	6	0	4	14:10	1	2	7	4:18
იონიკოსი	20	4	10	6	20:25	22	3	5	2	11:8	1	5	4	9:17
კავალა	20	5	4	11	21:34	19	4	3	3	15:17	1	1	8	6:17
პანაპაიკი	20	4	6	10	19:29	18	4	1	5	14:11	0	5	5	5:18
კალამატა	20	3	6	11	19:40	15	2	6	2	10:10	1	0	9	9:30
აპოლონი	20	3	5	12	14:30	14	2	3	4	7:13	1	2	8	7:17
პრუდეფუტიკი	20	3	5	12	13:31	14	2	4	4	7:13	1	1	8	6:18
ტრიკალა	20	3	4	13	16:39	13	2	4	4	11:14	1	0	9	5:25

იტალია. სერია B

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	მ	ფ	წ	ბ
ვიჩენცა	23	12	6	5	42:25	42	8	2	1	26:10	4	4	4	16:15
სამპდორია	23	10	9	4	23:16	39	5	6	0	13:7	5	3	4	10:9
ატალანტა	23	11	5	7	30:21	38	9	1	1	20:7	2	4	6	10:14
ბრესა	23	9	9	5	29:20	36	5	4	3	17:8	4	5	2	11:11
ნაპოლი	23	9	9	5	30:24	36	6	5	0	17:8	3	4	5	13:16
სალერნიტანა	23	8	8	7	32:30	32	7	4	0	22:7	1	4	7	10:23
ტრევიზო	23	9	4	10	29:27	31	9	1	1	24:8	0	3	9	5:19
კიევო	23	8	7	8	28:28	31	5	6	1	16:10	3	1	7	12:18
ალბანო	23	8	7	8	22:27	31	7	1	4	16:16	1	6	4	6:11
რავენა	23	7	9	7	23:22	30	5	4	2	11:5	2	5	5	12:17
კოზენცა	23	6	12	5	20:19	30	5	4	3	12:9	1	8	2	8:10
ჩეზენა	23	6	11	6	31:28	29	5	7	0	19:8	1	4	6	12:20
პესკარა	23	5	13	5	31:27	28	4	4	3	20:14	1	9	2	11:13
ემპოლი	23	7	7	9	18:29	28	7	3	1	12:7	0	4	8	6:22
ჯენოა	23	7	6	10	28:28	27	6	4	2	21:11	1	2	8	7:17
მონცა	23	4	14	5	23:25	26	3	9	0	10:7	1	5	5	13:18
ტერნანა	23	5	11	7	23:30	26	3	7	1	14:13	2	4	6	9:17
პისტოიეზე	23	7	7	9	18:24	24	7	3	2	14:8	0	4	7	4:16
ფერმანა	23	4	8	11	21:33	20	4	4	4	13:13	0	4	7	7:19
სავოია	23	3	8	12	18:36	17	3	6	3	12:12	0	2	9	6:24

იტალია. სერია C1/a

სიენა	23	13	7	3	30:13	46	9	1	2	19:6	4	6	1	11:7
პიზა	23	10	9	4	26:16	39	5	4	2	15:10	5	5	2	11:6
ლუკეზე	23	10	8	5	30:24	38	8	3	1	17:8	2	5	4	13:116
ვარეზე	23	8	11	4	27:19	35	5	5	2	15:9	3	6	2	12:10
სპალ	23	9	7	7	24:20	34	5	3	3	10:6	4	4	4	14:14
ალბინოლეფე	23	7	10	6	22:22	31	5	4	2	14:9	2	6	4	8:13
კარარეზე	23	7	9	7	22:21	30	4	6	1	14:9	3	3	6	8:12
ჩიტადელა	23	7	10	6	20:20	30	5	4	3	12:9	2	6	3	8:11
ლივორნო	23	6	11	6	25:24	29	4	5	3	16:13	2	6	3	9:11
რეჯანა	23	7	6	10	23:25	27	5	2	4	14:13	2	4	6	9:12
ბრეშელო	23	6	9	8	22:26	27	3	6	3	12:12	3	3	5	10:14
მოდენა	23	6	9	8	17:24	27	3	6	3	8:10	3	3	5	9:14
კომო	23	4	14	5	14:17	26	1	9	2	5:9	3	5	3	9:8
კრემონეზე	23	3	14	6	19:23	23	1	9	1	11:11	2	5	5	8:12
ლუმეცანე	23	4	11	8	16:21	23	2	5	5	8:11	2	6	3	8:10
ლეკო	23	4	11	8	16:25	23	1	7	3	4:7	3	4	5	12:18
მონტეკატინი	23	4	10	9	17:23	22	3	5	3	10:11	1	5	6	7:12
სანდონა	23	2	14	7	16:23	20	2	6	3	9:10	0	8	4	7:13

იტალია. სერია C1/b

კროტონე	23	14	8	1	43:14	50	9	2	0	28:5	6	5	1	15:8
ანკონა	22	12	6	4	31:14	42	7	4	0	22:8	5	2	4	9:6
არეცო	23	11	8	4	37:26	41	7	4	0	24:12	5	3	4	13:13
ვიტერბეზე	22	11	6	5	35:27	39	6	5	1	22:12	5	1	4	13:15
სკალი	23	9	11	3	35:18	38	4	5	2	19:8	5	6	1	16:10
პალერმო	23	9	9	5	18:16	36	5	5	2	11:6	4	4	3	7:10
კატანია	23	8	10	5	26:17	34	5	5	1	14:5	3	4	5	11:12
სტაბია	23	7	10	6	27:21	31	6	3	3	19:10	1	7	3	8:11
ნოჩერინა	23	6	11	6	20:17	29	5	6	1	13:5	1	5	5	7:12
ჯულიანოვა	23	7	7	9	26:31	28	5	3	3	13:9	2	4	6	13:22
აველინო	23	7	5	11	21:27	26	6	1	4	15:10	1	3	8	5:17
დი სანგრო	23	6	7	10	18:27	25	4	3	5	11:13	2	4	5	7:14
გუალდო	23	5	9	9	22:30	24	4	6	2	13:11	1	3	7	9:19
ბენევენტო	23	5	9	9	14:24	24	5	3	3	10:7	0	6	6	4:17
ლოდიჯანი	23	4	9	10	19:34	21	4	3	4	10:13	0	6	6	9:21
ატლეტიკო	23	4	8	11	16:27	20	3	4	5	10:13	1	4	6	6:14
მარსალა	23	5	5	13	18:42	20	2	3	6	8:13	3	2	7	10:29
ფ. ანდრია	23	2	10	11	14:28	16	2	7	3	7:9	0	3	8	7:19

გერმანია. II ბუნდესლიგა

კიოლნი	19	12	5	2	41:15	41	8	2	0	31:7	4	3	2	10:8
ბოხუმი	19	10	3	6	33:27	33	6	0	4	23:18	4	3	2	10:9
კოტბუსი	19	10	1	8	37:24	31	7	0	2	22:8	3	1	6	15:16
ბერლინი	19	7	9	3	26:20	30	5	4	1	14:9	2	5	2	12:11
ნიურნბერგი	19	8	4	7	29:34	28	7	2	0	20:10	1	2	7	9:24
გლადბახი	19	7	6	6	27:23	27	5	2	3	17:9	2	4	3	10:14
ვოლფსბოფი	19	7	6	6	27:26	27	6	2	1	18:10	1	4	5	9:16
ალემანია	19	7	6	6	28:33	27	4	3	2	16:10	3	3	4	12:23
ქემნიცი	19	6	7	6	27:23	25	4	4	1	19:10	2	3	5	8:13
ფიურტი	19	5	10	4	14:17	25	2	8	0	5:2	3	2	4	9:15
ძაიცი	19	5	9	5	22:23	24	3	5	1	8:5	2	4	4	14:18
ზტ. პაული	19	5	8	6	21:24	23	3	5	2	10:9	2	3	4	11:15
ობერჰაუზენი	19	5	8	6	17:20	23	4	4	2	12:11	1	4	4	5:9
ჰანოვერი	19	6	4	9	27:28	22	3	3	3	16:14	3	1	6	11:14
ფორტუნა	19	4	7	8	17:28	19	4	3	2	11:10	0	4	6	6:18
კოკერსი	18	4	5	9	26:35	17	4	3	2	16:13	0	2	7	10:22
ოფენბახი	19	3	8	8	18:31	17	3	3	4	13:16	0	5	4	5:15
კარლსრუე	18	2	8	8	21:27	14	1	4	4	7:9	1	4	4	14:18

ჩეხეთი

სლავია	17	13	4	0	29:8	43	7	1	0	17:3	6	3	0	12:5
სპარტა	17	11	4	2	43:15	37	7	2	0	29:4	4	2	2	14:11
დრნოვიცე	17	9	3	5	23:16	30	5	1	2	10:3	4	2	3	13:13
ბოჰემიანსი	17	6	7	4	17:14	25	4	2	3	9:6	2	5	1	8:8
ტეპლიცე	17	6	6	5	23:23	24	5	3	1	15:9	1	3	4	8:14
ბუდეიოვიცე	17	7	3	7	21:22	24	6	1	2	15:5	1	2	5	6:17
ლიბერეცი	17	5	7	5	12:13	22	3	4	2	5:4	2	3	3	7:9
ბანიკი	17	5	6	6	23:22	21	3	4	2	16:13	2	2	4	7:9
ფუტალა	17	5	6	6	16:22	21	4	3	1	12:8	1	3	5	4:14
ბრნო	17	5	4	8	20:22	19	4	3	2	15:9	1	1	6	5:13
ბოჰმინი	17	5	4	8	17:30	19	4	1	3	9:10	1	3	5	8:20
სიგმა	17	3	9	5	19:25	18	1	5	2	9:10	2	4	3	10:15
ოპავა	17	4	5	8	21:23	17	4	3	1	15:7	0	2	7	6:16
იაბლონეცი	17	4	4	9	15:27	16	4	2	2	13:8	0	2	7	2:19
ჰ. კრალოვე	17	3	6	8	17:24	15	2	3	4	9:12	1	3	4	8:12
ვიკტორია	17	3	6	8	24:34	15	3	4	1	17:14	0	2	7	7:20

ესპანეთი. მეორე დივიზიონი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ				
სალამანკა	27	14	7	6	42:27	49	8	2	3	23:11	6	5	3	19:16
ლას პალმასი	27	12	8	7	39:28	44	6	5	2	20:10	6	3	5	19:18
ლევანტე	27	12	8	7	41:36	44	9	4	1	27:11	3	4	6	14:25
ესტრემადურა	27	12	8	7	30:26	44	10	4	0	22:5	2	4	7	8:21
სპორტინგი	27	13	4	10	38:33	43	8	1	5	22:15	5	3	5	16:18
ვილიარეალი	27	11	7	9	39:30	40	7	3	4	21:16	4	4	5	18:14
ოსასუნა	27	12	4	11	27:25	40	7	2	4	16:8	5	2	7	11:17
ლეიდა	27	11	6	10	45:38	39	6	4	3	23:13	5	2	7	22:25
ბადაზოსი	27	8	15	4	26:21	39	4	7	3	15:14	4	8	1	11:7
ეიბარი	27	10	8	9	36:38	38	7	4	3	21:15	3	4	6	15:23
ტენერიფე	27	10	7	10	35:35	37	7	5	2	24:14	3	2	8	11:21
კორდობა	27	9	9	9	32:30	36	7	1	5	20:17	2	8	4	12:13
მერიდა	27	9	8	10	27:30	35	5	4	4	16:12	4	4	6	11:18
ატლეტიკო B	27	9	7	11	32:36	34	4	3	6	19:20	5	4	5	13:16
ელჩე	27	7	12	8	31:36	33	4	7	3	17:18	3	5	5	14:18
ალბასეტე	27	8	9	10	29:36	33	3	6	4	14:15	5	3	6	15:21
კომპოსტელა	27	7	11	9	33:36	32	4	5	4	17:14	3	6	5	16:22
ლეგანესი	27	9	8	10	32:36	32	6	4	3	16:8	3	4	7	16:28
ხეტაფე	27	8	6	13	24:30	30	5	3	6	16:17	3	3	7	8:13
ლოგრონიესი	27	7	8	12	38:41	29	5	5	3	22:19	2	3	9	16:22
უელვა	27	8	5	14	26:35	29	4	4	6	15:15	4	1	8	11:20
ტოლედო	27	5	7	15	18:37	22	4	3	7	11:16	1	4	8	7:21

პორტუგალია

პორტუ	22	14	6	2	44:12	48	10	1	0	27:3	4	5	2	17:9
სპორტინგი	22	14	6	2	38:18	48	10	2	0	26:8	4	4	2	12:10
ბენფიკა	22	14	5	3	35:16	47	9	2	0	22:6	5	3	3	13:10
გიმარაეში	22	12	4	6	35:22	40	10	1	1	24:8	2	3	5	11:14
მარიტიმუ	22	9	7	6	25:18	34	5	5	1	13:5	4	2	5	12:13
ბოავიშტა	22	10	4	8	22:19	34	6	1	3	12:8	4	3	5	10:11
ელ ვისენტე	22	8	7	7	26:23	31	5	3	2	16:8	3	4	5	10:15
ბელენენსეში	22	6	11	5	24:21	29	4	6

პიტი და ბურთეები სიმსივნის წინააღმდეგ

პიტ სამპრასი

ანდრე აგასის წარმატებული მაგალითით გამხნევებულმა პიტ სამპრასმა გადაწყვიტა, თავადაც გამოიღოს ხელი და საქველმოქმედო საქმიანობა წამოიწყოს.

აგასი ყოველ შემოდგომაზე ლას ვეგასში რჩეული საზოგადოებისთვის წვეულებას და აუქციონს მართავს, რომლისგანაც მთელ შემოსავალს (რაც დაახლოებით 3 მილიონ დოლარს შეადგენს) უსახლკარო თანაქალაქელი ბავშვების საკუთარი სახელობის ფონდში რიცხავს.

სამპრასმა ჯიბესქელთა გასაყვლეფად სხვა გზა აირჩია — მარტის დასაწყისში ის გოლფის ტურნირს, „პიტ სამპრას კლასიკს“ გამართავს, შემოწირულობებს კი ტიმ და ტომ გალიქსონების ტვინის სიმსივნით დაავადებულთა ფონდში გადარიცხავს.

შეგახსენებთ, რომ ტიმ გალიქსონი ყოფილი ჩოგბურთელი და უიმბლდონის ექვსგზის ჩემპიონის მწვრთნელი იყო, რომელიც 1996-ში სწორედ სიმსივნისგან გარდაიცვალა. მისი ტყუპისცალი ძმა, ტომ გალიქსონი კი შარშანდლამდე აშშ-ის დევისის თასის გუნდის კაპიტანი გახლდათ.

„პისტოლ პიტს“ თავის ტურნირზე სულ დარჩეული ხალხი ჰყავს მიწვეული: შავკანიანი კოლეგები დები უილიამსები (რომლებიც სამპრასს აღმერთებენ), ლეგენდარული ჰოკეისტი უეინ გრეცკი, ოსკაროსანი მსახიობი ჯო პეში.

„კლასიკი“ 6 მარტს, კალიფორნიაში მდებარე „ნორს რენჩ ქაუნთი ქლაბში“ გაიმართება. მასში 32 ხუთკაციანი გუნდი იასპარეზებს და ზემოხსენებულთა გარდა ყვანჯლებს კინოს სუპერვარსკვლავი მეტ დეიმონი, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ჯიმ კურიე და სერფინგში მსოფლიოს ჩემპიონი კელი სლეიტერიც მოიქნევენ.

ერთ-ერთ ყველაზე საშინელი დაავადებით შეპყრობილებზე საჩოგბურთო აქსესუარების მწარმოებელი ფირმა PENN-იც ზრუნავს. ნუ გაგიკვირდებათ, თუ უახლოეს ხანებში მაღაზიების თაროებზე ვარდისფერ ბურთებს შეამჩნევთ.

„პენმა“ შეზღუდული რაოდენობით გამოუშვა სამი ვარდისფერი ბურთისა და სპეციალური გულსაბნევებისგან შედგარი პაკეტები, რომელთა ფასი 10 დოლარია. ამ თანხის ნახევარი კი მკერდის სიმსივნით დაავადებულთა საქველმოქმედო ორგანიზაციებს მოხმარდება.

რაფტერმა მხარი იცვალა

ექვსთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონი პატრიკ რაფტერი ფლორიდაში, დელრეი ბიჩის პირველობაზე დაუბრუნდება დიდ ჩოგბურთს თებერვლის ბოლოს.

„ამ მომენტისთვის ჩემთვის მთავარი ჯანმრთელობაა. მსურს, ყველაფერი კონტროლს ექვემდებარებოდეს და ზედმეტად არ დავიტვირთო. წლეულს მხოლოდ დიდი სლემის ტურნირებზე და რამდენიმე სხვა პირველობაზე ვიასპარეზებ და სეზონის განმავლობაში რამდენიმე ოთხ-ხუთკვირიან შვებულებას მოვიწყობ“ — განაცხადა კიკინიანმა ოზმა ბერმუდის კუნძულებზე მდებარე თავისი სახლიდან მოწყობილ ტელე-კონფერენციაზე.

რაფტერს ერთეულებში აგვისტოდან მოყოლებული არ უთამაშია. მან მხრის უმძიმესი ტრავმა მიიღო და რაკი საქმეს დასვენებამაც არ უშველა, ნოემბერში ოპერაციაც გაიკეთა. იანვარში მან წყვილებში რამდენიმე მატჩი ჩაატარა, თუმცა ექიმებმა კიდევ დაცდაურჩიეს.

„ზოგჯერ მოჭრილი ბექჰენდის დარტყმისას მწვავე ტკივილს ვგრძნობ. სწორედ ამიტომ ვთქვი ავსტრალიის ღია პირველობასა და დუბაიში თამაშზე უარი. თუ პირველ ტურნირს გავუძლებ, თავდაჯერებაც დამიბრუნდება და იმედია, გაისად უკვე ჩვეულად ვითამაშებ.“

ჯერჯერობით რაფტერი სკოტსდეილში, ინდიან უელსსა და კი ბისკეინში ასპარეზობას ვეგმავს და ძალიან სურს, ავსტრალიის დევისის თასის გუნდში დაიბრუნოს ადგილი. ეს კი იოლი არ იქნება: ლეიტონ ჰიუიტი და მარკ ფილიპუსისი შესანიშნავ ფორმაში არიან.

„წლეულს რაიმე წარმატების მიღწევაზე არც კი ვფიქრობ. მთავარია, მხარი წესრიგში მქონდეს და შეუფერხებლად ვითამაშო. ექიმებმაც არაფერი იციან. ისინი მეუნებიან, წინასწარ ვერაფერს ვეტყვითო.“

გამორიცხული არც ისაა, რომ რაფტერმა საერთოდ ვეღარასოდეს ითამაშოს უმაღლეს დონეზე: „ჩოგბურთმა უკვე იმდენი რამ მომცა, რომ სამყარო არც ამ შემთხვევაში ჩამომენგრევა თავზე. რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია, თუ ჩემონობა აღარასოდეს მიწერია, მაგრამ დღეიდან მთელ ჩემს დარჩენილ კარიერას, როგორც საჩუქარს, ისე ვუყურებ.“

პატრიკ რაფტერი

ცვლილის ფასი

ყველა ამტკიცებს, რომ მსოფლიოს გუნდურმა ჩემპიონატმა, დევისის თასმა, თავისი ხიბლი და პოპულარობა დაკარგა, მაგრამ ფაქტები სულ სხვაზე მეტყველებს.

აშშ-ის ჩოგბურთის ასოციაციამ ორიოდ დღის წინ ახალი რეკორდი დაამყარა: ერთ დღეში აშშ-ისა და ჩეხეთის გუნდების მეოთხედფინალური შეხვედრის 20430 ბილეთი გაიყიდა. ძველი რეკორდი — 16026 შარშანდელ, ამერიკა-ავსტრალიის ასევე მეოთხედფინალურ მატჩს ეკუთვნოდა.

აშშ-ის გუნდი, რომლის შარისთავი კაპიტანი ჯონ მაკინროი პირველად წარდგება ამ ამპლუაში თანამემამულეთა თვალწინ, აშკარა ფავორიტია და აღმოსავლეთევროპელებიც, ფაქტობრივად, წინდაწინ განწირულები არიან. „ორისამი საუკეთესო ჩოგბურთელიც რომ მაკლდეს, მაინც გარანტიას მოგცემთ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ“ — განაცხადა მაკინროიმ რამდენიმე დღის წინ.

შეხვედრა 7-9 აპრილს, ლოს ანჯელესის „გრეით უესტერნ ფორუმში“ შედგება.

ასევე გვარიანად მოითბობს ხელს ავსტრალია-გერმანიის მეოთხეფინალური შეხვედრაზე მწვანე კონტინენტის ჩოგბურთის ფედერაციაც.

მატჩზე ბილეთების ფასმა ადგილობრივი ჩოგბურთის გულშემატკივრების დიდი აღშფოთება გამოიწვია. პირველ იარუსზე მდებარე ადგილების სამდღიან აბონემენტში მათ 240 დოლარის გაღახდა მოუწევთ, მეორე იარუსიდან ჩოგბურთის ცქერა კი მხოლოდ 40 დოლარით ნაკლები ეღირება.

მიუხედავად ამისა, ბილეთების ორი მესამედი სალაროებიდან თვალის დახამხამებაში გაქრა და დღეისათვის 2000-ზე ნაკლებიღაა დარჩენილი.

ეს ამბავი მით უმეტეს აღსანიშნავი იმითაა, რომ მასპინძლებს შეიძლება თავიანთი ორი ჯილა — პატრიკ რაფტერი და მარკ ფილიპუსისი აკლდეთ. თუ რაფტერი უკვე დიდი ხანია, აღარ ასპარეზობს და აპირილისთვის საუკეთესო ფორმაშიც, ალბათ, ვერ ჩადგება, ფილიპუსისმა რამდენიმე დღის წინ მუხლი იტკინა და ექიმებმა დასვენება ურჩიეს.

სხვა შემთხვევაში ოზთა კაპიტან ჯონ ნიუკომბს იქნებ დიდი თავსატეხიც გასჩენოდა, მაგრამ ადელაიდის „მემორიალ დრაივის“ კორტები ბალახისაა და ამ სწრაფ საფარზე ლეიტონ ჰიუტსა და უეინ არტურსს გერმანელების დამარცხება არ უნდა გაუჭირდეთ.

„იმისი თქმა არ მინდა, რომ სხვა მოთამაშეების იმედი არ მაქვს, მაგრამ მიხარია, რომ შინ, თანაც ბალახზე ვთამაშობთ. ასე მატჩი მონეტის აგდებას არ დაემსგავსება და ჩვენ აშკარად ფავორიტები ვიქნებით“ — ეს ნიუკომბის სიტყვებია.

ავთანდილ სვანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერნარ ლაპორტი (მარჯვნივ) ახალ ფრანგებს არჩევს

ინგლისმა საფრანგეთი გაარემონტა

ბერნარ ლაპორტი ჯანიან ბიჭებს ეძებს

გეხსომებათ, ექვსი ერის პირველობის მეორე ტურში საფრანგეთმა ინგლისს უმასპინძლა და 9:15 დამარცხდა. „მამლების“ მთავარი მწვრთნელი, რაღა თქმა უნდა, შედეგით უკმაყოფილო დარჩა. ბერნარ ლაპორტი ბევრმა შეგირდმა გაანბილა და ისიც მომავალი მატჩისთვის საკმაოდ ბევრის შეცვლას აპირებს. ახლა გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ფრანგული საინფორმაციო წყაროების მიხედვით მომზადდა და სადაც ლაპორტი სხვადასხვა თემებს ეხება.

— რამდენიმე დღის შემდეგ რას იტყოდით ინგლისთან მარცხის შესახებ?

— მეტოქემ წარმატებას ძირითადად უკეთესი ფიზიკური მომზადების ხარჯზე მიაღწია, თანაც ჩვენ მატჩის სადავეების ხელში ჩაგდება ვერ მოვახერხეთ. არადა, უელსში ამ მხრივ არ გაგვჭირვებია. თუ გვინდა, უმაღლეს დონეზე ვითამაშოთ, ფიზიკურად ინგლისელების დარნი უნდა ვიყოთ.

— გამარჯვების შანსი თუ გქონდათ?

— ინგლისელების დამარცხება ნამდვილად შეგვეძლო. ლომბარის ლელო რომ ჩაეთვალათ, ანდა ბოლო წუთებში, როცა უპირატესობას მთლიანად ჩვენ ვფლობდით, ლელო გაგვეტანა... თუმცა ეს მოგება მაშინ ისევ დამალავდა ჩვენში არსებულ ხარვეზებს. ჩვენზე ძლიერმა გვაჯობა და ეს გაკვეთილად უნდა გამოგვადგეს.

— ამ შეხვედრამ ნათლად წარმოაჩინა ზოგიერთი რგოლის სისუსტე-

— მართალია! თუმცა ეს ახალი ამბავი ნამდვილად არ არის. განგაში ჯერ კიდევ 1997 წელს ავტეხე, როცა საფრანგეთი სამხრეთ აფრიკასთან 10:52 დამარცხდა. მაშინ შერკინების პირველი და მეორე ხაზი უსუსტესად გამოიყურებოდა. გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში არც ახლა ვართ. როცა ვხედავ, მოთამაშეები შესვენებაზე გასახდელში არაქთგამოცლილები რომ შემოდიან, ვფიქრობ, რომ რაღაც ძალიან ცუდადაა...

— კონკრეტულად რის გაკეთებას აპირებთ ვითარების გამოსასწორებლად?

— საჭიროა 60-70 მორაგბის შეკრება ფიზიკური ტესტების ჩასატარებლად. ეს უნდა მოხდეს ყოველ ორ თვეში ერთხელ და კლუბებთან შეთანხმებით. ამ ზაფხულს ასეც ვაპირებ. მოვაგროვებ 70 მოთამაშეს, საკმაოდ ბევრ დამხმარე მწვრთნელს და ავუხსნი მოსალონიერებლად რაზე გაამახვილონ ყურადღება. როცა ხედავ, როგორ ასპარეზობენ ინგლისელები, გიჩნდება აზრი, რომ ისინი სრულყოფისკენ მიდიან. მგონია, თითქოს ფრანგულ რაგბიში წინსვლის უდიდესი სურვილია, მაგრამ... ყველამ იცის და თანახმაა, რომ რაღაცეები შეიცვალოს, თუმცა მაინც ერთ ადგილს ვტკეპნით. დიდი მნიშვნელობა აქვს შიდა ჩემპიონატის სტრუქტურულ ცვლილებებს. მთავარია, მორაგბეებს სეზონში ცოტათი მაინც ნაკლებ თამაშში მოუწიოთ მონაწილეობა. რაგბი ისეთი სპორტია, რაც მეტს თამაშობ, მით უფრო იფიტები.

— ინგლისელები საჯაროდ აცხადებენ, რომ ამ პრობლემას მხოლოდ კრეატინის გამოყენება თუ უშველის. თქვენ რას ფიქრობთ?

— საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი დანიელ სერვე, რომელსაც მოთამაშეთა ფიზიკური მომზადება ევალება, ამის თაობაზე ინგლისელებს ესაუბრა. თითქმის ყველა იქაური მორაგბე იღებს კრეატინს, ისევე როგორც სამხრეთნახევარსფეროელები. ეს აკრძალული არ არის. თუმც არაკინ იფიქროს, რომ მატჩებს მხოლოდ კრეატინის ხარჯზე იგებენ. თუ ეს ჯანმრთელობისთვის საზიანოა, მირჩევნია, ნაკლებ დატვირთული იყოს კალენდარი და ამის ხარჯზე გავძლიერდეთ, ვიდრე კრეატინი ვყლაპოთ და 50 წლის ასაკში ფეხები გავფშიკოთ. თუ დამიმტკიცებენ, რომ ის დოპინგი არ არის და ბიჭების ორგანიზმზე ცუდად არ იმოქმედებს, მაშინ შეიძლება მის გამოყენებაზე თანხმობაც განვაცხადო.

— როდესაც თქვენ საფრანგეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაგნიშნეს, თქვით, რომ დისციპლინას დიდ ყურადღებას დაუთმობდით. ინგლისთან მატჩში ორი მორაგბე გაგიძევეს დროებით და შესაბამისად, ორჯერ მოგიწიათ რიცხობრივ უმცირესობაში თამაში...

— ეს არანორმალური იყო. 20 წუთი თოთხმეტი კაცით ვთამაშობდით. ვინც მინდორზე დარჩა, გაცილებით დაიღალა კიდეც. უელსთან ვანდიტიც კი გაამევეს, მაგრამ მაშინ სხვა იყო. ამჯერად კი... ბეტსენი ორ წუთში ზედიზედ ორჯერ დაჯარიმდა, ბრუზემაც ძალიან იუხეშა, რასაც გამართლება არ აქვს. ამას მომავალში გავითვალისწინებ. ასეთი საქციელი არაპროფესიონალიზმია და, ალბათ, მათ შოტლანდიის წინააღმდეგ აღარც ვთამაშებ.

— კიდევ რა ცვლილებებია მოსალოდნელი 4 მარტს, შოტლანდიაში გასამართ მატჩში?

— წაგების შემდეგ არ შეიძლება, გუნდში რამე არ შეიცვალოს, თორემ კონკურენცია აღარ იქნება და ნაკრების წევრები მთელი თავდადებით აღარ იბრძოლებენ. ვინც გუნდში ვეღარ მოხვდება, ყველაფერს გააკეთებს დასაბრუნებლად. რამდენი ცვლილება იქნება? ზუსტად ვერ გეტყვით. ალბათ, პეტერ დე ვილიე, ჟან დოდე და დავიდ ორადუ მოხვდებიან ძირითადში. ალბათ, მალიეს, რუეს, პედროზას და მერსერონსაც წავიყვანთ შოტლანდიაში. ყველაფერი ამ დღეებში გაირკვევა.

ბაბი ბურული

ტაშკენტიდან მოდის ლიცენზია?

მოჭიდავეებმა სალიცენზიო ტურნირები სანახევროდ მოილიეს. „ბერძენ-რომაელებმა“ ამ რანგის უკვე მესამე შეჯიბრში ტაშკენტში იასპარეზეს.

ქართველთაგან წინა ტურნირებში სხვებზე უკეთ კობა გულიაშვილმა (58) და მირიან გიორგაძემ (მძიმე) იჭიდავეს. რომში კობამ მესამე ადგილი დაიკავა, მირიანმა — მეშვიდე. ფრანგულ კლერმონფერანში ბრინჯაოს მედალს ამჯერად გიორგაძე დაეუფლა, ხოლო გულიაშვილმა მეხუთე ადგილზე ჩაინაცვლა. კარგად დაიწყო ევროპის შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა აკაკი ჩაჩუამაც (63). ის რომში მეოთხე იყო, მაგრამ მხარი იტკინა და მომდევნო ტურნირებში გუნდს ვერაფრით დაეხმარა. ამ ორი ტურნირის მერე გამოიკვეთა ის წონები, სადაც ლიცენზიების მოპოვების სხვაზე მეტი იმედი იყო. ეტყობა, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია ზედმეტ ხარჯებს მოერიდა და ტაშკენტშიც მხოლოდ ამ წონის მოჭიდავეები წაიყვანა, თუმცა 63-ში მაინც ახალწვეული — ლევან ოდიშარია დააყენა. ალბათ, მწვრთნელი უკმაყოფილო დარჩა საფრანგეთში შმაგი გოქაძის (მეათე ადგილი) გამოსვლით, ან თავის გამოჩენის შანსი მისცა ოდიშარიას, რომელიც ჯერ კიდევ შარშან ჭაბუკებში ჭიდაობდა. სამწუხაროდ, ახალგაზრდა ფალავანმა საღებიუტო ტურნირის სიმძიმეს ვერ გაუძლო და თავი ვერაფრით გამოიჩინა. აი, ლიდერებმა კი ზუსტად გაიმეორეს კლერმონფერანში ნაჩვენები შედეგი — გიორგაძე მესამეზე გავიდა, გულიაშვილი მეხუთეზე. ამ შედეგით გიორგაძემ, ალბათ, საბოლოოდ გაინაღდა ლიცენზია. რაც შეეხება 58-სა და 63-ს, აქ ჯერ კიდევ ყველაფერი წინაა. ჩვენს მოჭიდავეებს მარტში კიდევ ორი სალიცენზიო ტურნირი ელით და თუ დასჭირდებათ, შეიძლება იქაც გამოვიდნენ. ნაკლებად მოსალოდნელია, იქ სხვა წონების ფალავნებიც გაუშვან, რადგან მათ ლიცენზიის მოპოვების იმედი თითქმის საბოლოოდ გადაეწურათ.

კიევში უმაღლესი კატეგორიის ტურნირში იჭიდავეს თავისუფალი სტილით მოჭიდავე ემზარ ბედინეიშვილმა (69) და ელდარ კურტანიძემ (97). ორივემ შარშან დაისაკუთრა ლიცენზია და სალიცენზიო ტურნირებშიც ამიტომ ვერ ასპარეზობენ. ფედერაციას კი ფული არა აქვს და მათ შეჯიბრებებზე ვერ გზავნის. ეს ემზარისა და ელდარისთვის პირველი ტურნირი იყო ოქტომბრის მერე. კიევში, ბედინეიშვილმა და კურტანიძემ მესამე ადგილები დაიკავეს.

ირაკლი თავაძე

REUTERS საგუნტოდან

მარკო პანტანი

პანტანი და არმსტრონგი კოლექტივს არ მოსწყდნენ

ვალენსიის ტურის პირველ ეტაპზე ველომრბოლებმა საგუნტოს დიდი, 154-კილომეტრიანი წრე შემოუქროლეს და ფინიშს ყველაზე ადრე ცხრა მათგანი დაუახლოვდა. დაიძაბა კუნთები და ნერვები. თითქოს დაუმორცხვებიაო, ცხრავეს ისე ჩაექინდრა თავი და თან ისე გამალებით ატრიალებდნენ პედლებს, აჩქარებული კადრი გეგონებოდათ. ლიდერებში ისეთი ცნობილი პერსონებიც ერივნენ, ესპანელი აბრამ ოლანო და ფრანგი ლორან ჟალაბელი რომ გახლავან, მაგრამ პირველობას ვერც ერთი ეღირსა და ვერც მეორე. პირველმა ესპანელმა ხავიერ ლორენტემ გადაუქროლა იმ სანუკვარ ფართო ხაზს, ტრასის პერპენდიკულარულად რომ გაწოლილიყო. რასაკვირველია, ამ მიღწევამ ლორენტეს მეტოქეებთან დროში უპირატესობა ვერ მოუპოვა, რადგან, მოგეხსენებათ, ველოსპორტის წესები ჯგუფური ფინიშისას ყველა მრბოლისთვის ერთი და იგივე შედეგის დარიცხვას ითვალისწინებს, მაგრამ გამარჯვებულის სახელიც არ ნიშნავს ცოტას... აქვე იტალიელი „მეკობრის“, მარკო პანტანის უსახელო რბოლაზეც გეტყვით. წინა „სარბიელში“ მის ოპტიმისტურ გეგმებსაც შევეხეთ, მაგრამ იტალიელმა ვერ დაამტკიცა, რომ წარმატებულად დაბრუნდა: ლიდერთა ჯგუფს სამ წუთზე მეტით ჩამორჩა და მხოლოდ ველომრბოლთა „ფართო მასებთან“ ერთად უწია ფინიშს. კიდევ უფრო უხეიროდ ირბოლა „ტურ დე ფრანსის“ მოქმედმა გამარჯვებულმა, ამერიკელმა ლენს არმსტრონგმა, რომელიც მოწინავეთა გამოჩენიდან მხოლოდ 9 წუთისა და 41 წამის შემდეგ მიადგა ფინიშს. დღეს ველომრბოლები საგუნტოს დატოვებენ და 183 კილომეტრის დაფარვის შემდეგ კალპეს მიაღწევენ.

დავით გულუა

ევროპა სირცხვილს ფრანგმა დედაკაცმა გადაარჩინა

თხუთმეტკილომეტრიანი რბოლა ბიატლონისტ ქალებისთვის მარათონულ რბოლად ითვლება. ამას ემატება 4 სასროლეთი ხუთ-ხუთი სამიზნეთი. საქმეს ართულებს ისიც, რომ თითოეული აცდენილი ტყვია წუთიან ჯარიმად უჯდებათ სპორტსმენებს. სწორედ ამ დისტანციაზე და ამ წესებით მოეწყო ჰოლმენკოლენის მსოფლიოს ჩემპიონატზე ქალების შეჯიბრი. ფავორიტები, რა თქმა უნდა, იმთავითვე იყო ცნობილი — ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიოს თასის მფლობელი და წლევანდელი თასის ლიდერი შვედი მაგდალენა ფორსბერგი, გერმანელთა ოთხეული — დიზლი, ზელნელი, აპელი და ჰენკელი, რომელთაგან თითოეულს ნებისმიერი შეჯიბრების მოგება ძალუძს, ფრანგი ნიოგრე, ნორვეგიელი სკიელბრეიდი, რუსი იშმურატოვა, გასული წლის მსოფლიოს ჩემპიონი, უკრაინელი ზუბრილოვა...

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. რბოლის დასრულებამდე ბევრი აღარაფერი რჩებოდა — თითქმის ყველა ფავორიტს უკვე გავლილი ჰქონდა მეოთხე სასროლეთი და საქმე ისე მიდიოდა, რომ ნორვეგიის ამ პატარა დაბაში გაუგონარი სენსაცია მწიფდებოდა — რბოლას სათავეში ედგნენ და გამარჯვების ყველაზე კარგი შანსი იაპონელ ტამამი ტანაკასა და ჩინელ იუ შუმეის ჰქონდათ. ბოლო გადასარბენზე მაგდალენა ფორსბერგმა (აქამდე მას უკვე ორი ტყვია ჰქონდა აცილებული) სისწრაფეში აჯობა და საპრიზო ადგილს მიღმა დატოვა იაპონელი, ევროპული სათხილამურო ელიტა კი სირცხვილს ფრანგმა კორინ ნიოგრემ გადაარჩინა. სპორტსმენმა ყველა ოცი ტყვია, ისევე როგორც ჩინელმა, ზუსტად მოახვედრა მიზანში, მაგრამ რბოლის ტექნიკით აშკარად აჯობა ჩინელ ბიატლონისტს და მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალიც დაიმსახურა.

ყველასთვის მოულოდნელად ძალზე ცუდად იასპარეზეს გერმანელმა ქალებმა, უფრო უარესად — რუსებმა, რომელთა ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ მოხვდა პირველ ათეულში.

ახლა მთელი ნორვეგია და ჰოლმენკოლენის მოსაზღვრე შვეციის ქალაქებიდან ჩასული ქომაგნი, დიდი ინტერესით ელიან კაცების შეჯიბრებას 20 კილომეტრზე. ფავორიტებს, ცხადია, ახლავე ასახელებენ — ოლიმპიური ჩემპიონი, ნორვეგიელი ოლე ბიორნდალენი, მსოფლიოს თასის მფლობელი, გერმანელი სვენ ფიშერი, მსოფლიოს ჩემპიონი, ფრანგი რაფაელ პუარე, მსოფლიოს ჩემპიონი სპრინტში, ნორვეგიელი ფროდე ანდრესენი, მსოფლიოს ჩემპიონი გერმანელი ფრენკ ლუკი, ოლიმპიური ჩემპიონი ნორვეგიელი ჰანნევოლდი... ფავორიტები ფავორიტებად, მაგრამ ნებისმიერი ფერი თეთრ თოვლზე ყველაზე უკეთ ჩანს ხოლმე.

ირაკლი ბერიაშვილი

REUTERS ჰოლმენკოლენიდან

იუ შუმეი, კორინ ნიოგრე და მაგდალენა ფორსბერგი

ძირს დოპინგთა მეფე!

ეპოს ეპოქა უნდა დასრულდეს

მოკლე ცნობები: სუპერდოპინგი ეპო, იგივე ერითროპოეტინი, აღაგზნებს და აფართოებს ჟანგბადის შემცველ სისხლის წითელ ბურთულებს, შედეგად ადამიანს გამძლეობა ემატება და შესაბამისად დოპინგის ამ სახეობას ის სპორტსმენები იყენებენ, რომელთათვისაც ხსენებული თვისება უმნიშვნელოვანესია, მაგალითად, გრძელ დისტანციებზე მორბენლები ან ტრიატლონისტები. აქამდე არ არსებობდა რაიმე მეტნაკლებად ღირებული ტესტი, რომლითაც ეპო-ს აღმოაჩენდნენ, მაგრამ მეცნიერება ხომ არსებობს და აგერ, ახლახან, ავსტრალიელებმა დოპინგების მეფეს პირველი მახვილი ჩასცხეს. ავსტრალიის სპორტის ინსტიტუტის განცხადებაში ნათქვამია, რომ მიაგნეს ახალ ტესტს, რომელიც ადამიანის სისხლში ეპო-ს შემცველობას პრაქტიკულად უშეცდომოდ განსაზღვრავს. ტესტი ემყარება სისხლის ხუთგვარი კრიტერიუმით გამკვლევას, რის შემდეგაც შეცდომის ალბათობა პროცენტის მეათასამდეა დაყვანილი. ეს კიდევ არაფერი: კანადელი მეცნიერები თურმე უკვე მეექვსე კრიტერიუმის განსაზღვრაზეც მუშაობენ და მაშინ ხომ საერთოდ არაფერი იქნება სალაპარაკო. საქმე საჩქაროა, რადგან წინ სიდნეის ოლიმპიადაა და ამ დროისთვის მსგავსი სიახლის არსებობა მეტად სასურველია. — „იღბალს ვერ დავემდურებით, თუ ყველაფერი სიდნეის ოლიმპიადამდე გაკეთდება“ — იმედიანად უთხრა მეცნიერებს და ჟურნალისტებს ნომერ პირველმა ოლიმპიელმა ხუან ანტონიო სამარანჩმა, რაზედაც პასუხად მიიღო, ფულზეა ყველაფერიო. მართლაც, ავსტრალიელებს ჯერაც ბევრი საქმე ელით, გამოსაკვლევია, როგორ იმუშავებს ტესტი სისხლის სხვადასხვა ტიპისთვის, რისთვისაც ცალკე ავსტრალიის მთავრობამ და ცალკე სეოკ-მა თითო მილიონი დოლარი გაიღეს. ასე რომ, ეპო-ს დიდი დღე არ უწერია.

დავით გულუა

ჯერ ბუნგუ გალახე და მერე...

ნასიმ ჰამედი

ორგანიზაციის (ვბო) ბრიტმა ჩემპიონმა 126 ფუნტიანთა წონაში, ნასიმ ჰამედმა გუშინ განაცხადა, რომ თანახმაა საბჭოს (ვბკ) ქამრისთვის შეერკინოს მექსიკელ ერიკ მორალესს.

ამას წინეებზე მორალესმა ქულებით დაამარცხა თანამემამულე მარკო ანტონიო ბარერა და აგერ მერამდენედ დაიცვა საბჭოს ქამარი. სწორედ ამ ბრძოლის შემდეგ მორალესმა თქვა — ნასიმ ჰამედს მსურს შევერკინოო. მორალესი 122 ფუნტიანთა დივიზიონის ჯერაც დაუმარცხებელი (ისევე, როგორც ჰამედი) ლიდერია და ოთხფუნტიანი განსხვავება არაფრით შეუშლის ხელს წონათაშორისი ბრძოლისას.

ახლა კანარის კუნძულებზე მყოფმა ჰამედმა, სიხარულით ტაში შემოჰკრა და მოითხოვა, ეს ამბავი წელსვე უნდა მოკვარახჭინდეს და ლას ვეგასში უნდა ვიბრძოლოთო.

მაგრამ იქამდე ჯერ შორია, 11 მარტს, ლონდონში ჰამედი თავის ორგანიზაციის ქამარს დაიცავს სამხრეთ აფრიკელ ვუიანი ბუნგუს ხელყოფისგან.

ალბერტ ხაჩატურიშვილი

ბატონი ავად გამხდარა

„უილიამსის“ გუნდში მცირედი შეფერხებაა. ყრმა ბრიტანელი პილოტი, 20 წლის ჯეისონ ბატონი, რომელიც ალბიონელებმა თავიანთ საიმედო მეორე ნომრად შეიგულეს, ზურგის ტკივილს შეუწუხებია და თუმც თვითონ უთქვამს, არაფერი მიჭირსო, ექიმებს რამდენიმე დღეში გამოკვლევაზე დაუბარებიათ, მანამდე კი სიმშვიდე და წყნარად ყოფნა ურჩიეს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ესპანეთში, ხერესის ავტოდრომზე დაგეგმილ ტესტურ რბოლას გამოტოვებს. „უილიამსის“ საინფორმაციო სამსახური იუწყება, სერიოზული არაფერია და ბატონის დებიუტი ფორმულა 1-ში 12 მარტს „ავსტრალიის დიდი პრიზის“ გათამაშებაზე უეჭველად შედგებაო. მანამდე, ესპანურ ვარჯიშზე ბრიტანელის ნაცვლად „უილიამსის“ ტესტ-პილოტი, ბრუნო ჟუნკეირა იქროლებს.

დავით გულუა

REUTERS დუბერიდან

ეს უფრო აღმოსავლური ორთაბრძოლაა, ვიდრე ჰოკეი:
ატლანტელი რეი ფერერო (21) და კოლორადოელი მილან ჰეიდუკი

ავიამზიდ ლეკლერის მესამასე რეიდი

22 თებერვალი

მონრეალი — ფინიქსი 1:0

0:0 0:0 1:0

1:0 ბრიუნე 52'34 (8)

რეინჯერსი — პიტსბურგი 4:3

2:0 1:1 1:2

1:0 ჰლავაჩი 2'34 (15); 2:0 მაკლინი 10'41 (16); 3:0 დვორუაკი 28'46 (15); 3:1 ლანგი 34'48 (20); 3:2 ფალუნი 41'17 (7); 4:2 ლიჩი 46'56 (4); 4:3 რაიტი 51'28 (7)

ფილადელფია — ჩიკაგო 3:1

1:0 1:0 1:1

1:0 ლეკლერი 12'21 (31); 2:0 ზელეპუკინი 20'23 (8); 2:1 ამონტე 43'18 (30); 3:1 ლანგკოუ 45'53 (14)

კოლორადო — ატლანტა 3:4

1:1 1:1 1:2

1:0 ოზოლინში 5'27 (15); 1:1 ემერსონი 17'51 (12); 1:2 შტეფანი 31'57 (5); 2:2 დრური 36'42 (18); 3:2 ოზოლინში 46'09 (16); 3:3 ვასილიევსი 47'27 (1); 3:4 ფერარო 50'11 (16)

მიუხედავად იმისა, მოხვდება მონრეალი წლეულს პლეი ოფში, თუ არა, ჰოკეისტებს ვერავინ უსაყვედურებს. კანადური კლუბისთვის ეს სეზონი მაინც წარმატებული იყო. მონრეალს ძირითადი შემადგენლობის თითქმის ნახევარი აკლდა, მაგრამ ხელი არ ჩაუნევია და უშელავათოდ აგრძელებს ბრძოლას. სამშაბათს კანადელებმა ზედიზედ მეექვსედ გაიმარჯვეს, თანაც ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე მარჯვე გუნდი — ფინიქსი დაამარცხეს სტუმრად. ამისთვის მათ ძალების სრული კონცენტრაცია დასჭირდათ. გადამწყვეტი შაიბის გამტანბენუა ბრიუნეს თქმით, გუნდს ასე კარგად ორი წელია, არ უთამაშია.

აღსანიშნავია, რომ კლუბს სამშაბათს ორი წამყვანი მოთამაშე დაუბრუნდა ტრავმების შემდეგ, თვით ბრიუნე და ლიგის ალბათ ყველაზე უიღბლო ჰოკეისტი, საკუ კოიგუ, რომელიც ტრავმებმა ყველა სეზონში გააწამა, წლეულს კი 40 მატჩი გამოტოვა. ფინელის გამოჩენამ პარტნიორები გაამხნევა, ხოლო ერთადერთი გოლიანი კომბინაცია თვით კაპიტანმა წამოიწყო. მონრეალთა მეკარე ჯეფ ჰეკეტმა კარიერაში მე-20 შათაუტი მიითვალა.

აღმოსავლეთში კი საპლეიოფო ბრძოლა ამ უქმეებზეც გამძაფრდა, რადგან რეინჯერსმა ვერ იხეირა. ორი მარცხის შემდეგ კონფედერაციაში მერვე ადგილზე მყოფმა ნიუიორკელებმა წაგება-ფრეების სერია 5 მატჩამდე გაზარდეს და ერთბაშად ოთხ კონკურენტს მისცეს მათთან მიახლოების საშუალება, მერე კი გაახსენდათ, რომ ხელს თუ არ გაანძრევდნენ, ჩაიძირებოდნენ, იღბალმაც გაუღიმათ — მეტოქე პიტსბურგს იაგრი აკლდა. პიტსბურგისა და ლიგის მთავარმა ვარსკვლავმა წინა თამაშში ტრავმა მიიღო და ასპარეზობას გამოეთიშა. პიტსბურგელთა შტაბის ცნობით, მის გამოჯანმრთელებას მინიმუმ ათი დღე მაინც დასჭირდება, თუმც შეიძლება მკურნალობამ ერთ თვესაც გასტანოს. „პინგვინები“ კი იარომირის გარეშე რომ სულ სხვანი არიან. რეინჯერსი იაგრის თვისტომებმა იხსნეს, რაც ბოლო ხანებში ტრადიციად იქცა. რადეკ დვორუაკმა (1+1) და ან ჰლავაჩმა (1+1) ერთმანეთს გოლების გატანაში გაუმართეს ხელი, ხოლო პეტრ ნედვედი დაცვას დაეხმარა.

პარასკევს, 18 თებერვალს, ფილადელფიელთა მწვრთნელმა როჯერ ნელსონმა გუნდს სეზონში უკანასკნელად უხელმძღვანელა. 65 წლის სპეციალისტს სიმსივნე აღმოაჩნდა და მკურნალობა დაიწყო. როგორც ვარაუდობენ, ნელსონი თავისი მოვალეობის შესრულებას აპრილში შეუდგება, პლეი ოფში. მისმა შეგირდებმა მწვრთნელს გული არ დასწყვიტეს, იგი მოგებით გააცილეს და მის არყოფნაშიც (ახლა გუნდს ასისტენტი მწვრთნელი კრეიგ რამსეი ხელმძღვანელობს) ორჯერ იმარჯვეს. „მფრინავთა“ წარმატების სულისჩამდგმელი ჯონ ლეკლერი გახდა. „მოსრიალე ავიამზიდმა“, როგორც მას უწოდებენ, კარიერაში მე-300 გოლით ჩიკაგოს ძლევას ჩაუყარა საფუძველი.

ლიგის კიდევ ერთი გამოჩენილი მოთამაშე, კოლორადოელი პეტერ ფორსბერგი ერთობ თვითკრიტიკული ყოფილა. როგორც მან თქვა, აუტსაიდერ ატლანტასთან მარცხი მეტწილად მისი ბრალი ყოფილა. „უსუსურად გამოვიყურებოდი, ვერ ვიტან ჩემს თავს“ — ასე გამოხატა შვედმა გულისწყრომა. მართალია, პეტერი ვერაფრით დაეხმარა გუნდს, ხოლო მისი ორ გაძევებიდან ერთ-ერთი ატლანტამ ჩინებულად გამოიყენა და გოლი გაიტანა, მაგრამ ამ დღეს კრის დრურის (1+2) ახალგაზრდული სამეულისა და მცველ სანდის ოზოლინშის გარდა ყველა უნიათოდ თამაშობდა, რამაც ლიგის დებიუტანტს ხელი შეუწყო, 12-მატჩიანი წაგებების სერია შეეწყვიტა.

ახლა ორი გუნდის, ბოსტონისა და ტამპას ლიდერების ტრავმებზეც ვთქვათ. მიუხედავად „დათვთა“ პლეიმეიკერ ჯეისონ ელისონის იმედიანი განცხადებისა, იგი სეზონის დასასრულს ალბათ მაინც გამოტოვებს. მარჯვენა ხელის თითზე ოპერაციის შემდეგ ხანგრძლივი სარეაბილიტაციო პერიოდი სჭირდება და ალბათ მას აპრილამდე ვერ ვიხილავთ ყინულზე. ტამპას კი, რომელიც ისედაც დიდი გაჭირვებით იძენს ქულებს, გუნდის მეორე ბომბარდირი, კრის გრეტონი (13 გოლი და 26 პასი) გამოაკლდა. გასულ კვირას ოტავასთან შეხვედრაში მან ფეხი დაიზიანა და ტრავმა საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა.

სამველ ლარიბიანი

კვირის მოთამაშე

ჟან სებასტიენ ობენი (პიტსბურგი)



ბოლო წლებში მეკარეთა ავტორიტეტი და ზეგავლენა მკვეთრად ამაღლდა. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ კვირის ლაურეატი გოლკიპერი გახდა, თანაც ჩემპიონატის 19 კვირიდან ეს უკვე მეცხრედ (!) ხდება. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს პატივი სხვადასხვა კარის დარაჯს ხვდა წილად. ამჯერად საუკეთესო პიტსბურგელი ჟან სებასტიან ობენი გახდა. ახლობედას შემთხვევაც დაეხმარა — გასულ კვირას პინგვინებს ძირითადი მეკარე ტომ ბარასო გამოაკლდათ, რომელიც შინ, ბოსტონში გაემგზავრა ავადმყოფი მამის სანახავად. ამით პიტსბურგს არაფერი დაჰკლებია, პირიქით ძალიან გაუმართლა. ობერმა სამი მატჩი ჩაატარა და სამივეში ჩინებულად იასპარეზა. ჯერ ვანკუვერთან (3:0) 37 დარტყმა უკლებლივ მოიგერია, შემდეგ ბუფალოს (1:1) და ფლორიდას (2:1) თითო გოლზე მეტი არ გაატანინა და გუნდს პოზიციების გამყარებაში დაეხმარა. იმედია, 22 წლის ობენისთვის, რომელიც აქამდე მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა, ეს მომავალი წინსვლის საწინდარი გახდება. ფრანგი კანადელი ალბათ ბოლო ორ სეზონში ლიგაში მოსულ მეკარეთა ახალი და ძალიან პერსპექტიული თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იქნება.

საუკეთესო ექვსეული. 14-20 თებერვალი

ჟან-სებასტიან ობენი (პიტსბურგი, 1); *რობ ბლეიკი* (ლოს ანჯელესი, 2) — *შონ ჰილი* (კაროლინა, 1); *ტონი ამონტე* (ჩიკაგო, 1) — *მარკ სავარი* (კალგარი, 1) — *ჯერომ იგინლა* (კალგარი, 1)

მედეგთა დაფა

ჩოგბურთი

23 თებერვალი

ლონდონი. დარბაზი. კაცები. საპრიზო 800 ათასი $. პირველი წრე. ჰიშამ არაზი (მაროკო) — ჟან-მიშელ გამბილი (ესპანეთი) 6:4, 7:5; იერომ გოლმარი (საფრანგეთი) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 6:2, 6:2; როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:2, 6:3; კირილ საულნიე (საფრანგეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:4, 6:4; ტომას ენკვისტი (შვედეთი) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:2, 6:4; კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 7:5, 6:3; ჯეფ ტარანგო (აშშ) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 7:5, 6:4; მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) 7:6 (7:3), 7:5; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 7:5, 7:6 (7:5)

23 თებერვალი

მეხიკო. მექსიკის ღია პირველობა. კაცები. საპრიზო 800 ათასი $. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — გასტონ ელტისი (არგენტინა) 6:4, 3:6, 6:3; ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — ბოგდან ულრიხი (ჩეხეთი) 6:4, 6:2; გასტონ გაუდიო (არგენტინა) — ფრანცისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:3, 6:1; მარიანო პუერტა (არგენტინა) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 7:5, 6:4; ჰერმან გუმი (არგენტინა) — ანტონ დუფიუსი (საფრანგეთი) 6:4, 6:3; სარგის სარგსიანი (სომხეთი) — ხუან ალბერტ ვილოსა (ესპანეთი) 3:6, 6:4, 6:1; რიხარდ ფრომბერგი (ავსტრია) — ანდრე სა (ბრაზილია) 4:6, 6:2, 6:4; ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) — ბაირონ ბლეკი (ზიმბაბვე) 6:2, 6:3.

ხელბურთი

19-20 თებერვალი

ჩემპიონთა ლიგა. კაცები. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი — ჰაპოელი (რიშონ ლე ციონი, ისრაელი) 26:24 კილი (გერმანია); პროსესა ადემარი (ლეონი, ესპანეთი) 30:28 ცელიე (სლოვენია); ფოტექსი (ვესპრემი, უნგრეთი) 27:25 ბადელი (ზაგრები, ხორვატია); ზაპოროჟიე (უკრაინა) 17:23 ბარსელონა (ესპანეთი).

ქალები. ჯგუფური ტურნირი. მეხუთე ტური. A ჯგუფი — ბუდაპეშტი (უნგრეთი) 27:24 მეცი (საფრანგეთი); ვიბორგი (დანია) 22:22 სკოპიე (მაკედონია); B ჯგუფი — ხიპო (ავსტრია) 31:25 ოსლო (ნორვეგია); კრიმი (სლოვენია) 33:18 ზაპოროჟიე (უკრაინა); C ჯგუფი — ბუდოჩნოსტი (იუგოსლავია) 29:20 აკვა (რუსეთი); ელდა (ესპანეთი) 23:23 ლეიპციგი (გერმანია); D ჯგუფი — დუნაფერი (უნგრეთი) 32:26 მონტეკსი (პოლონეთი); პოდრავკა (ხორვატია) 35:20 არტასი (საბერძნეთი).

თასების მფლობელთა თასი. კაცები. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი. ლემგო (გერმანია) 26:23 დუნაფერი (უნგრეთი); პორტლენდი (სან ანტონიო, ესპანეთი) 35:29 კანტაბრია (ესპანეთი); გენერალი (ტრიესტი, იტალია) 26:22 კოლდინგი (დანია); იუგოპეტროლი (ჟელეზნიჩარი, იუგოსლავია) 28:27 პრულე (ლუბლიანა, სლოვენია).

მაგიდის ჩოგბურთი

23 თებერვალი

კუალუ ლუმპური. მალაიზია. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. მეოთხედფინალი. ჩინეთი — ჰონკონგი 3:0; ს. კორეა — იაპონია 3:1; რუმინეთი — სინგაპური 3:1; ტაივანი — გერმანია 3:1

ბიატლონი

23 თებერვალი

ჰოლმენკოლმი. ნორვეგია. მსოფლიოს ჩემპიონატი. 20 კმ კაცები. 1 ვოლფგანგ როტმანი (ავსტრია), 2 ლუდვიგ გრეგლერი (ავსტრია), 3 ფრანკ ლუკი (გერმანია).

მთის თხილამურობა

ჰერმან მაიერი

მაიერმა კორეა და თებერვალი გამოტოვა

ავსტრიელმა ჰერმან მაიერმა უაზრობად მიიჩნია ერთადერთი სტარტის გულისთვის კორეას გაფრენა და აკლიმატიზაციის პრობლემებით ნერვების მოშლა. აზიის უკიდურეს აღმოსავლეთში შაბათ-კვირას სამსოფლიოსთასო ორი სრიალი გაიმართება, სლალომსა და გიგანტურ სლალომში. ამათგან პირველი გულზე არ ეხატება მაიერს და მასში საერთოდ არ გამოდის. დარჩა მხოლოდ მეორე და მაიერისთვის, რომელიც საერთო ჩათვლაში სოლიდურად ლიდერობს, მისი გამოტოვება სულ პაწაწინა დანაკლისი თუ იქნება. არის კიდევ ერთი ნიუანსი — მაიერი პოლ აკოლას 1699-ქულიანი რეკორდის დამზობის სურვილსაც ატარებს, ჯერჯერობით 1570 ქულა აქვს და იქნებ კორეული გიგანტ-სლალომითაც გვარიანად ეხეირა, მაგრამ რახან ეს თვე თარსად დაიწყო, ეტყობა, ასევე უნდა დაასრულოს. მოგეხსენებათ, თებერვალში მაიერმა კინკილა გამარჯვება მიითვალა ტოდტაუში და თავისი ქულების დაგროვების პროცესი ერთობ შეაფერხა.

დავით გულუა



იყიდება
როტვეილერის ლეკვები

☎ 39 42 65
დარეკეთ 12-დან 17 საათამდე



REUTERS ნიუ იორკიდან

სპორტული სამოსი

ესეც შენი მსოფლიოში განთქმული სპორტული ჟურნალი „სპორტს ილუსტრეიტიდი“. ჩეხი ტოპმოდელი დანიელა პესტოვა ახალი სეზონის ყველაზე თავზეხელაღებულ სპორტულ საცურაო კოსტუმს წარმოადგენს, კოსტუმი ეგებ ხმამაღალი სიტყვაც იყოს, ფოტო კი მალაიზიაში გადაუღია ყდების ოსტატ რობერტ ერდმანს.

REUTERS ბევერლი ჰილზიდან

ᲑᲔᲕᲔᲠᲚᲘ ᲰᲘᲚᲖᲨᲘ

დღე არ გაივლის, ბევერლი ჰილზში რაიმე ხმაურიანი ღონისძიება არ გაიმართოს. დღეს რომ ლოს ანჯელესში „გრემის“ სამუსიკო ჯილდოების გადაცემაა, გუშინ ბევერლი ჰილზში ნინასაგრემო პრეზენტაცია გასწია ხმის ჩამწერმა ფირმამ „არისტა რეკორდსმა“. ამ ფირმის პრეზიდენტი კლაივ დევისი (მარჯვნივ) განთქმულ გიტარისტ კარლოს სანტანასა და კლათბურთის ლეგენდას, ერვინ „მეჯიქ“ ჯონსონს (მარცხნივ) შამპანურს სთავაზობდა და ფოტორეპორტიორებს ეხუმრებოდა, ნახეთ, რა ხალხი მოგიგროვეთო.

ᲧᲕᲐᲜᲯᲘᲡ ᲧᲣᲘᲗ ᲬᲐᲮᲓᲔᲜᲘᲚᲘ

„მანჩესტერ კენაკსისა“ და „ბოსტონ ბრიუინზის“ შეხვედრის დასრულებამდე წამებიღა რჩებოდა, როცა ბოსტონელი მარტი მაკსორლი თავისი ყვანჯის ყუით შეასკდა ვანკუვერელ დონალდ ბრაშერს და გონება დაკარგვინა. ბრაშერს „კენაკსის“ ლეგენდარული კაპიტანი მარკ მესიე და მწვრთნელი მაიკ ბერნსტეინი ასულიერებდნენ, მერე კი ჰოსპიტალში გააქანეს. მაკსორლის დისკვალიფიკაცია მიესაჯა, ბრაშერი კი ტვინის შერყევით წევს.

REUTERS ტორონტოდან

REUTERS ლონდონიდან

სერ ჰენსი

ეს ხნიერი კაცი ოდესღაც კრივის ჩემპიონი იყო. მის ხუთი წლის შვილიშვილს კი ჰენრი ჯეიმსი ჰქვია. მოხუცს ამიერიდან სერ ჰენრი კუპერად მოიხსენიებენ. რატომ? იმიტომ, რომ ორი დღის წინათ იგი დედოფალ ელისაბედს რაინდად დაულოცავს. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს რინგს დავუბრუნდიო, უთხრა ჟურნალისტებს სერ ჰენრიმ.

ᲡᲐᲯᲘᲜᲘᲑᲝ ᲛᲖᲐᲓᲐᲐ

მელბურნის ალბერტ-პარკში, ფორმულა — 1-ის პირველი სასეზონო რბოლისთვის ემზადებიან. „ფერარის“ საჯინიბოში ადგილებს ანაწილებენ. იმ ადგილას, სადაც გუნდის ახალწვეული რუბენს ბარიჩელოს ფირნიშს კიდებენ, შარშან ირლანდიელი ედი ირვინის გარაჟი იყო, მაგრამ ედი „იაგუარის“ გუნდში გადავიდა და ახლა „ფერარის“ ლიდერ მიხაელ შუმახერს ახალი კომპანიონი ჰყავს.

REUTERS მელბურნიდან

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli